ვაჟა გიორგაძე

ნარკოდანაშაული და სახელმწიფოს პოლიტიკა

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი 0178 საქართველო

2020 წელი

საავტორო უფლება © 2020 ვაჟა გიორგაძე

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ვაჟა გიორგაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით (ნარკოპოლიტიკა და სახელმწიფოს სტრატეგია) და ვაძლევე რეკომენდაციას აღოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: ----------

რეზიუმე

ნარკოტიკებთან დაკავშირებული მსოფლიო პოლიტიკა განისაზღვრება საერთაშორისო კონვენციებით და სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით პრობლემურ სფეროში თანამშრომლობაზე, ამგვარად დღეს მსოფლიოში მიმდინარეობს ნარკოტიკების გავრცელების პრობლემისადმი მიდგომის ჰარმონიზაციის პროცესი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ქვეყნის ეროვნული პოლიტიკა ამ სფეროში გარკვეულწილად ინდივიდუალურ მიდგომებს და მეთოდიკას ეყრდნობა, რაც განპირობებულია საკანონმდებლო რეგულციებით საზოგადოების დამოკიდებულებით და პოლიტიკური გეზით. ნარკოტიკული დანაშაული - სისხლისსამართლებრივი დახასიათების საკითხები, რომლებიც ეხება დამნაშავეობასთან ბრძოლას, კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგებით. სპეციფიკიდან და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართალს, რაც იმითაა განპირობებული, რომ სისხლის სამართლის ნორმები ყველაზე მწვავედ რეაგირებენ ამ ანტისოციალურ მოვლენაზე. გამომდინარე აქედან, დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებრივ რეგულირების საკითხებში დიდი როლი განეკუთვნება სისხლის სამართლის კანონმდებლობას და კრიმინოლოგიას.

ნარკოპოლიტიკის ანალიზის გარდა, კვლევა მიმოიხილავს ნაკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ სისხლისსამართლებრივი პრაქტიკის ბოლო ტენდენციებს. კვლევის მიზანია, გააერთიანოს შეფასებები ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ მოქმედი ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტის, საკანონმდებლო რეგულირებისა და პრაქტიკული ასპექტის შესახებ. ამდენად, ნარკოტიკული დანაშაულების წინააღმდეგ, სამართალდამცავთა მოქმედებები ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა, რაც ერთი მხრივ, უკავშირდება მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემას, ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკა და მათში არსებული ხარვეზების განხილვა, სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, და სხვა ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება. ნარკოდანაშაულის ფაქტების შემცირების კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, ნარკოტიკების ლიბერალიზაცია გამოიწვევეს თუ არა ნარკოტიკების გავრცელების შეჩერებას, ან ნარკოდანაშაულის შემცირებას, ეს საკითხები თემის მსჯელობის ძირითად საგანს წარმოადგენს.

ABSTRACT

Global drug policy is defined by the international conventions and the intergovernmental agreements on cooperation in problematic areas. The process of harmonizing the approach to the problem of drug trafficking is underway in the world today, although it should be noted that the national policy of each country is based on somewhat individual approaches and methodologies in this area, which is due to the regulations, public attitudes and political path. The drug related crime – the issues of criminal law that is related to the fight against the crime, in particular illicit traffic of drugs is regulated by various fields of law. Due to its specificity and importance, the criminal law has a special place in the fight against the drug related crime, which is due to the fact that criminal norms react most strongly to the mentioned antisocial phenomenon. Therefore, criminal law and criminology play an important role in the legal regulation of the fight against crime.

In addition to drug policy analysis, the study reviews recent trends in criminal practice regarding to the drug related crimes. The aim of this study is to compile the assessments on all important policies, documents, legislation and practical aspects of the fight against the drug related crimes. Thus, the actions of law enforcement agencies against the drug related crimes have always been the subject of special attention, which, on the one hand, is caused by a significant social problem, and on the other hand - by the worsening of the criminogenic situation in the country.

This study focuses mainly on the following key issues: the practice of applying the legal norms regulating the fight against the drug related crimes and addressing their flaws, pursuing state policies in the fight against the drug related crimes, and sharing the practice of other countries. As well as determining complex preventive measures to reduce the drug related crimes, whether the drug liberalization will result in to the halt of drug distribution, or a reduction of the drug related crimes.

შინაარსი

შესავალი თემის აქტუალურობა vi

თავი I. ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს კანონმდებლობის ცვლილება და სამართლებრივი ანალიზი x

1.1 საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია 1

1.2 ნარკოდანაშაული და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 6

1.3 ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო ცვლილებები და ანალიზი 21

1.4. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის გზა. 27

1.5 ნარკოპოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში 31

1.6 ნარკოდანაშაულის პრევენციისათვის გასატარებელი ღონისძიებები 40

თავი II. მოზარდთა ნარკომანია 43

2.1.მოზარდთა ნარკომანიის ფსიქო-სოციალური ფაქტორები 43

2.2 მოზარდთა ნარკოდამოკიდებულების პრევენცია საქართველოში 48

2.3 ნარკომოხმარების პრევენციის მექანიზმები 56

თავი III. მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა 62

თავი IV. კვლევის შედეგები და დასკვნები 63

გამოყენებული ლიტერატურა 71

შესავალი თემის აქტუალურობა

საქართველოსა და მთელს მსოფლიოში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ეროვნული უსაფრთხოების გლობალურ საშიშროებას წარმოადგენს სოციალური მოვლენა, როგორიცაა ნარკომანია, მეცნიერებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ, ჯერ კიდევ არსებობს გადაუჭრელი პრობლემები, რომლებსაც ყოველთვის აქტუალური ხასიათი აქვთ, ამ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება ნარკომანიის პრობლემაც. საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე ნარკომანიის პრობლემებისადმი მიდგომა ცვალებად ხასიათს ატარებს და შესაბამისად, იცვლება ნარკომანიისადმი დამოკიდებულებაც, არ იცვლება მხოლოდ ნარკომანიის პრობლემა, რომელიც ყოველთვის იყო, არის და დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ალბათ ჯერ კიდევ დიდხანს იქნება აქტუალური არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, რადგან ყველასთვის ცხადია ნარკომანიის დამღუპველი შედეგები. ნარკომანია თავისი ბუნებით ზოგადსოციალური მოვლენაა. მეცნიერების მიერ ნარკომანიის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის ყველა მცდელობის მიუხედავად, ეს პრობლემა კრიმინოლოგიური კუთხით ჯერ კიდევ არასაკმარისადაა გამოკვლეული, შეუსწავლელია ისეთი სამართლებრივი ასპექტები, როგორიცაა ნარკოტიკების არასამედიცინო მოხმარებისათვის პასუხისმგებლობის პრობლემა, მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობა, ნარკოტიკების სამედიცინო და სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების თავისებურებები.

ნარკოტიკების წინააღმდეგ ომი, როგორც მიდგომა გულისხმობს მაქსიმალურ შეზღუდვასა და დასჯაზე ორიენტირებულ, ძალოვან და სამედიცინო-სოციალურ ღონისძიებებს შორის დაუბალანსებელ მიდგომას. ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის აღსაკვეთი ღონისძიებები XX საუკუნეში სწორედ ამ მიდგომის გავლენით ყალიბდებოდნენ, დღეს საქართველოში მიმდინარეობს მსჯელობა ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. ამ დარგის სპეციალისტების, მეცნიერებისა და საზოგადოების დიდი ნაწილის აზრით, მოქმედ კანონმდებლობაში კარდინალური ცვლილებები შესაძლოა, ნაჩქარევი აღმოჩნდეს. ისინი თვლიან, რომ „კანონმა უპირატესობა არ უნდა მისცეს იმ მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს, რომლებიც ნეგატიურად იმოქმედებს ახალგაზრდა თაობის ფსიქიკის ჩამოყალიბებაზე, მის მორალურ ღირებულებებზე და მთლიანობაში, მის ჯანმრთელობაზე. აქვე უნდა ითქვას, რომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის გაუქმება გამოიწვევს იმას, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მხოლოდ კანონის შიშით

არიდებდა თავს ნარკოტიკებს, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რიგებს შეემატება.“[1]

გარკვეული ჯგუფი ამ სფეროში ლიბერალური საკანონმდებლო ცვლილებების გატარების მომხრეა და შემოაქვს ინიციატივა, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის გაუქმდეს როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხოლო ამავე ჯგუფის ერთი ნაწილი უფრო შორს მიდის და მოითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის - „ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება“[2] გაუქმებას, შემდგომში ლიცენზიების გაცემას და საქართველოში მარიხუანას დათესვა-კულტივაციას ბიზნესისა და სამედიცინო მოხმარების თვალსაზრისით. ამ საკითხის მსჯელობის განხილვაში ჩართული იქნება გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება რომელიც თემის განხილვაში დეტალურად იქნება მოცემული.

საქართველოს ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე პრიორიტეტად აქვს განსაზღვრული ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპები, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის ხედვა, პრინციპები, მიზანი და ამოცანები. ხაზგასმულია, რომ ნარკოტიკების პრობლემა წარმოადგენს კომპლექსურ და მულტისექტორულ პრობლემას და შესაბამისად საჭიროებს სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტურ კოორდინაციასა და მჭიდრო თანამშრომლობას. ამიტომ საჭიროა ქვეყანაში არსებობდეს ეფექტიანი უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობას და ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის ავტორთა აზრით, კოორდინაცია აუცილებელია მულტისექტორული მიდგომების განვითარებისათვის, რაც თავის მხრივ წარმოადგენს შედეგზე ორინტირებული ბრძოლის წინაპირობას. შესაბამისი სამთავრობო უწყებების გარდა, აუცილებელია სამოქალაქო სექტორის ჩართულობა ნარკოტიკების პრობლემის გადაჭრის საკითხში. ვინაიდან ნარკოტიკების პრობლემა სცდება ერთი ქვეყნის ფარგლებს და გლობალურ პრობლემას წარმოადგენს, აუცილებელია საერთაშორისო, ორმხრივი და მრავალმხრივი

[1] ჯანაშია ჯ., საქართველოში ნარკომანიასთან და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“,#2, თბ.2017,გვ.69

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, გამომცემლობა RISE, თბ., 2012

თანამშრომლობის დამყარება და გაღრმავება მეზობელ და სხვა ქვეყნებთან. ნაშრომის ავტორები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბრუნვისა და წამალდამოკიდებულების პრობლემის გადაჭრის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს.

წინამდებარე სტრატეგიის მიზანია:

შესაბამის სახელმწიფო უწყებებს, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ეფექტური თანამშრომლობის უზრუნველყოფა და შესაბამისად სამთავრობო უწყებების თანამშრომლობისა და კოორდინაციის, როგორც ჰორიზონტალურ ასევე ვერტიკალურ დონეებზე გაძლიერება; სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაღრმავება და მათი ჩართულობის ზრდა ეროვნული ნარკოსტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში. საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია, რომლის ძირითად ამომავალ წერტილად შეგივძლია მივიჩნიოთ საზოგადოების უსაფრთხოება (სოციალური და კრიმინოლოგიური არგუმენტი) და საზოგადოების ჯანმრთელობა. სახელმწიფოს პოლიტიკა საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგიის ფაარგლებში შემდეგი სახით შეიძლება გამოიხატოს :

საზოგადოების უსაფრთხოების პოლიტიკა, ძირითადად, მიმართულია ნარკოტიკების მოწოდების შემცირებაზე, გამოიხატება რეპრესიული ღონისძიებებით, და ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, ხოლო საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა ხორციელდება სამედიცინო, სოციალური, კულტურის, განათლების სისტემებისა და მედიის მიერ და გამომდინარეობს იმ დაშვებიდან, რომ საზოგადოების ყველა სტრუქტურული ელემენტის საბოლოო მისიას მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობა წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ჯანსაღი, ღირსეული და პროდუქტიული ცხოვრების უფლება, რაც იმასაც გულისხმობს, რომ დაცული იყოს ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი შედეგებისაგან.

აქედან გამომდინარე, საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია ემყარება იმ ძირითად ღირებულებას რასაც ახალგაზრდა თაობის ჯანსაღი მომავალი წარმოადგენს, ამ კუთხით სახელმწიფოს პოლიტიკური სტრატეგია

არასრულწლოვნებზე ჰარმონიულ მიდგომას ინარჩუნებს და არასრულწლოვენბის დაცვას ნარკოდანაშაულისგან უფრო მეტად ლიბერალური გზებით ცდილობს რაც უფრო მეტად ცნობიერებაზეა ორიენტირებული, კვლევაში განხილული იქნება არასრულწლოვანთა დევიაციური ქცევები ნარკომანიასთა მიმართებით და არასრულწლოვანთა ნარკომანიის სოციალური ფაქტორები, და უპრინია იმის აღნიშვნა რომ პრევენციის როლი ნარკოდანაშაულისთვის დიდ როლს შეასრულებას რაც შემდგომში იცავს მოქალაქეებს შემდგომი დევიაციური ქცევებისგან, ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარება კიდევ უფრო სერიოზულ უარყოფით შედეგებს იწვევს, რადგან ნარკოტიკები აზიანებენ ყველაზე უფრო შრომისუნარიან ასაკს და ამით მნიშვნელოვანად იზრდება ახალგაზრდების დევიანტებად ჩამოყალიბება რაც აბსოლუტური უმრავლესობით კრიმინალურ ქმდებებამდე მივყვართ, შესბამისაფ კრიმინოლოგიის თვალსაზრისით სახელმწიფო სამართალდამცავი ორგანოები ასრულეებენ ვალდებულებებს რაც კანონით გთვალისწინებულ სისხლისსამართლებრივ დევნამდე და პასუხისმგებლობამდე მივყავართ,

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ წამალდამოკიდებულებისა და ნარკოტიკული საშუალებების არალეგალური ბრუნვის ბრძოლის სფეროში საქართველო განაგრძობს და გააღრმავებს თანამშრომლობას სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის, გაეროს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან. საქართველო იზრუნებს გააღრმავოს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობა მეზობელ და პარტნიორ ქვეყნებთან სტრატეგია შემუშავებულია საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და სხვადასხვა არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციათა გათვალისწინებით.

სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ნაკრომომხმარებლებს მკაცრად სჯის. საკითხები, რომლებიც ეხება დამნაშავეობასთან ბრძოლას, კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგებით. სპეციფიკიდან და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართალს, რაც A იმითაა განპირობებული, რომ სისხლის სამართლის ნორმები ყველაზე მწვავედ რეაგირებენ ამ ანტისოციალურ მოვლენაზე. გამომდინარე აქედან, დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებრივ რეგულირების საკითხებში დიდი როლი განეკუთვნება სისხლის სამართლის კანონდებლობას და კრიმინოლოგიას. ნარკომანია საზოგადოებისათვის და მისი ცალკეული წევრისათვის ყოველთვის წარმოადგენდა დიდ პრობლემას. ნარკოტიკულ საშუალებათა გამოყენებასთან დაკავშირებული ძირითადი

პრობლემები გამოიხატება შემდეგში: პირველ რიგში, იგი ახორციელებს უარყოფით ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, ზოგჯერ იწვევს მისი სიცოცხლის მოსპობასაც, ხოლო მეორეს მხრივ, იზრდება სხვადასხვა დანაშაულის რიცხვი, რომლებიც საბოლოოდ დაკავშირებულია ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოპოვებასთან. ყოველივე ეს კი, საბოლოო ჯამში, უარყოფითად აისახება საზოგადოების სოციალურ და სამართლებრივ მდგომარეობაზე. ნარკომანიის პრობლემები ყოველდღიურად უფრო რთულად წარმოგვიდგება, როგორც გლობალური მასშტაბით, ისე საქართველოშიც. საქართველოში პოპულარულია აზრი, რომ ნარკომანია ავადმყოფობაა, ასეთმა მიდგომამ ძლიერ შეუწყო ხელი ნარკომანიის გავრცელებას, რამაც თავის მხრივ, საქართველოში ნარკობიზნესს შეექმნა მყარი ნიადაგი. ქართველმა კანონმდებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ამ პრობლემას და გაამკაცრა პასუხისმგებლობა, რამაც გააძლიერა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ნარკოტიკების კომიტეტი, ნარკომანიას განსაზღვრავს შემდეგნაირად: "ფსიქიკური, ზოგჯერ ფიზიკური მდგომარეობა, რომელიც წარმოიშობა ცოცხალი ორგანიზმისა და ნარკოტიკული ნივთიერების ურთიერთქმედების შედეგად, ხასიათდება ქცევის თავისებურებებითა და სხვა ისეთი რეაქციებით, რაც ნარკოტიკული საშუალებებით მუდმივად ან პერიოდულად მიღების ძლიერ სურვილშია გამოხატული, ყოველივე კი, დაკავშირებულია მისი ფსიქიკური მდგომარეობის, განცდის ან ნარკოტიკების მიღების შეწყვეტით გამოწვეულ დისკომფორტისაგან თავის დაღწევის მოთხოვნილებით.

თემის განხილვის მიზანს წარმოადგენს ნარკოდანაშაულთან ბრძოლის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების გამოყენების პრაქტიკა და მათში არსებული ხარვეზების განხილვა, სახელმწიფო პოლიტიკის გატარება ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში, და სხვა ქვეყნების პრაქტიკის გაზიარება. ნარკოდანაშაულის ფაქტების შემცირების კომპლექსური პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრა, ნარკოტიკების ლიბერალიზაცია გამოიწვევეს თუ არა ნარკოტიკების გავრცელების შეჩერებას, ან ნარკოდანაშაულის შემცირებას, ეს საკითხი თემის მსჯელობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

თავი I. ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქართველოს კანონმდებლობის ცვლილება და სამართლებრივი ანალიზი

1.1 საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია

ნარკომანიის პრობლემის მოგვარებაში ჩართულ სხვადასხვა უწყებებს შორის პოლიტიკური ფუნქციების ასეთი გადანაწილება სრულად შეესატყვისება კომპეტენციების სფეროების გაყოფას ამ ფენომენის "იურიდიულ" და "სამედიცინო-სოციალურ" ფრთებს შორის, თუმცა, კომპეტენციების სფეროების გაყოფა სულაც არ გამორიცხავს მათ კოორდინირებულ მოქმედებას. უფრო მეტიც, გაეროს გენერალური ასამბლეის მე-20 სპეციალური სესიის დეკლარაციაში აღინიშნა, რომ სასურველი შედეგი და „ერთობლივი პასუხისმგებლობა უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ დაბალანსებული მიდგომით - ნარკოტიკებზე მოთხოვნილებას უნდა მიექცეს ისეთივე ყურადღება, როგორც მიწოდებას, რაც გულისხმობს პროფილაქტიკური და სამართალდამცავი სისტემების დაბალანსებულ მოქმედებას“. ამას გარდა, ნარკოტიკების პრობლემა უნდა გადაიჭრას ადამიანის უსაფრთხოებისა და განვითარების უზრუნველყოფის უფრო ფართო კონტექსტში. ნარკოტიკებთან და ნარკომანიასთან დაკავშირებული სტრატეგიის ძირითადი პოსტულატებია:[3] ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით მოხმარება დესტრუქციულ ზეგავლენას ახდენს თავად მომხმარებელზე და მთლიანად საზოგადოებაზე. ნებისმიერი აქტივობა, რომელიც ადამიანის თვითკონტროლის უნარს აქვეითებს, პოტენციურად საშიშია როგორც თვით ამ ადამიანისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. ფსიქოაქტიური ნივთიერებები, რომლებიც თვითკონტროლს ასუსტებს როგორც ინტოქსიკაციის (მწვავე ეფექტები), ასევე წამალდამოკიდებულების (ქრონიკული ეფექტები) შემთხვევაში, საფრთხეს წარმოადგენს ამ პიროვნებისათვის და საზოგადოებისათვის. ამას გარდა, მიუხედავად განსხვავებებისა, ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს ერთი რამ აერთიანებს: ყველა მათგანი უარყოფითად მოქმედებს მომხმარებლის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, შესაბამისად, მათი მოხმარება სხვადასხვა ხარისხის რისკთან არის დაკავშირებული;[4]

წამალდამოკიდებულების ფორმირებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს დამოკიდებულების ჩამოყალიბების პროცესის ახსნას მრავალი სამეცნიერო

---

[3] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია,, გვ.39 http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf

[4] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია,, გვ.39 http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf

თეორიით თუ მოდელით ცდილობდნენ - სოციალური, სიღრმისეულ-ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, ბიოლოგიური და სხვა. წამალდამოკიდებულების მულტიფაქტორული წარმოშობის მოდელის მიხედვით, დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებში იგულისხმება იმ პიროვნული, ნარკოტიკთან დაკავშირებული და სოციალურ-კულტურული ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც ინტენსიურად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან. აქედან გამომდინარე, ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები იზოლირებულად არ ჩნდება და საზოგადოებაში არსებული სოციალური პრობლემების გამოძახილია.

სამართლებრივი კონტროლი ნარკოტიკების ხელმისაწვდომობაზე (რომელიც შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ აკრძალვით) მათი მოხმარებისა და ამ მოხმარებით გამოწვეული პრობლემების შემცირებისა და ახალგაზრდობის მიერ ნარკოტიკების მოხმარების დაწყების შეკავების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა სწორი ბალანსის მოძებნა და არალეგალურ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სიტუაციის რეგულირება უნდა ხდებოდეს კონტროლის ისეთი მექანიზმების მეშვეობით, რომლებიც ხელს შეუწყობს მოწოდების და ნარკოტიკებზე მოთხოვნილების შემცირებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს: [5]ნარკოტიკების მოხმარების დაწყების შემცირებას; ნარკოტიკების ავადმოხმარების შემცირებას; ნარკომანიით დაავადებულ პირთა რიცხვის შემცირებას; ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული სიკვდილიანობის შემცირებას; ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული გართულებების შემცირებას; ნარკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე ფინანსური და სოციალური დანახარჯების შემცირებას; ნარკოტიკების მოხმარებით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის შემცირებას.[6]

ამჟამად, როდესაც ნარკომანია საქართველოში ხასიათდება მუდმივი ზრდის ტენდენციით და დამცავი ბარიერები არასაკმარისად ეფექტურია, საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია არ იზიარებს ლიბერალიზაციისა და ნარკოტიკების ლეგალიზაციის იდეას, რადგან ნარკოტიკების ლეგალიზება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ ნარკოტიკები ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე უარყოფითად მოქმედებს. მეორეს მხრივ, ლიბერალიზაცია გამოიწვევს მოხმარების ზრდას და, შესაბამისად, გამოიწვევს პრობლემის გაღრმავებას. თუმცა, შესაძლებელია არსებულ კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების შეტანა, რომლებიც უფრო

---

[5] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია,, გვ.40
http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf
[6] იქვე, გვ.,42

დახვეწილს გახდის მას ნარკოტიკების მოხმარებლებთან მიმართებაში. წამალდამოკიდებულება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემაა და მიმართულია ნარკომანიის პრევენციაზე, ნარკომანთა მკურნალობაზე, რეაბილიტაციაზე და ნარკოტიკის მოხმარებით გამოწვეული გართულებებისა და პრობლემების პრევენციაზე (ზიანის შემცირება) განსაკუთრებით საგანგაშოა ახალგაზრდებში, მათ შორის მოზარდებში, ნარკოტიკების მოხმარების მნიშვნელოვანი მატება. ასეთსავე საგანგაშო მასშტაბებს აღწევს ბავშვებსა და მოზარდებში, განსაკუთრებით მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებში, ნარკოტიკულად მოქმედი აქროლადი ნივთიერებების გამოყენების მაღალი დონე. გაფართოვდა აგრეთვე ნარკოტიკების მოხმარების საზღვრები მომხმარებელთა ასაკის, სოციალური და გეოგრაფიული კუთვნილების თვალსაზრისით. ერთის მხრივ, აღინიშნება ნარკოტიკების, მათ შორის ინექციური ნარკოტიკების, პირველი მოხმარების ასაკის გაახალგაზრდავება. მეორეს მხრივ, გაიზარდა ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკობრივი დიაპაზონი ბავშვებიდან ხანდაზმულებამდე.

საქართველოში ნარკოტიკების მოხმარების პრობლემა კარგა ხანია გასცდა დიდი ქალაქების საზღვრებს. თუმცა, დღესაც, ნარკოტიკები დიდ ქალაქებში უფრო ხელმისაწვდომია, მათი მოხმარება პატარა ქალაქებსა და სოფლებშიც საკმაოდ ხშირია. განსაკუთრებით აღსანიშნავია ადგილობრივად კულტივირებული კანაფის ფართოდ გამოყენება სოფლად.

ნარკოტიკების მოხმარება ასევე აღინიშნება თითქმის ყველა სოციალურ ფენაში. თუმცა ქალების მიერ ნარკოტიკების მოხმარება, კულტურული და ტრადიციული თავისებურებებიდან გამომდინარე, ისეთი მასშტაბით არ აღინიშნება, როგორც სხვა ქვეყნებში (მაგ. რუსეთი, უკრაინა, ევროპის ზოგიერთი ქვეყანა და ა.შ), ექსპერტები მიუთითებენ, რომ უკანასკნელ წლებში ქალებსა და გოგონებში ნარკოტიკების მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სამწუხაროდ, დაფინანსების სიმცირის გამო, სახელმწიფო ვერ ახერხებს შესაბამისი ზომების გატარებას ქვეყანაში ნარკოტიკების მოწოდების შეზღუდვის, მათი მოხმარების პრევენციისა და სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვის მხრივ. ყოველივე ამას კიდევ უფრო ართულებს საზოგადოების უმოქმედობა და პრობლემით არასაკმარისი დაინტერესება. არასრულყოფილია კანონმდებლობა. აღსრულების მექანიზმები მოძველებული ან ნაკლებად ქმედითია. ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებით გამოწვეული პრობლემები საზოგადოებას ძალიან ძვირი უჯდება: ავადმყოფობა, უბედური შემთხვევები, ტრავმატიზმი, კრიმინალური ქმედებები, კორუფცია, ოჯახური და სხვა ურთიერთობების ნგრევა, პიროვნების პროდუქტიულობის

დაქვეითება, ღირსებისა და პიროვნული თავისუფლების დაკარგვა, გაღარიბება და სხვა.

ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკების მოხმარება კიდევ უფრო სერიოზულ უარყოფით შედეგებს იწვევს, რადგან ნარკოტიკები აზიანებენ ყველაზე უფრო შრომისუნარიან ასაკს და ამით მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ქვეყნის მშენებლობის ისეთ სტრატეგიულ მიმართულებებს, როგორიცაა თავდაცვისუნარიანობა და უშიშროება. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“. საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ჯანსაღი, ღირსეული და პროდუქტიული ცხოვრების უფლება, რაც იმასაც გულისხმობს, რომ დაცული იყოს ნარკოტიკების მოხმარების უარყოფითი შედეგებისაგან.[7]

აქედან გამომდინარე, საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად ღირებულებებს:

პიროვნების ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა;

პიროვნების უსაფრთხოების დაცვა;

ადამიანის ღირსების პატივისცემა;

საზოგადოების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა;

ადამიანის უფლებების დაცვა;

ოჯახის უსაფრთხოების დაცვა;

ბავშვთა უფლებების დაცვა.

ამ თვალსაზრისით, დღეს მოზარდი თაობა ყველაზე დაუცველია, განსაკუთრებით, ინფორმირებულობის მხრივ. ბავშვის უფლებათა კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა აუცილებელ ზომას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული

[7] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია,, გვ. 44. http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf

ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან."[8] საქართველომ აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება 1994 წლის 21 აპრილს მოახდინა, რითაც აიღო ვალდებულება, შეესრულებინა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები. აქედან გამომდინარე, ნარკომანიის პრევენციისადმი კონცეპციური, სისტემური მიდგომის გამომუშავება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ოჯახის თუნდაც ერთი წევრის მიერ ნარკოტიკების მოხმარება სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს მთელს ოჯახზე: იწვევს ფსიქოლოგიურ, სამედიცინო, მატერიალურ პრობლემებს, ოჯახური ურთიერთობებისა და ტრადიციების ნგრევას, ფიზიკურ, ემოციურ და სექსუალურ ძალადობას, სოციალურ იზოლაციას. განსაკუთრებით ცუდად აისახება ყოველივე ეს ბავშვების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ბავშვების მოთხოვნილებები უგულვებელყოფილია, არ არსებობს მშობლებთან სრულყოფილი კონტაქტი, რადგან მშობლები ბავშვებისათვის ძნელად მისაწვდომია. ყველა ბავშვს აქვს უფლება, გაიზარდოს უსაფრთხო და მზრუნველ გარემოში. ასეთი ოჯახები სახელმწიფოს მხრიდან ყურადღებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ. როდესაც საუბარია ნარკოტიკების მომხმარებლის უფლებებსა და მისი არჩევანის თავისუფლებაზე, მოიხმაროს თუ არა ნარკოტიკი, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება ნარკოტიკების არასამედიცინო მიზნით მოხმარებას მიუღებლად მიიჩნევს. ამიტომ, ისეთი პირადი არჩევანი, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის სხვა ადამიანის ან მთლიანად საზოგადოების ინტერესებთან და უფლებების დაცვასთან, საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან წახალისებული ვერ იქნება. პირადი არჩევანის თავისუფლება პასუხისმგებლობასაც გულისხმობს და ამ არჩევანის საფასურად სხვების არჩევანი ან უფლებები არ უნდა შეიზღუდოს. სტრატეგიის ფუძემდებლურ პრინციპებს განეკუთვნება. კომპლექსური და დაბალანსებული მიდგომა - წამალდამოკიდებულების გავრცელების მიზეზები მრავალგვარია და ითვალისწინებს სოციალური, ეკონომიკური, ოჯახური, ფსიქოლოგიური, კულტურული და სხვა ფაქტორების როლს ამ ფენომენის განვითარებაში. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარება კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, სადაც სტრატეგიის თითოეულ პრიორიტეტულ მიმართულებას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ნარკოტიკების მიწოდებისა და მათზე მოთხოვნილების შემცირება თანაბრად მნიშვნელოვანი და ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიებია;[9] ნარკოსტრატეგიები უნდა მოიცავდეს ამ პრობლემის მოგვარებაში ჩართულ ყველა ინსტიტუციასა და ორგანიზაციას. ლოკალურ,

---

[8] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია,, გვ. 46
http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf

[9] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია,, გვ.47
http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf

ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე ერთობლივი კოორდინირებული მოქმედება მკვეთრად გაზრდის განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობას; საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაცია - საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების ინფორმირებასა და განათლებაზე. საზოგადოებას მუდმივად უნდა მიეწოდებოდეს მკაფიო და ობიექტური ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს ნარკომანიის პრობლემის მიმართ ადეკვატური დამოკიდებულების ფორმირებას; გრძელვადიანი დაგეგმვა - დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ გრძელვადიანი სტრატეგიები და უწყვეტი ინტერვენცია იძლევა პრობლემის რეგულირების საშუალებას.

1.2 ნარკოდანაშაული და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ნარკოტიკული დანაშაული - სისხლისსამართლებრივი დახასიათება საკითხები, რომლებიც ეხება დამნაშავეობასთან ბრძოლას, კერძოდ, ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონო ბრუნვას, რეგლამენტირებულია სამართლის სხვადასხვა დარგებით. სპეციფიკიდან და თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სისხლის სამართალს, რაც იმითაა განპირობებული, რომ სისხლის სამართლის ნორმები ყველაზე მწვავედ რეაგირებენ ამ ანტისოციალურ მოვლენაზე. გამომდინარე აქედან, დამნაშავეობასთან ბრძოლის სამართლებრივ რეგულირების საკითხებში დიდი როლი განეკუთვნება სისხლის სამართლის კანონმდებლობას და კრიმინოლოგიას. სისხლის სამართლის კანონმდებლობას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, ნარკოტიკებთან დაკავშირებული დანაშაულის თავიდან აცილებაში. იგი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ნარკოტიკული საშუალებების უკანონო მოყვანის, დამზადების, შეძენის, შენახვის, გადაზიდვისა და გადაგზავნისათვის. ამ დანაშაულის ობიექტად, პირველ რიგში, გვევლინება საზოგადოების ჯანმრთელობა. ბრალის ფორმად კი მარტო - განზრახვა. ზოგ შემთხვევაში კი, - პირდაპირი განზრახვა. ამ დანაშაულის სუბიექტად გვევლინება საერთო სუბიექტი ანუ შერაცხადი პირი 14 წლის ასაკიდან. ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში – (დამზადება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა), ასევე უმოქმედობაში – (შენახვა).[10] ნარკომანიის

[10] მოსულიშვილი ა., ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები, დისერტ., 2007,გვ.78
http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf

პრობლემები ყოველდღიურად უფრო რთულად წარმოგვიდგება, როგორც გლობალური მასშტაბით, ისე საქართველოშიც. საქართველოში პოპულარულია აზრი, რომ ნარკომანია ავადმყოფობაა, ასეთმა მიდგომამ ძლიერ შეუწყო ხელი ნარკომანიის გავრცელებას, რამაც თავის მხრივ, საქართველოში ნარკობიზნესს შეექმნა მყარი ნიადაგი. ქართველმა კანონმდებელმა დიდი ყურადღება დაუთმო ამ პრობლემას და გაამკაცრა პასუხისმგებლობა, რამაც გააძლიერა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა. ნარკოტიკული დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავშია გაერთიანებული. იგი მოიცავს 260-დან – 274-ე მუხლებს. ნარკოტიკულ დანაშაულობათა საერთო ობიექტია საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი. გვარეობითი ობიექტია საზოგადოებრვი უშიშროება, ხოლო უშუალო ობიექტია როგორც მოსახლეობის ჯანმრთელობა, ისე საზოგადოებრივი ურთიერთობები ნარკოტიკების სახელმწიფო ბრუნვის სფეროში. [11]

ჩამოთვლილი მუხლებიდან გამომდინარე, იქმნება ზოგადი წარმოდგენა თუ რამდენ სფეროზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას ნარკომანიასთან დაკავშირებული დანაშაულები.

ნარკოტიკული დანაშაულების სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში. ამ შემთხვევაში, დამნაშავეს გათვითცნობიერებული აქვს თავისი ქმედების შინაარსი, იცის, რომ ეს ქმედება მართლსაწინააღმდეგოა ანუ დანაშაულია, მაგრამ მაინც განზრახ, შეგნებულად ახორციელებს მას. [12] ნარკოტიკული დანაშაულების ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს როგორც კონკრეტული მოქმედებით, მაგალითად, როდესაც პირი ფიზიკურ მოქმედებას ახორციელებს და ისე სჩადის დანაშაულს. ან გამოიხატოს უმოქმედობაში, მაგალითად, როდესაც პირი ინახავს ნარკოტიკულ საშუალებას და ამისთვის იგი არ ახორციელებს არანაირ მოქმედებას.

არსებობს მოსაზრება, რომ სისხლის სამართლის კოდექსის გარკვეულ მუხლებში არის გარკვეული ხარვეზი. კერძოდ:

სსკ კოდექსის 260-ე მუხლი ეხება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადებას, წარმოებას, შეძენას, შენახვას, გადაზიდვას, გადაგზავნას ან გასაღებას. ამავე მუხლშია მოცემული იურიდიული პირის მიმართ გამოყენებადი სანქციები. კერძოდ,

---

ა.ნასრაშვილი „ნარკოპოლიტიკა საქართველოში შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდეციები“

12

ზემოხსენებული მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ლიკვიდაციით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით და ჯარიმით. ამ სანქციიდან გამომდინარე, ჩანს, რომ დანაშაულის არსებობის შემთხვევაში, იურიდიული პირის მიმართ ყველაზე მძიმე სანქციის ფორმაა მისი ლიკვიდაცია. ამ სანქციის ფორმას თუ შევადარებთ სხვა ნარკოტიკული დანაშაულის შემცველ დანაშაულებრივ მუხლებს, შევნიშნავთ, რომ ამ მუხლში სხვა მუხლებთან შედარებით, იურიდიული პირისათვის სანქციის ყველაზე მკაცრი ფორმაა გათვალისწინებული, ეს არის იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ჯარიმა, მიუხედავად იმისა, რომ ამ მუხლის შინაარსი სხვა მუხლებთან შედარებით უფრო მსუბუქია; [13] სსკ 265-ე მუხლი, რომელიც ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვას, მოყვანას ან კულტივირებას ითვალისწინებს. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. როგორც ვხედავთ, 265-ე მუხლში დანაშაული გამოიხატება ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის დათესვასა და კულტივირებაში. იურიდიული პირისათვის კი, ამ მუხლის ყველაზე მკაცრი სანქციის ფორმაა მისი ლიკვიდაცია და ჯარიმა. სსკ 260-ე მუხლში, რომელიც სხვა ქმედებებთან ერთად მოიცავს ნარკოტიკული საშუალების გასაღებასაც, იურიდიული პირისთვის ყველაზე მკაცრ სანქციად ითვალისწინებს მხოლოდ ლიკვიდაციას.[14] სსკ 271-ე მუხლს, რომელიც აწესრიგებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, ფსიქოტროპული ნივთიერების, მისი ანალოგის უკანონოდ მოხმარებისათვის ბინის ან სხვა სადგომის დათმობას. ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციით და ჯარიმით. აქაც იმავე პრობლემას ვხვდებით. 260-ე მუხლში მოცემული დანაშაულებრივი შინაარსი გაცილებით უფრო მძიმე ქმედებას ეხება, ვიდრე სსკ 271-ე მუხლის შინაარსშია მოცემული. მიუხედავად ამისა, სსკ 271-ე მუხლის სანქციის ყველაზე მკაცრი ფორმა იურიდიულ პირთან მიმართებაში არის ლიკვიდაცია და ჯარიმა. 260-ე მუხლში კი სანქცია იურიდიული პირისათვის ითვალისწინებს მხოლოდ ლიკვიდაციას;[15] სსკ 273-

---

[13] მოსულიშვილი ა., ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები, დისერტ., 2007,გვ.97,

http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf

[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426

[15] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, „მერიდიანი“,გვ. 131 https://tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/arasrulw-martl-II.pdf

ე მუხლით, პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე. შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა არ უნდა იყოს ამ ქმედებისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით განსაზღვრული ჯარიმის ორმაგ ოდენობაზე ნაკლები. მოცემული მუხლით გათვალისწინებული ქმედება იმაში გამოიხატება, რომ ნარკოტიკების პირადი მოხმარების გამო, საბოლოო ჯამში, პირს ეკისრება თავისუფლების აღკვეთა. სანქციის ასეთი მკაცრი ფორმის შემოღება მიზნად ისახავდა ნარკოტიკების მომხმარებელთა შორის შიშის გრძნობის გაჩენას და კანონმდებელი ვარაუდობდა, რომ ამდაგვარი სანქციის შემოღებით შემცირდებოდა ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა. ნარკოტიკულ დანაშაულთა ზოგადი სტატისტიკით, ნარკოტიკების მომხმარებელ პირთა რაოდენობა, რომლებიც მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის საფუძველზე იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთის სახით კი არ შემცირდა, არამედ, პირიქით, საგრძნობლად გაიზარდა..[16]

სსკ 260 მუხლი ძალიან ბევრჯერ შეიცვალა. ამასთან, აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით რამდენჯერმე დავა მიმდინარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოში და შესაბანმისად, საკონსტიტუციო სასამართლომ თავის სამ გადაწყვეტილებაში არაკონსტიტუციურად ცნო სსკ-ის 260-ე მუხლის გაკრვეული ნორმატიული შინაარსი. ამ დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვაში გამოიხატება, შეუძლებელია მისი ჩადენა გაუფრთხილებელობით ანდაც არაპირდაპირი განზრახვით. რაც შეეხება განსახილველი მუხლის ობიექტურ შემადგენლობას, ის ძალზედ

[16] მოსულიშვილი ა., ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები, დისერტ., 2007,გვ.114
http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf

მრავალფეროვნებით გამოირჩევა. კერძოდ, ერთ მუხლში მოქცეულია სხვადასხვა ქმედებები, რომელთაც თუნდაც ერთის, ანდაც რამდენიმე მათგანის ჩადენა ექცევა სსკ-ის 260-ე მუხლის ფარეგლებში. მოდით განვიხიოთ თითოეული მათგანი.

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა. [17]უკანონო დამზადებაში იგულისხმება განზრახი მოქმედება, როცა პირი, ვისაც ამის უფლება არა აქვს, ნარკოტიკის შემცველი მცენარისაგან, პრეპარატისაგან მექანიკური, ფიზიკური თუ ქიმიური მეთოდების გამოყენებით მიიღებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს ან პრეკურსორს. უკანონო დამზადებად ჩაითვლება აგრეთვე მოქმედება, რომლის შედეგადაც მოცემულ ნარკოტიკულ საშუალებაში გაიზარდა ნარკოტიკული ნივთიერების შემცველობა. უკანონო დამზადება დამთავრებულად ითვლება მაშინ, როცა მიღებული იქნება გამოყენებისათვის მზა ნივთიერება. თუ ვერ მოხერხდა გამოყენებისათვის მზა ნივთიერების შექმნა, მაშინ ადგილი ექნება დამზადების მცდელობას. უკანონო წარმოების დროს ადგილი აქვს არა ერთი ან რამდენიმე ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მიღებას, არამედ მათ სერიულ მიღებას, რაც უფრო საშიშია, ვინაიდან მასშტაბურ ხასიათს ატარებს. წარმოება კანონიერია მაშინ, როცა მას შესაბამისი ლიცენზიის მფლობელი იურიდიული პირი აწარმოებს. უკანონო შეძენა გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოპოვებას უკანონოდ. მაგალითად: ყიდვა, მათი მიღება გასესხებული ფულის ნაცვლად, სხვისთვის გაწეული შრომის გამო, სხვა ნივთში გაცვლა, ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალების მითვისება, ველურად ამოსული მცენარეების შეგროვება. უკანონო შენახვაში იგულისხმება ნებისმიერი განზრახი ქმედება, რაც გამოიხატება უკანონო მფლობელობაში არსებული ნარკოტიკული საშუალების ადგილსამყოფელის მიჩენაში. მაგ. ბინაში, გარაჟში, მანქანის საბარგულში და ა.შ. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების შენახვის უფლება აქვს შესაბამისი ლიცენზიის მქონე იურიდიულ პირს, ასევე იურიდიულ მეწარმეს. ამ უკანასკნელს უფლება აქვს შეინახოს მხოლოდ პრეკურსორი. რაც შეეხება უკანონო ბრუნვიდან ამოღებულ ნივთიერებებს, მათი შენახვა შეუძლიათ

---

[17] https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/239906265-e1GV9Jm2u7rmsCe65wKzPTw5jtS38n2tVEGie183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e18399e18394e183a0e183ab.pdf
მ.ლეკვიაშვილი, მ.თოდუა გ,მამულაშვილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი თბილისი 2011

უფლებამოსილ სახელმწიფო დაწესებულებებს. შენახვის უფლება აქვთ ასევე ფიზიკურ პირებს პირადი მოხმარებისათვის სამკურნალო მიზნით. უკანონო სენახვა თავის მხრივ წარმოადგენს დენადი დანაშაულის სახეს, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით და დამთავრებულად ითვლება მისი შენახვის დასრულების ან აღკვეტისთანავე. უკანონო გადაზიდვას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების გადაადგილება ერთი ადგილიდან საქართველოს სხვა ადგილას მისი განთავსების მიზნით, ტვირთის გამგზავნის ან ადრესატის თანდასწრებით. კანონიერი გადაზიდვის უფლება აქვს იურიდიულ პირებს მათ გამოყენებაზე სპეციალური ლიცენზიის არსებობისას, პოლიციის დაცვის თანხლებით. ფიზიკურ პირებს უფლება აქვთ იმ შემთხვევაში, როდესაც აფთიაქები გასცემენ სპეციალურ დოკუმენტს ამ ნივთიერებათა მიღების კანონიერების თაობაზე. უკანონო გადაზიდვაში იგულისხმება კონტროლს დაქვემდებარებული ნივთიერების საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი საშუალებით გადაადგილება ტვირთის გამგზავნისა და ადრესატის დაუსწრებლად. ეს დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება აღნიშნული ნივთიერების ბარგის სახით ფოსტაში ან სხვა დაწესებულებაში ჩაბარების მომენტიდან მისი სხვა ადგილას გადაგზავნის მიზნით.

სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ამ მუხლთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ორი გადაწუვეტილება. ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელითაც შესაძლებელი იყო თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ნარკოტიკული საშუალება გამომშრალი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის და 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის

პირადი მოხმარების მიზნით უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის. ეს არ ნიშნავას იმას, რომ მთლიანად მუხლის პირველი ნაწილი იქნა არაკონსტიტუციურად ცნობილი. საუბარია იმაზე, რომ შეუძულებელია გამოყენებული იქნას სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ მარიხუანის უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის. ისიც, მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით. ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა შესაძლებელია იყოს როგორც გამომშრალ მდგომარეობაში, ასევე ნედლ მდგომარეობაში. როგორც აღვნიშნეთ, პირადი მოხმარების მიზნით ხმელი მარიხუანის უკანონოდ შეძენა-შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არაკონსტიტუციურია. ხოლო ნედლი მარიხუანის შემთხვევაში

თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არაკონსტიტუციური მხოლოდ 100 გრამამდე ოდენობისთვის. სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილი ეხება ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას. აღნიშნული ნივთიერება ცნობილია და გავრცელებულია ე.წ. „ბიოს“ სახელით. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება სსკ-ის 260-ე მუხლში გამოჩნდა 2014 წლის 16 აპრილს განხორციელებული ცვლილებების დროს. ეს განპირობებული იყო აღნიშნული ნივთიერების საქართველოში მასობრივად გავრცელებით. ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერება არის ქიმური შემადგენლობის და მის მოხმარების შედეგად გამოწვეული მდგომარეობა ყველაზე ახლოსაა მარიხუანის მოხმარებას შედეგად გამოწვეულ მდგომარეობასთან, თუმცა რამდენჯერმე მძაფრი ეფექტი აქვს ვიდრე მარიხუანას. სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებასთან დაკავშირებული ქმედების შემადგენლობები. კერძოდ, ე.წ. „ბიოს“ უკანონოდ დამზადება, წარმოება, შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან გადაგზავნა. აღნიშნული ქმედებები სსკ-ის 260-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებულ შესაბამის ქმედებების იდენტურია, ამდენად მისი ხელახალი დახასიათება საჭირო არ არის. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს ოდენობები (მცირე, დიდიდა განსაკუთრებით დიდი) ოდენობა არ გააჩნია. სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილი შეიცავს მაკვალიფიცირებელ გარემოებებს. კერძოდ, მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა: ა) დიდი ოდენობით, ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, გ) სამსახურეობრივი მდგმარეობის გამოყენებით, დ) არაერთგზის და ე) იმის მიერ ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ამ თავით გათვალისწინებული დანაშაული. ნარკოტიკული საშუალება დიდ ოდენობად რამდენი ითვლება, მითითებულია ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის დანართში. კერძოდ, ამ დანართში განსაზღვრულია ამა თუ იმ ნარკოტიკული საშაულებათა ოდნებობები. აღნიშნულ დამამძიმებელ გარემოებათაგან როგორც ვხედავთ ერთ-ერთი არის წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა. აქ იგულისხმება ჯგუფური დანაშაული, რომელშიც მინიმუმ ორი თანაამსრულებელი მონაწილეობს, ოღონდ აუცილებელია ეს ჯგუფი იყო დანაშაულის ჩადენამდე წინასწარ შეთანხმებული. სამსახურეობრივ მდგომარეობის გამოყნებეაში, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება, იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაულის ამსრულებელი ნარკოტიკული საშუალებას ან ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას უკანონოდ დაამზადებს, შეიძენს, შეინახავს, გადაზიდავს ან გადაგზავნის თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის,

პრივილეგიის ან რეპუტაციის გამოყენებით. ე.ი. დანაშაულის ამსრულებელი საკუთარ სამსახურეობრივ მდგომარეობას იყენებს და იადვილებს დანაშაულის ჩადენას. რაც შეეხება მესამე ნაწილის „ე“ და „დ“ ქვეპუნქტებს, აქ მოცემულია არაერთგზისობის ორი შემთხვევა. კერძოდ, „დ“ ქვეპუნქტში მოცემულია იგივეობრივი არაერთგზისობის შემთხვევა. ე.ი. წინათ ნასამართლები პირის (ამ შემთხვევაში სსკ-ის 260-ე მუხლით) იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ხოლოე „ე“ ქვეპუქტში მოცემულია ერთგვაროვანი არაერთგზისობის შემთხვევა. ე.ი. ნარკოტიკული დანაშაულის თავში შემავალი რომელიმე დანაშაულისთვის ნასამართლები პირის მიერ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა. ამასთან, ნასამართლობა არცერთ შემთხვევაში მოხსნილი ან გაქარწყლებული არ უნდა იყოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დამაძიმებელ გარემოებასაც შეეხო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. კერძოდ, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი არა მთლიანად მე-3 ნაწილი, არამედ მისი მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც იძლეოდა თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება - დეზომორფინის 0.00009 გრამის ოდენბით უკანონოდ დამზადების, შეძენისა და შენახვისათვის. რაც შეეხება განსახილველი მუხლის მე-4 ნაწილს, აქ მოცემულია ისეთი მეტად დამამძიმებელი გარემოება, როგორიც არის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონოდ გასაღება. უკანონო გასაღებაში იგულისხმება ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების სხვა პირისათვის უკანონო გადაცემის ნებისმიერი ხერხის როგორც საზღაურით, ისე საზღაურის გარეშე. ეს ხერხებია: გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა, გასესხება, ვალში გადახდა და ა.შ. უკანონო გასაღებად ითვლება ასევე ნარკოტიკული საშუალების სხვის ორგანიზმში შეყვანა პირის თანხმობით, მაგრამ ასეთი ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება უკანონო გასაღებად, თუ ეს ნარკოტიკული საშუალება ეკუთვნის თვით მომხმარებელს ან იმყოფება მომხმარებლისვე მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში. სსკ-ის 260-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებს, აქ მოცემულია მეტად მაკვალიფიცირებელი გარემოებები. კერძოდ, მე-5 ნაწილში მოცემულია ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის, პრეკურსორის ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების უკანონოდ გასაღება: ა) დიდი ოდენობით, ბ) წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, გ) სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, დ) არაერთგზის და ე) იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული. ხოლო მე-6 ნაწილში მოცემულია ზოგადად სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა განსაკუთრებით დიდი ოდენობით და ორგანიზებული ჯგუფის მიერ. თუმცა,

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის დამამძიმებელი გარემოებები, სადაც საუბარია ოდენობებზე, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან მიმართებაში არ ვრცელდება. სსკ-ის 260-ე მუხლს შენიშვნაში საინტერესო დათქმა აქვს. მუხლი ითავლისწინებს დანაშაულის ქმედითი მონანიების შემთხვევას. კერძოდ, როგორც მუხლის შენიშვნაშია საუბარი, ზოგადად მთლიანად ნარკოტიკული დანაშაულის თავით (და არა მხოლოდ სსკ-ის 260-ე მუხლით) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც საკუთარი სურვილით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, მის ანალოგს, პრეკურსორს, ახალ ფსიქოაქტიურ ნივთიერებას, ფსიქოტროპულ ნივთიერებას, მის ანალოგს ან ძლიერმოქმედ ნივთიერებას, თუ მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.[18] მაგრამ, როგორც შენიშვნაშია დაზუსტებული, ნებაყოფლობით ჩაბარებად უნდა მივიჩნიოთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ქმედება, როდესაც პირი გამოძიების დაწყებამდე წერილობით ან კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით განაცხადებს ამ ნივთიერების ჩაბარების თაობაზე და ამასთან თავისი აქტიური ქმედებით გამოძიებას ხელს შეუწყობს მის ამოღებას. გარდა ამისა, სსკ-ის 260-ე მუხლის შენიშვნაში ასევე მითითებულია, რომ მთლიანად მუხლის მოქმედება (გარდა მისი შენიშვნის იმ ნაწილებისა, ქომელიც ქმედით მონანიებას ეხება) არ ვრცელდება ისეთ ნარკოტიკულ საშუალებებზე, როგორცი არის კანაფი და მარიხუანა.[19] როგორც ცნობილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემულია ერთადერთი 45-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით უკანონოდ შეძენას ან შენახვას გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარებას ექიმის დანიშნულების გარეშე. პირველი ნაწილით აკრძალული ქმედებისათვის ჯარიმა 500 ლარის ოდენობითაა, ან, გამონაკლის შემთხვევებში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად ჩაითვლება და გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღემდე ვადით. .[20]

მოცემული მუხლი ითვალისწინებს შენიშვნას, რომლის პუნქტებში მითითებულია:

---

[18] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=224

[19] საქართველოს შსს სსიპ პოლიციის აკადემია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია თბილისი 2019

[20] მოსულიშვილი ა., ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები, დისერტ., 2007,გვ.115 http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000383/amiran%20mosuliSvili%20narkomaniis%20kriminologiuri%20daxasiaTeba%20da%20masTan%20brZolis%20aspeqtebi.pdf

თუ პირი ნებაყოფლობით ჩააბარებს ნარკოტიკულ საშუალებას, რომელიც მას აქვს მცირე ოდენობით და რომელიც შეიძინა ან შეინახა გასაღების მიზნის გარეშე, აგრეთვე, რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასთან დაკავშირებით მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად, თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისათვის (კანონის თანახმად, აღნიშნული ნორმა მიღებულია 2006 წლის 28 აპრილიდან, ხოლო ამოქმედდა 2006 წლის 1 ნოემბრიდან); პოლიციელი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს, გამოკვლევის მიზნით, წარუდგენს იმ პირს, რომლის მიმართაც არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან ნარკოტიკული საშუალება ექიმის დანიშნულების გარეშე მოიხმარა. (ცვლილება მიღებულია 2006 წლის 27 დეკემბერს); უფლებამოსილი პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტის დადგენის წესი განისაზღვრება საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.(ცვლილება მიღებულია 2006 წლის 27 დეკემბერს). [21] კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარებისთვის პირს თავდაპირველად ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო შემდგომში კი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, ეს თავისუფლების აღკვეთაა.

აქედან გამომდინარე, ხშირად სანქციის ამდაგვარი ფორმა ეკისრებათ ისეთ პირებს, რომლებიც არ არიან ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება და მათი ყოველდღიური ქცევა არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას. ამ კატეგორიის პირებმა, შესაძლებელია, ხანგრძლივი დროის პერიოდში არ მოიხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებები, მაგრამ რამდენჯერმე იქნან მხილებული მათ მოხმარებაში, რაც თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს. აქ ჩნდება პრობლემა, რომ კანონის საფუძველზე სამართლიანად არ ხდება ნარკოტიკების მომხმარებელთა პირობით კატეგორიებად დაყოფა და აქედან გამომდინარე, მათთვის შესაბამისი სახდელის ან სანქციის მართებულად დაკისრება.

---

[21] მოსულიშვილი ა., ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები, დისერტ., 2007,გვ.115 იქვე, გვ.116

დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების ყველა მომხმარებლის მიმართ ხორციელდება თანაბარი საკანონდებლო ზემოქმედება, მიუხედავად იმისა, თუ როგორი საშიშია იგი საზოგადოებისათვის, ანდა არის თუ არა პირი ნარკოტიკების იშვიათად მომხმარებელი თუ ნარკოტიკებზე დამოკიდებული და მათი სისტემატურად მომხმარებელი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ, ნარკოტიკების მომხმარებლისათვის თავისუფლების აღკვეთით არ მიიღწევა მთავარი მიზანი, მისი ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა. შეიძლება ითქვას, პირიქით, მისი მდგომარეობა უფრო უარესდება. მდგომარეობა უფრო მეტად მძიმდება, როდესც ნარკოტიკების მომხმარებელი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში აქტიურ ურთიერთობაშია დამნაშავე სამყაროს წევრებთან, კრიმინალურ ელემენტებთან. ამით არის განპირობებული, რომ დღეს დღის წესრიგში დგას ნარკოპოლიტიკის რეფორმის საკითხი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ახალი ნარკოპოლიტიკის შემოღებას, რომლის მიხედვით, რეპრესიული სისხლის სამართლებრივი მექანიზმები მკურნალობით, რეაბილიტაციითა და პრევენციის მექანიზმებით შეიცვლება, რაც ნიშნავს არსებული საკანონდებლო ბაზის, როგორც ნარკომანიასთან ბრძოლის მთავარი საფუძვლის სრულყოფას და დახვეწას, რათა უფრო ეფექტური გახდეს ზოგადად ნარკომანიასთან ბრძოლა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებით საქართველოს სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა ნარკოდანაშაულთან მიმართებით პირველი და ყველაზე ხმაურიანი ნაბიჯი გამოდგა რომელსაც თან სდევდა როგორც მოსალეობის მხრიდან აქტიური ბიძგი ასევე არასამთავრობო და ადამიანის უფელბადამცველთა სექტორის დიდი ბრძოლა, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნარკოპოლიტიკის სფეროში ლიბერალური საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება განპირობებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებით. ბოლო წლებში თვალშისაცემი იყო ხელისუფლების პოლიტიკა, ნარკოპოლიტიკის თაობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღების ნაცვლად, ქვეყანაში ნარკოვითარებასთან დაკავშირებული სიმძიმე საკონსტიტუციო სასამართლოზე გადაეტანა და სწორედ მისთვის მიენდო ცვლილებების საკითხი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედი ნარკოპოლიტიკის ძირითად

მახასიათებლებს მწვავედ აკრიტიკებდა, ხელისუფლება მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილებების აღსრულების რეჟიმში რჩებოდა. იგი უარს ამბობდა, სასამართლოს ზოგადი მითითებების საფუძველზე, რეფორმის

სისტემური პროცესი დაეწყო[22] შეიძლება ითქვას, რომ ამ დრომდე, ნარკოპოლიტიკის სფეროში სასჯელთა ჰუმანიზაციის და პროპორციულობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი დამსახურებაა. სასამართლოს პრაქტიკით, 2015 საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებით, თავდაპირველად, (70 გრ-მდე) მარიხუანის მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისთვის გაუქმდა სისხლისსამართლებრივი სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთა. მოგვიანებით კი, სასამართლომ მარიხუანის/კანაფის მოხმარებისთვის, ზოგადად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა ცნო არაკონსტიტუციურად. [23]საბოლოოდ, 2018 წლის 30 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია მარიხუანის მოხმარების ზოგადი, ბლანკეტური ხასიათის აკრძალვა, ადამიანის პიროვნული ავტონომიით დაცულ სფეროში ჩარევის არაპროპორციულობის გამო და გააუქმა ადმინისტრაციული სანქცია მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის. ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, კერძო, სივრცეში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზება მოხდა. ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, ქმედების სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, სრულად გამორიცხავს მისი გასაღების და ამ გზით სხვა ადამიანთა ჯანმრთელობის დაზიანების რისკებს. სწორედ ამიტომ, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, სადავო ნორმებით გათვალისწინებულ სხვა დასჯად ქმედებებთან შედარებით (დამზადება, შეძენა, შენახვა), ყველაზე ნაკლები საზოგადოებრივი საფრთხის მატარებელი ქმედებაა. ამასთან, ნარკოტიკული საშუალების მოხმარება თავისთავად მიუთითებს მის დამზადებაზე ან შეძენასა და შენახვაზე. აშკარაა, რომ პირი საკუთარი ნებით ნარკოტიკულ საშუალებას ვერ მოიხმარს, თუ მასზე გარკვეული ფორმით მფლობელობა არ განახორციელა. ამდენად, ერთი მოხმარებისთვის საკმარისი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების დამზადება, შეძენა და შენახვა მისი მოხმარების განუყოფელი ნაწილია , პირადი მოხმარების მიზნით გამომშრალი მარიხუანის შეძენა-შენახვისთვის სახელმწიფოს მიერ სანქციის სახით უხეშად არაპროპორციული სასჯელის დაწესება თავისუფლების აღკვეთის სახით იმ პირობებში, როცა მინიმალური სასჯელი ზედმეტად მკაცრია და მოსამართლეს არა აქვს ბრალდებულისათვის მინიმუმზე დაბალი სასჯელის ან სხვა მსუბუქი ალტერნატიული ღონისძიების შეფარდების შესაძლებლობა, შეიძლება

[22] https://emc.org.ge/ka/products/sakonstitutsio-sasamartlos-gadatsqvetilebebi-narkopolitikaze-da-akhali-sakanonmdeblo-charchos-autsilebloba

[23] ა.ნასრაშვილი „ნარკოპოლიტიკა საქართველოში“ https://emc.org.ge/ka/products/narkopolitika-sakartveloshi-shecherebuli-reforma-da-akhali-tendentsiebi

ჩაითვალოს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცული ადამიანის ღირსების ხელყოფად. დემოკრატიულ და სამართლებრივ ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ სახელმწიფოში, გასაღების მიზნის გარეშე, პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე მარიხუანის შეძენა-შენახვისათვის არ შეიძლება დაწესებული იყოს 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთა[24].

თავისუფლების სამართლებრივ მასშტაბს ადამიანის ღირსება ქმნის, ამიტომ თავისუფალი ადამიანების საზოგადოება იმ სახელმწიფოთა უპირატესობაა, სადაც ადამიანის ღირსება ღირებულებათა სისტემის საფუძველია. ღირსება არის თითოეული ადამიანის თვითმყოფადობის საფუძველი და თანაბარი გარანტია, იყოს სხვებისგან განსხვავებული საკუთარ უნარებზე, შესაძლებლობებზე, გემოვნებაზე, განვითარების გზის ინდივიდუალურ არჩევანზე დამოკიდებულებით. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი ადამიანის ღირსების ფუნდამენტური პრინციპის აღიარებით სწორედ ასეთი წესრიგის გარანტირებას ემსახურება, რაზეც არაერთხელ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ. „...კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნორმის შესაბამისად, მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის რესპექტირებაზე... ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია. სახელმწიფოსათვის ადამიანი არის უმთავრესი მიზანი, პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება.[25] მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანზე ორიენტირებით სასჯელის დაწესება ან გამოყენება არღვევს ბალანსს, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს და ემსახურებოდეს სასჯელის დანიშვნა ზოგადად. გაუმართლებელია პირისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ საზოგადოების დამოკიდებულებაზე ზემოქმედებისთვის, ვინაიდან თავისთავად ეს გარემოება სასჯელს უხეშად არაპროპორციულ სასჯელად აქცევს.

საკონსტიტუციო სასამართლომ გადაწყვეტილებაში სასჯელის სახელმწიფოს პოლიტიკისა და ადამინის ურთიერთმიმართებასთან განამრტებისას მიუთითა, რომ : „ ადამიანი არ შეიძლება იყოს სისხლის სამართლის

[24] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=2133
[25] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1043

პოლიტიკის ინსტრუმენტი და დანაშაულთან ბრძოლის საშუალება, ადამიანი არის მიზანი, რომელზე ორიენტირებითაც მოქმედებს ხელისუფლება, მათ შორის, სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავების პროცესშიც, უფრო ზუსტად კი, სისხლის სამართლის პოლიტიკის შემუშავებაც სწორედ ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. როგორც აღინიშნა, სასჯელთა ზოგადი პრევენცია საზოგადოებაში სამართლისადმი - საზოგადოების წვერთა მიერ შეთანხმებული საყოველთაო წესებისადმი პატივისცემის მიღწევას და შენარჩუნებას ემსახურება. ამ ფუნქციის ძალით, კონკრეტული სასჯელის მარეგლამენტირებელი ნორმების ადრესატი მთელი საზოგადოებაა, ხოლო მიზანი - კორექტული და კონფორმული ქცევის ხელშეწყობა, გაძლიერება. თუმცა ამ მიზნის ასეთი ფუნქცია თავისთავად საეჭვო ხდება, აღარაფერს ვამბობთ, მისი რეალურად მიღწევის შესაძლებლობის საეჭვოობაზე, თუ კონკრეტული ქმედებისთვის დაწესებული სასჯელი მხოლოდ ამ მიზნითაა პირობადებული და შედეგად არაპროპორციულად მკაცრი, არაადეკვატური, გაუმართლებელი, უსამართლოა. რადგან ასეთ პირობებში, სამართალს ექნება ცდუნება, საზოგადოებაში შეთანხმებული წესებისადმი და ერთმანეთისადმი პატივისცემა უზრუნველყოს მხოლოდ შიშზე დაყრდნობით. ასეთი მიდგომა კი თავისთავად შეურაცხყოფს ადამიანის ღირსებას და სამართლებრივ სახელმწიფოში სამართალს უკარგავს მთავარ ფუნქციას.[26]“ საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენების საფრთხის გამო პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ემსახურება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს, რომ სხვამაც არ ჩაიდინოს იგივე ქმედება და საკუთარ ჯანმრთელობას ზიანი არ მიაყენოს. მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანი, კონსტიტუციური გამაშუალებლის, ანუ პროპორციულობის გარეშე, მიემართება კონკრეტულ ინდივიდს და აქცევს მას ძალაუფლების ობიექტად, რადგან, სასჯელი ლეგიტიმაციას არ იღებს ქმედებისგან, მას არ ამართლებს პირის ქმედებიდან მომდინარე საშიშროება. ამგვარად, ადამიანი იქცევა ინსტრუმენტად სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რაც გარდაუვლად იწვევს მისი ღირსების ხელყოფას, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსტიტუციის შეუსაბამოა პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ავტორს უქმნის საფრთხეს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ. უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაკისრება პირისთვის ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს. ამდენად, მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვისთვის

[26] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1043

სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება, რომელიც შესაძლოა იწვევდეს პირის თავისუფლების აღკვეთას, წარმოადგენს არაპროპორციულ ზომას ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[27] ნებისმიერი არაპროპორციული სასჯელი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მაშინ, როდესაც ამისთვის საფუძველი არ არსებობს საერთოდ, ან როდესაც პასუხისმგებლობის ზომა დისპროპორციაშია ჩადენილი ქმედების სიმძიმესთან, არღვევს პირის თავისუფლების უფლებას. იმავდროულად, იმისათვის, რომ პატიმრობის კონკრეტული ვადა ჩაითვალოს არაადამიანურ და სასტიკ სასჯელად, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის ინტენსივობის, სიმკაცრის ძალიან მაღალ ხარისხს უნდა აღწევდეს, აშკარად, გამოკვეთილად, უხეშად არაპროპორციული უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში, როდესაც ნორმა, მისი ბლანკეტურობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს პირისთვის თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას, მათ შორის, მხოლოდ იმის გამოც, რომ პირმა საკუთარ ჯანმრთელობას შეიძლება მიაყენოს ზიანი, როდესაც არ არსებობს რეალური რისკები სხვების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისა (ვინაიდან ნორმა უშვებს პირის დასჯას მაშინაც, როდესაც შეძენა/შენახვა არ ხდება რეალიზაციის მიზნით), ცხადია, აშკარაა სასჯელის სისასტიკე და მკაფიო არაადეკვატურობა, რადგან ასეთი მკაცრი სასჯელი გამოიყენება როგორც ადამიანის დასჯის მიზანი და არა როგორც ლეგიტიმური მიზნების დაცვის უკიდურესი და აუცილებელი საშუალება. შედეგად, ადამიანი სახელმწიფოს ხელთ ხდება ინსტრუმენტი და არა დაცვის ობიექტი. მაშასადამე, სახეზეა ადამიანის ღირსების ხელყოფა არაადამიანური, სასტიკი სასჯელის დაწესების გზით, თუმცა, ამავე გადაწყვეტილებაში, მარიხუანის მოხმარების კანონმდებლის მიერ რეგულირების მიზანშეწონილობაზე გამახვილდა ყურადღება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიზანს სხვა პირთათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის მიერ მარიხუანის მოხმარების შეზღუდვის საჭიროებაზე მიუთითა მარიხუანის მავნე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში და/ან მათი თანდასწრებით მარიხუანის მოხმარების შემთხვევაში .

საკანონმდებლო ცვლილებით შეზღუდვა დაწესდა არასრულწლოვნებისა და 21 წლამდე პირების მიერ მცენარე კანაფის/მარიხუანის მოხმარებაზე. მკაცრი პასუხისმგებლობა განისაზღვრა არასრულწლოვნების თანდასწრებით, ასევე არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ სასწავლო, საგანმანათლებლო,

[27] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1043

სააღმზრდელო დაწესებულებებში მარიხუანის მოხმარებისთვის25 და ამ ქმედების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადენისთვის. ასევე, პასუხისმგებლობა დაწესდა დაწესებულების მიერ მცენარე კანაფის ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამოვლენილ ფაქტზე რეაგირების არარსებობისთვის. ადმინისტრაციული სანქციები გამკაცრდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა პოპულარიზაციასა და რეკლამაზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კანაფთან დაკავშირებული რეგულაციების ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილების პირდაპირი აღსრულებისკენ იყო მიმართული ისე, რომ კანონპროექტის ინიცირებისა და საპარლამენტო განხილვების ეტაპზე, არ ყოფილა მცდელობა, თუნდაცსაკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომებზე დაყრდნობით, ფართოდ მოწესრიგებულიყო მარიხუანასთან დაკავშირებული თემები. საკანონმდებლო ორგანომ თავი აარიდა მსჯელობას, პირად სივრცეში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზების პირობებში, საკანონმდებლო დონეზე განესაზღვრა ამ ნივთიერების მოპოვების წესი და სავარაუდოდ, ეს საკითხიც საკონსტიტუციო სასამართლოს სამომავლო განხი ვას მიანდო. ამასთან, ბუნდოვანია მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული ის საკანონმდებლო რეგულაციაც, რომელიც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამკაცრებით შეეხო არასრულწლოვნებსა და 21 წლამდე ასაკის პირებს. პრობლემურია, რომ კანონმდებელი მარიხუანის პოტენციური ნეგატიური ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა, ასევე 21 წლამდე პირთა დაცვის მიზნით, ზრუნვაზე ორიენტირებული პოლიტიკის ნაცვლად, კვლავაც რეპრესიულ მექანიზმებს იყენებს.[28]

1.3 ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო ცვლილებები და ანალიზი

საქართველოში არსებული ნარკოდანაშაულის საკანონმდებლო მიდგომები, რომელიც ხისტი და მკაცრი რეაგირების ვალდებულებებს წარმოშობდა როგორც საგამოძიებო ორგანოებისთვის ასევე სასამართლოსთვის, დაგვაყენა იმ რეალობის წინაშე რომ სიმკაცრე არათუ არ ამცირებს ნარკოდანაშაულის რაოდენობას, არამედ, ნარკოდანაშაულის სიმრავლესთან ერთად წარმოშვა ახალი სამართლებრივი პრობლემა რაც ადამიანის უფლებების დარღვევას ადასტურებდა, ამ ფაქტს მოწმობს როგორც საგამოძიებო ორგანოს ასევე სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნულიდან გამომდინარე კი

[28] ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 451-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 451-ის მე-14 ნაწილი.
ა.ნასრაშვილი „ნარკოპოლიტიკა საქართველოში“

ლოგიკურია რომ სამოქმედო არეალი უნდა შეიცვალოს და ცვლილების ეტაპი საკანონმდებლო ბაზიდან უნდა დაიწყოს იმ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ, რაც პირველ რიგში საზოგადოების და ამგვარად დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების ინტერესებს წარმოადგენს. საქართველოს კანონს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ. დანართის სახით ერთვის ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების ნუსხა, რომელშიც განსაზღვრულია მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი. აღნიშნულით განისაზღვრება ნივთიერებაში ნარკოტიკის შემცველობის ოდენობა, ეს ოდენობა იქნება მცირე, დიდი, თუ განსაკუთრებით დიდი ოდენობა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაციისთვის. თუ ადმინისტრაციული სახდელის დადებისთვის. ნარკოტიკული საშუალებების ოდენობები მოცემულია და განისაზღვრება (შემავსებლების ფქვილის, სახამებლის შაქრის და სხვათა) გარეშე ანუ აქ მიჩნეულია მხოლოდ ნარკოტიკული ნივთიერება რაც იწვევს ნარკოტიკულ თრობას. აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით გავაკეთებ მცირე განმარტებას, აღნიშნულ ცხრილში პირბელი მაჩვენებლიდან მეორე მაჩვენებლის ჩათვლით ნივთიერება ითვლება მცირე ოდენობად, მეორე მაჩვენებლიდან მესამე მაჩვენებლის ჩათვლით ითველბა დიდ ოდენობად, ხოლო მესამე მაჩვენებლის ზევით განსაკუთრებით დიდ ოდენობად, ხოლო პირველ გრაფაში მოცემული ოდენობის ჩათბლით ითვლება საწყის ოდენობად, ზემოაღნიაშნულიდან გამომდინარე ინტერესს იწვევს ჰეროინი , მეტამფეტამინი, რადგან მათ არ აქვს მცირე ოდენობა განსაზღვრული, რაც იმას ნიშნავს რომ 1 გრამამდე ნებისმიერი ოდენობა ითველბა დიდ დენობად რაც სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს, [29] ამ უკანასკნელ საკითხზე, მიღებულია საკონსტიტუციო სასამართლოს 04,07,2020 წლის გადაწყვეტილება , რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ნარკოპოლიტიკის ცვლილებას, და ხაზს უსვამს იმ ფაქტს რომ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა იხვეწება, და სზოგადოების ინტერესსთა თანხვედრაში ხვდება რაც ერთმნიშვენლოვნად სახელმწიფოს დემოკრატიული გზით წინსვასლ გულისხმობს, და საკანონმდებლო ხარვეზის სამართლებრივი გზით გადაჭრის წინგადადგმული და პერსპექტიული ნაბიჯია, საკონსტიტუციო სასამართლოს კი ზემოაღნიშნულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა მცირე ოდენობასთან დაკავშირებით შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

[29] **საქართველოს კანონი**
[ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ]

კონსტიტუციურად სადაო ნორმას წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე“ იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენისა და შენახვისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 109-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება - მეტამფეტამინის 0,0003 გრამის ოდენობით უკანონო შეძენისა და შენახვისთვის საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტიან მიმართებით. [30] ნარკოტიკული საშუალების სახეს ისევე, როგორც მის ოდენობას დიდი მნიშვნელობა აქვს მისგან მომდინარე საფრთხეების იდენტიფიცირების კუთხით. ამასთან, აღნიშნული ფაქტორები რელევანტურია მაშინ, როდესაც სასამართლო აფასებს ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად ვარგისი ოდენობის შენახვისათვის გათვალისწინებული სასჯელის კონსტიტუციურობას. ნებისმიერი სხვა სახის ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით დამზადება, შეძენა და შენახვა არ წარმოშობს რაიმე ისეთ დამატებით საფრთხეს, რაც არ იარსებებდა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დეზომორფინის დამზადების, შეძენისა და შენახვის შემთხვევაში. ამასთან, უნდა აღინიშნოს რომ მხოლოდ ნარკოტიკული საშუალების მასაზე მითითებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აღმოჩენილი ნარკოტიკულ საშუალებათა ნარევის მოსახმარად გამოუსადეგარ ოდენობად მიჩნევა, რიგ შემთხვევებში, მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული. სხდომაზე სპეციალისტად მოწვეულმა ექიმ-ნარკოლოგმა გური მენაბდიშვილმა განაცხადა, რომ მეტამფეტამინის მოსახმარად გამოსადეგ მინიმალურ ოდენობას, ჩვეულებრივი ადამიანისთვის წარმოადგენს 0,005 გრამი. ამდენად, მეტამფეტამინის ის ოდენობა, რომელიც ნაკლებია 0,005 გრამზე, როგორც წესი, არ გამოდგება ნარკოგენული ეფექტის მისაღწევად. თუმცა სპეციალისტმა განმარტა, რომ საქართველოში გავრცელებულია მეტამფეტამინის კუსტარულად მიღება მცენარე ეფედრას მეშვეობით. აღნიშნული მცენარე შეიცავს ფსიქოტროპულ ნივთიერებას – ფსევდო ეფედრინს, რომლის დაჟანგვის შედეგადაც მიიღება ხსნარი – „ეფედრას ვინტი“, რომელიც სხვა ნივთიერებებთან ერთად შეიცავს

[30] https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9562

მეტამფეტამინს. აღნიშნული ნარევიდან მეტამფეტამინის ცალკე გამოყოფა რთული ლაბორატორიული სამუშაოების გარეშე, სახლის პირობებში, შეუძლებელია. ამასთან, შესაძლებელია, მიღებულ ხსნარში კონკრეტულად მეტამფეტამინის ოდენობა იყოს 0,005 გრამზე ნაკლები, თუმცა ეს a priori არ ნიშნავს, რომ დასახელებულ ხსნარს არ შესწევს ადამიანის ორგანიზმზე ნარკოგენული ეფექტის მოხდენის უნარი. „ეფედრას ვინტი" მეტამფეტამინთან ერთად შეიცავს ისეთ სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებს, როგორებიცაა – ამფეტამინი და ფსევდოეფედრინი. შესაძლოა, დამოუკიდებლად, არც ერთი ჩამოთვლილი ნივთიერების ხსნარში არსებული ოდენობა არ იყოს გამოსადეგი ნარკოგენული ეფექტის მისაღწევად, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ჩამოთვლილი ნივთიერებები ზემოქმედებს თავის ტვინის ერთსა და იმავე რეცეპტორებზე, მათი კომბინირებული მიღების შემთხვევაში შესაძლებელია, მიღწეულ იქნეს ნარკოგენული ეფექტი.[31]

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მთელ რიგ ნარკოტიკულ საშუალებებს (მაგ., ამფეტამინს, მეტამფეტამინს) არ გააჩნია მცირე და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობები და მათი ნებისმიერი ოდენობა (გარდა განსაკუთრებით დიდი ოდენობისა) წარმოადგენს დიდ ოდენობას. დასახელებული ნარკოტიკული საშუალებების ნარევში აღმოჩენის შემთხვევაში, შესაბამისი ქმედების დაკვალიფიცირება მოხდება სწორედ ამ ნარკოტიკული საშუალების ოდენობაზე გადაანგარიშებით (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ნარევი შეიცავს სხვა აკრძალული ნარკოტიკული ნივთიერების განსაკუთრებით დიდ ოდენობას), განურჩევლად იმისა, წარმოადგენს თუ არა ამ ცალკე აღებული კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების ოდენობა მოსახმარად, ნარკოგენული ეფექტის მისაღწევად საკმარის ოდენობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნარევში არსებული წამყვანი ნარკოტიკული საშუალების გამოუსადეგარი ოდენობა ავტომატურად არ მიანიშნებს ნარევის გამოუსადეგარობაზეც. უმცირესი ოდენობის ნარკოტიკული საშუალებების აღმოჩენა შესაძლებელია როგორც მის მოსახმარად გამოყენებულ ინსტრუმენტზე, ასევე იმ საგანზე (მაგ., ქაღალდზე, რომელშიც რაღაც დროს გახვეული იყო ნარკოტიკული საშუალება), რომელშიც ინახებოდა ნარკოტიკული საშუალება. ყოველივე ზემოხსენებული კი მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოს პირობებში საშუალებას იძლევა, ნივთის ფლობა, რომელზეც აღინიშნება იმ ნარკოტიკული საშუალების კვალი, რომელსაც არ გააჩნია მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწყისი ოდენობა, დაკვალიფიცირდეს დიდი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვად. ამდენად, სადავო ნორმით დადგენილი სასჯელის სახე –

[31] https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9562

თავისუფლების აღკვეთა ვრცელდება, როგორც მოსახმარად გამოსადეგ ნარკოტიკულ საშულებათა ნარევის შენახვაზე, ასევე ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად ანდა შესანახად გამოყენებული ნივთის (შპრიცის, ქაღალდის, რომელშიც რაღაც დროს გახვეული იყო ნარკოტიკული საშუალება) ფლობაზე, რომლის ზედაპირზეც შემორჩენილია ნარკოტიკული საშუალების მიკროსკოპულად მცირე ოდენობის კვალი, ცხადია, მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ამა თუ იმ ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა არ წარმოშობს რაიმე ისეთ დამატებით საფრთხეს, რასაც ადგილი არ ექნებოდა უშუალოდ დეზომორფინის ამავე ოდენობით შეძენა-შენახვის შემთხვევაში. შესაბამისად, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა, მსგავსად მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დეზომორფინის შეძენისა და შენახვისა, ემსახურება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს, რაც ვერ იქნება თვითკმარი საფუძველი სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოსაყენებლად. ამდენად საკონსტიტუციო სასამარტლომა არაკოსნსტიტუციურად ცნო სსკ-სი 260 მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია თავისუფელბის აღკვეთა 5-8 წლამდე რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით უკანონო შეძენისა და შენახვისთვის. სასამართლომ ასევე განამრტა რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი კონსტიტუციური სტანდარტის შესაბამისად, თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს აშკარად არაპროპორციულ სასჯელს მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის. ამასთან, კონკრეტული ნარკოტიკული საშუალების ოდენობა გამოსადეგია თუ არა მოსახმარად, უნდა შეფასდეს საერთო სასამართლოს მოსამართლის მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ინდივიდუალური შეფასების გზით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელის მოთხოვნა სადავო ნორმის ძალადაკარგულად ცნობის შესახებ, უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვისთვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის არაკონსტიტუციურობას.[32]

[32] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=9494&fbclid=IwGV9Jm2u7rmsCe65wKzPTw5jtS38n2tVEGiDtbLrcW77HPEwrJM2Ej2yFNYw

სისხლის სამართლის კანონდებლობის გამკაცრებამ ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ არ გამოიღო დადებითი შედეგი და ნარკოტიკების მომხმარებელთა რაოდენობა სანქციის გამკაცრებით არ შემცირებულა. ობიექტური ვითარებიდან და ნარკოტიკების მომხმარებელთა ანონიმური გამოკითხვის შედეგებიდან ჩანს, რომ ნარკოტიკების მოხმარების გამო, სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება არ ამკვიდრებს ნარკომანთა შორის შიშის ფაქტორს და ისინი არ იღებენ ხელს ნარკოტიკების მოხმარებაზე. საინტერესოა აგრეთვე, იმ შედეგების ანალიზი, თუ რა მოჰყვა ნარკოტიკების მოხმარების გამო ნარკომანთა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსებას.

კანონმდებლობის შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარებისთვის პირს თავდაპირველად ეკისრება ადმინისტრაციული სახდელი ჯარიმის სახით, ხოლო შემდგომში კი, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, ეს თავისუფლების აღკვეთაა. აქედან გამომდინარე, ხშირად სანქციის ამდაგვარი ფორმა ეკისრებათ ისეთ პირებს, რომლებიც არ არიან ნარკოტიკების სისტემატური მომხმარებლები, რომლებსაც არ აქვთ ჩამოყალიბებული ნარკოტიკების მიმართ ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური დამოკიდებულება და მათი ყოველდღიური ქცევა არ უქმნის საფრთხეს საზოგადოებას. ამ კატეგორიის პირებმა, შესაძლებელია, ხანგრძლივი დროის პერიოდში არ მოიხმარონ ნარკოტიკული ნივთიერებები, მაგრამ რამდენჯერმე იქნან მხილებული მათ მოხმარებაში, რაც თავის მხრივ, უკვე წარმოადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს.

ნარკოტიკების მომხმარებელი სასჯელის შესაბამისად, ხვდება თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. ნარკოტიკების მომხმარებლისათვის თავისუფლების აღკვეთით არ მიიღწევა მთავარი მიზანი, მისი ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისაგან თავის დაღწევა. შეიძლება ითქვას, პირიქით, მისი მდგომარეობა უფრო უარესდება. პირი, რომელიც სასჯელიდან გამომდინარე, უკვე თავისუფლებააღკვეთილია, კიდევ უფრო მეტად ხდება ნეგატიური ზემოქმედების წნეხის ქვეშ და მისი გათავისუფლების შემთხვევაშიც კი, ვეღარ ახერხებს ნარკოტიკების მოხმარებაზე უარის თქმას. ხშირ შემთხვევებში, მდგომარეობა უფრო მეტად მძიმდება, როდესც ნარკოტიკების მომხმარებელი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში აქტიურ ურთიერთობაშია დამნაშავე სამყაროს წევრებთან, კრიმინალურ ელემენტებთან. იგი გათავისუფლების შემდეგაც, კვლავ მიმართავს დანაშაულებრივ ქმედებებს ნარკოტიკების შესაძენი სახსრების მოსაპოვებლად.

2007 წლის 3 ივლისის კანონით ამოქმედდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონი, რაც ითვალისწინებს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისათვის ე.ი. ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლისათვის 3 წლის ვადით მნიშვნელოვანი სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევას: ავტომობილის მართვის, საექიმო საქმიანობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენა, შენახვისა და ტარების უფლებებს. ხოლო იმ პირებს ვინც 260-ე მუხლით არიან მსჯავრდებული 5 წლის ვადით ჩამოერთმევათ სატრანსპორტო საშუალების მართვის და მათ შორის 10 წლის ვადით საექიმო საქმიანობის უფლება. იმ პირებს ვისაც გასაღების ფაქტიც დაუდგინდათ უფლებების ჩამორთმევის მაქსიმუმი არის 15 წელი და გარდა ამისა ჩამოერთმევათ უკანონო და დაუსაბუთებელი ქონებაც. კანონი არავითარ გამონაკლისს არ ითვალისწინებდა უფლებების ვადამდე აღდგენის ან ვადის შემცირების თვალსაზრისით.[33]

1.4. ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის გზა.

2017 წლის 22 ივნისს, პარლამენტში, საზოგადოებრივი ჯგუფების ფართო ჩართულობით შემუშავებული კანონპროექტის ინიცირება ხუთმა პარლამენტარმა მოახდინა, რომელსაც წინ უძღოდა ნარკოპოლიტიკის რეფორმაზე ხანგრძლივი დისკუსიები და ფართომასშტაბიანი კამპანია. კანონპროექტი შეიმუშავა „საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნულმა პლატფორმამ“ და ის ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით სახელმწიფოს რეპრესიული პოლიტიკის არსებით ცვლილებას ითვალისწინებს. ამ საკანონმდებლო პაკეტის პარლამენტში წარდგენისა და ჯანდაცვის კომიტეტზე მისი პირველი მოსმენით განხილვის შემდგომ, საკანონმდებლო ორგანოში, დღემდე, გაურკვეველი ვადით არის შეჩერებული.[34] კანონპროექტთან დაკავშირებული სამუშაო პროცესები. საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, ფაქტობრივად, პასუხობს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც მოქმედ ნარკოპოლიტიკას აქვს ადამიანის უფლებებთან მიმართებით. იგი ითვალისწინებს ყველა სახის ნარკოტიკული საშუალების

[33] https://matsne.gov.ge/ka/document/view/22132?publication=11

[34] https://emc.org.ge/ka/products/narkopolitikis-erovnuli-platformis-mimartva-sakartvelos-khelisuflebas

მოხმარებისა და მოხმარების მიზნით ფლობის დეკრიმინალიზაციას. ის, ასევე, სამართლიანად განსაზღვრავს ნარკოტიკული საშუალებების მცირე და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის საწყის ოდენობებს და აწესებს სამართლიან და პროპორციულ სანქციებს ნარკოტიკული დანაშაულისთვის. კანონპროექტი ეხება ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულთა მიმართ დამატებითი უფლებების ჩამორთმევის შესახებ კანონის ბლანკეტური ჩანაწერების გაუქმებასაც. იგი უპირატესობას ანიჭებს მოსამართლის დისკრეციას, თავად განსაზღვროს დამატებითი უფლებების ჩამორთმევისა და უფლებების შეზღუდვის ვადის საკითხები. ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს იძულებითი ნარკოტესტირების მექანიზმის ახლებურ მოდელს დასაფუძვლებს, ისევე, როგორც მკურნალობა-რეაბილიტაციის და პრევენციის სისტემების გაუმჯობესებას და გადარწმუნების კომისიების შექმნას. საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმის მიერ შემუშავებული N07-3/77/9 კანონპროექტი,[35]

ხელისუფლებაში, ამ ფუნდამენტური ცვლილებების გატარების თაობაზე, პოლიტიკური მზაობისა და ერთიანობის არარსებობის გამო, სხვადასხვა ფორმატში საკანონმდებლო პაკეტზე მსჯელობის მიუხედავად, კანონპროექტთან დაკავშირებითპოლიტიკური გადაწყვეტილება დღემდე არ არის მიღებული. ნარკოპოლიტიკის სფეროში ლიბერალური საკანონმდებლო რეგულაციების შემუშავება განპირობებული იყო საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე გადაწყვეტილებით. ბოლო წლებში თვალშისაცემი იყო ხელისუფლების პოლიტიკა, ნარკოპოლიტიკის თაობაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის აღების ნაცვლად, ქვეყანაში ნარკოვითარებასთან დაკავშირებული სიმძიმე საკონსტიტუციო სასამართლოზე გადაეტანა და სწორედ მისთვის მიენდო ცვლილებების საკითხი. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლო მოქმედი ნარკოპოლიტიკის ძირითად მახასიათებლებს მწვავედ აკრიტიკებდა, ხელისუფლება მხოლოდ კონკრეტული გადაწყვეტილებების აღსრულების რეჟიმში რჩებოდა. იგი უარს ამბობდა, სასამართლოს ზოგადი მითითებების საფუძველზე, რეფორმის სისტემური პროცესი დაეწყო. შეიძლება ითქვას, რომ ამ დრომდე, ნარკოპოლიტიკის სფეროში სასჯელთა ჰუმანიზაციის და პროპორციულობის მიმართულებით მიღწეული პროგრესი საკონსტიტუციო სასამართლოს პირდაპირი დამსახურებაა. სასამართლოს პრაქტიკით, 2015 წლიდან

---

35 http://parliament.ge/ge/ajax/downloadFile/110875/2019_%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9D_%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90

მოყოლებული, სრულად შეიცვალა კანაფის/მარიხუანის მოხმარების თაობაზე მანამდე არსებული კანონმდებლობა, ისევე, როგორც სხვა ნარკოტიკული საშუალების მომხმარებლის მიმართ არსებული სანქციების მოცულობები. საკონსტიტუციო სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებით, თავდაპირველად, (70 გრ-მდე) მარიხუანის მოხმარების მიზნით შეძენა-შენახვისთვის გაუქმდა სისხლისსამართლებრივი სანქციის სახით თავისუფლების აღკვეთა.15 მოგვიანებით კი, სასამარ- თლომ მარიხუანის/კანაფის მოხმარებისთვის, ზოგადად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის არსებობა ცნო არაკონსტიტუციურად. საბოლოოდ, 2018 წლის 30 ივლისს, საკონსტიტუციო სასამართლომ[36] არაკონსტიტუციურად მიიჩნია მარიხუანის მოხმარების ზოგადი, ბლანკეტური ხასიათის აკრძალვა, ადამიანის პიროვნული ავტონომიით დაცულ სფეროში ჩარევის არაპროპორციულობის გამო და გააუქმა ადმინისტრაციული სანქცია მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის. ამგადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, კერძო, პრივატულ სივრცეში მარიხუანის მოხმარების ლეგალიზება მოხდა. თუმცა, ამავე გადაწყვეტილებაში, მარიხუანის მოხმარების კანონმდებლის მიერ რეგულირების მიზანშეწონილობაზე გამახვილდა ყურადღება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიზანს სხვა პირთათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილება წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლომ კანონმდებლის მიერ მარიხუანის მოხმარების შეზღუდვის საჭიროებაზე მიუთითა მარიხუანის მავნე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით, არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ დაწესებულებებში და/ან მათი თანდასწრებით მარიხუანის მოხმარების შემთხვევაში. ასევე, ხაზი გაესვა საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და საჯარო წესრიგის ინტერესების დასაცავად მარიხუანის მოხმარების აკრძალვის მართებულობას სასწავლო, სააღმზრდელო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამედიცინო, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ზოგიერთ ადგილზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს დაემატა სამართალდარღვევის ჩადენა ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ. მარიხუანის მოხმარებასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგდა დამოუკიდებელი დებულების სახით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 45[1]

მუხლის შემოღებით. გაუქმდა მარიხუანის მცირე ოდენობით მოხმარების თაობაზე ამავე კოდექსის 45-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი – ცვლილებამდე არსებული რეგულაცია. ახალი დებულების პირველი ნაწილით

[36] https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1949

ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას დაექვემდებარა მცენარე კანაფის ან მარიხუანის მცირე ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა, გადაზიდვა ან/და გადაგზავნა. ამ სამართალდარღვევისთვის პასუხისგებაში მიცემული პირის მიერ განმეორებითი ქმედების ჩადენისთვის განისაზღვრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. საკანონმდებლო ცვლილებით, მცენარე კანაფის ან მარიხუანის მოხმარება აიკრძალა ნებისმიერი დანიშნულების შენობა-ნაგებობაში, გარდა ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილისა და ამ ქმედების ჩადენისთვის დადგინდა ჯარიმა 500-დან 1000 ლარამდე ოდენობით, განმეორების შემთხვევაში კი – 1000 ლარიდან 1500 ლარამდე სანქცია.[37]

საკანონმდებლო ცვლილებით შეზღუდვა დაწესდა არასრულწლოვნებისა და 21 წლამდე პირების მიერ მცენარე კანაფის/მარიხუანის მოხმარებაზე.24 მკაცრი პასუხისმგებლობა განისაზღვრა არასრულწლოვნების თანდასწრებით, ასევე არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ სასწავლო, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დაწესებულებებში მარიხუანის მოხმარებისთვის25 და ამ ქმედების საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ჩადენისთვის. ასევე, პასუხისმგებლობა დაწესდა დაწესებულების მიერ მცენარე კანაფის ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ზემოქმედების ქვეშ ყოფნის გამოვლენილ ფაქტზე რეაგირების არარსებობისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს განვითარებულმა მიდგომებმა. გადაწყვეტილება შეეხებოდა 70 გრამი მარიხუანის, პირადი მოხმარების მიზნით, ფლობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სახით, თავისუფლების აღკვეთის დაწესების შესაბამისობას კონსტიტუციით გარანტირებული არაჰუმანური სასჯელის გამოყენების აკრძალვასთან. ამ საკითხზე მსჯელობისას, სასამართლომ მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით ფლობა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეებს – ადამიანის ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინტერესებს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ: „კონსტიტუციის შეუსაბამოა პირისთვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ავტორს უქმნის საფრთხეს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ. უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დაკისრება პირისთვის ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ მის ჯანმრთელობასშეიძლება აყენებდეს ზიანს. ამდენად, მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენა/შენახვისთვის

[37] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=458

სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესება, რომელიც შესაძლოა იწვევდეს პირის თავისუფლების აღკვეთას, წარმოადგენს არაპროპორციულ ზომას ჯანმრთელობის დაცვის ზოგადი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად“.

1.5 ნარკოპოლიტიკა საზღვარგარეთის ქვეყნებში

დღეისათვის მსოფლიოში მოქმედებს ოთხი ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ნარკოტიკებთან მიმართებით ცდილობს შეამსუბუქოს თანამედროვე პოლიტიკა და გადაიყვანოს საზოგადოებრივი აზრი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სიბრტყეში. ესენია:

ევროპული მოძრაობა ნარკოტიკული პოლიტიკის ნორმალიზაციისთვის (European Mouvement for the Normalization of Drug Policy – EMNDP); რადიკალური აკრძალვის საწინააღმდეგო კოორდინაცია (Coordination radicale antiprohibitionniste - CORA);

აკრძალვის საწინააღმდეგო საერთაშორისო ლიგა (Ligue Internationale Antiprohibitionniste - LIA);

ნარკოტიკული პოლიტიკის ამერიკული ფონდი (Drug Policy Foundation-DPF)[38]

ევროკავშირის ქვეყნების კანონმდებლობა სხვადასხვანაირად განსაზღვრავს პასუხისმგებლობას იმ პირებისთვის, რომლებიც ნარკოტიკებს პირადი მოხმარებისთვის იყენებენ. შვედეთში ნარკოტიკის გამოყენება ისჯება სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთით. მაგრამ, სასამართლოს შეუძლია ალტერნატიული სასჯელის გამოყენებაც - აიძულოს ბრალდებული გაიაროს სამკურნალო კურსი. ამასთან, დეტალურად იქნება განხილული მკურნალობის პირობები. საფრანგეთში კანონმდებლობით მარიხუანას მოწევაც კანონდარღვევად ითვლება და შესაძლებელია მსგავს ქმედებას მოჰყვეს ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ან ჯარიმა დაახლოებით 3750 ევროს ოდენობით. თუმცა, რეალურად, მსგავსი სასჯელი ძალიან იშვიათად

[38] https://sputnik-georgia.com/actual/20170428/235774562/marixuanis-dekriminalizacia.html

გამოიყენება.[39] საბერძნეთში 2003 წლიდან ნარკოტიკული საშუალების შენახვა ან მოხმარება იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება უშუალოდ პირადი მოხმარებისთვის განსაზღვრულ ოდენობას, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 10 დღიდან 1 წლამდე ვადით (ნაცვლად 5 წლამდე ვადისა, რომელიც ამ ცვლილების მიღებამდე იყო).

თუ კანონდარღვევა მოხდა პირველად, შესაძლოა პატიმრობის ფორმა არ იყოს გამოყენებული. ამასთან, ნარკომანისთვის გათვალისწინებულია სავალდებულო მკურნალობა. სასამართლოს შეუძლია ნარკომანი ცნოს შეაურაცხადად, უუნაროდ - აიღოს მორალური პასუხისმგებლობა თავის ქმედებებზე. შესაძლებელია ნარკომანი მოათავსონ დახურულ სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც ყოფნის დრო ჩაეთვლება სასჯელის მოხდის ვადაშიც. ფინეთში მსუბუქი ნარკოტიკის გამოყენებაც კი სამართლებრივად ისჯება. ბოლო წლების განმავლობაში გამოტანილ განაჩენთა უმრავლესობა ნარკოტიკების გამოყენებას უკავშირდება. უმეტესი წილი კი კანაფის გამოყენებას ეხება. სასამართლოს შეუძლია მოუხსნას ბრალდება, თუ ნარკომანი დათანხმდება ნებაყოფლობით მკურნალობას. ბელგიაში აკრძალულია ნარკოტიკების მხოლოდ ჯგუფური მოხმარება. 2003 წლის ივნისში გატარდა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებასა და მათ შენახვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სფეროს რეფორმა.

ამ რეფორმის ძირითადი პრინციპი ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო მოხმარებისას სისხლის სამართლის ნორმების მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გამოყენება იყო. კანაფის მოხმარებისას მომხმარებელი იხდის ჯარიმას 75-დან 125 ევრომდე პირველი კანონდარღვევისას. ერთი წლის განმავლობაში განმეორებითი შემთხვევის დროს იხდის 130-დან 250-მდე ევროს. პირველი დარღვევიდან ერთი წლის განმავლობაში, თუ პირმა მესამეჯერ დაარღვია კანონი, მაშინ შესაძლებელია მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა 8 დღიდან 1 თვემდე ან ჯარიმა 500 ევრომდე ოდენობით.[40]

---

[39] საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, „ კანაფის შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ევროპის ქვეყნებში“ მ.ბიბილაშვილი 06,04,15
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32414/kanafis_moxmareba_inter.

[40] საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, „ კანაფის შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ევროპის ქვეყნებში“ მ.ბიბილაშვილი 06,04,15
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32414/kanafis_moxmareba_inter.

საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისას ნარკომანის მიერ (ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების დროს) შესაძლოა თავისუფლების აღკვეთა 3 თვიდან 1 წლამდე, ან ჯარიმა 5000-დან 500 000 ევროს ოდენობით.[41] მაგრამ, რეალურად, ნარკომანს სთავაზობენ სასჯელის მოხდის მაგივრად გაიაროს მკურნალობის კურსი. ნარკომანის თანხმობის შემთხვევაში, მას ეხსნება ბრალდება. სასამართლოს შეუძლია დანიშნოს გამოსაცდელი ვადა, შეაჩეროს განაჩენის გამოტანა. ამის წინა პირობად ჩაითვლება ნარკომანის მზაობა მკურნალობაზე. შესაძლებელია იძულებითი მკურნალობის ზომის გამოყენებაც 1990 წელს მიღებული „შეურაცხადობის შესახებ“ კანონის თანახმად. ნებისმიერი აკრძალული ნივთიერების გამოყენება მოზარდის თანხლებისას ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად.

ნიდერლანდებში კანონი არ კრძალავს მსუბუქი ტიპის (მარიხუანა, ჰაშიში) ნარკოტიკის მოხმარებას, რომელიც იყიდება ნებისმიერ სრულწლოვანზე „კაფეშოპებში“. 2012 წლიდან „კაფეშოპები“ დახურულ კლუბებად გადაკეთდა და მათი სერვისით მხოლოდ წევრებს შეუძლიათ სარგებლობა. იქ ოფიციალურად ხელმისაწვდომია მხოლოდ სოფლის მეურნეობის ნატურალური პროდუქტი: მარიხუანა და ჰაშიში. ძლიერმოქმედი ოპიუმი, კრეკი და თანამედროვე ქიმიის მიღწევები, რომლებიც მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ნიდერლანდში იდევნება ისევე, როგორც დანარჩენ მსოფლიოში. ნარკოდამოკიდებული, თუ ნებაყოფლობით თანხმდება სამკურნალო კურსის გავლას, პროკურორს შეუძლია შეაჩეროს სასამართლო განხილვა. სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს შუალედური განაჩენი ნარკომანის სარეაბილიტაციო ცენტრში მისავლინებლად.

სასამართლოს შეუძლია, აგრეთვე, მიიღოს გადაწყვეტილება იძულებით მკურნალობის შესახებ. დღეისათვის, პარლამენტში შესულია კანონპროექტი , რომლის თანახმადაც, სასამართლოს შეუძლია ნარკოდამოკიდებული სამართალდამრღვევი გააგზავნოს დახურული ან გადაადგილების თავისუფლების შეზღუდული ტიპის სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში არა უმეტეს ორი წლის ვადით. ამ დოკუმენტის მიღების შემდეგ მოსამართლეებს შეეძლებათ გააგზავნონ ნარკომანი იძულებით სამკურნალოდ ორ წლამდე ვადით.[42]

---

[42] საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, „ კანაფის შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ევროპის ქვეყნებში“ მ.ბიბილაშვილი 06,04,15
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32414/kanafis_moxmareba_inter.

პორტუგალიაში მოქმედებს კანონი, რომელიც, ძირითადად, მკურნალობაზეა ორიენტირებული. 2000 წელს მოხდა ყველა ნარკოტიკული საშუალების (საშუალოდ 10 დღის ნორმის ოდენობით) პირადი მოხმარების მიზნით გამოყენებისა და შეძენა-შენახვის დეკრიმინალიზაცია. ნარკოტიკის მოხმარება კვლავ რჩება უკანონო ქმედებად და პოლიციის ჩარევის საგანს წარმოადგენს. მომხმარებელს შესაძლოა დაეკისროს ჯარიმა 25 ევროდან მინიმალური ხელფასის ოდენობამდე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სასჯელის ამ ფორმას ყველაზე ბოლოს მიმართავენ. თუ საქმე ეხება აკრძალული ნივთიერების პირველ ან არალეგულარულ გამოყენებას, პირს ენიშნება გამოსაცდელი ვადა. განმეორების შემთხვევაში, შესაძლოა დაუწესდეს ჯარიმა, ან ადმინისტრაციული სასჯელი. პროკურორს შეუძლია შესთავაზოს მსჯავრდებულს მკურნალობის კურსის გავლა და, თანხმობის შემთხვევაში, განაჩენის შესრულება შესაძლოა გადაიდოს ან დაინიშნოს გამოსაცდელი ვადა.

დიდ ბრიტანეთში ნარკომანების მიმართ, რომლებიც ჩადიან ისეთ დანაშაულს, რომლის სიმძიმე საკმარისია იმისათვის, რომ სასჯელის ზომა იქნეს გამოყენებული, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მიესაჯოს პატიმრობა, იყენებენ შემდეგი ხასიათის სასჯელს: გამოსაცდელი ვადა - გულისხმობს ზედამხედველობას მსჯავრდებულზე ექვსი თვიდან სამ წლამდე ვადით და მის მონაწილეობას აგრესიული საქციელის და სხვა პრობლემების წინააღმდეგ მიმართულ პროგრამაში; საზოგადოებრივი შრომა - გულისხმობს 40-დან 240 საათამდე აუნაზღაურებელ შრომას ადგილობრივი თემის სასარგებლოდ; შეჯერებული სასჯელი, რომელიც გულისხმობს, როგორც ზედამხედველობას, ასევე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას ერთდროულად.[43]

დიდ ბრიტანეთში მიიღეს ახალი „ინსტრუქცია ნარკომანების მკურნალობისა და შემოწმების შესახებ“, რომელიც იყო „დანაშაულისა და არეულობის შესახებ“ კანონის შემადგენელი ნაწილი. ეს ნორმა აძლევს სასამართლოს საშუალებას სამართალდამრღვევი ნარკომანის მიმართ გამოიყენონ, მისივე ნებართვით, სამედიცინო ხასიათის ზომები - განსაზღვროს მკურნალობის პირობები და მეთვალყურეობა გაუწიოს მკურნალობის პროცესსა და შედეგს, ამ მკურნალობის განუყოფელი ნაწილია პერიოდული ტესტები ნარკოტიკის გამოყენებაზე, რომელიც, თავისთავად, ხდება წინასწარი

[43]საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, „ კანაფის შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ევროპის ქვეყნებში“ მ.ბიბილაშვილი 06,04,15
http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32414/kanafis_moxmareba_inter.

გაფრთხილების გარეშე. რამდენიმე ჩავარდნილი ტესტის შედეგად, სამართალდამრღვევი უბრუნდება ისევ ბრალდებულის სკამს. 1991 წლის „მართლმსაჯულების შესახებ კანონის“ თანახმად, სასამართლოებს აქვთ უფლება მოსთხოვონ სამართალდამრღვევს გაიაროს იძულებითი მკურნალობის კურსი.

პორტუგალია

2001 წელს პორტუგალიამ განახორციელა ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაცია. კანონის მიხედვით „მოხმარება, შეძენა და შენახვა პირადი მოხმარებისათვის“ წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. დეკრიმინალიზაციის განხორციელებას ბევრი წარმატებულად თვლის. ნარკოტიკების მოხმარებამ 13-18 წლამდე ახალგაზრდებში მნიშვნელოვნად დაიკლო მას შემდეგ, რაც ახალი კანონი ამოქმედდა (ყველაზე ახალი სტატისტიკის მიხედვით, გამოცემული 2007 წელს). ამავე დროს ნარკოტიკების მოხმარება გარკვეულწილად გაიზარდა წლოვანებით უფროს პორტუგალიელ მოქალაქეებს შორის. სტატისტიკამ ასევე აჩვენა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირება აივ ინფექციის და სხვა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული დაავადებებისა.“ „პორტუგალიის დეკრიმინალიზაციის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არის პოტენციური სარგებელი ნარკოტიკების მოხმარება ჩაითვალოს საზოგადოებრივ ჯანმრთელობის საკითხად. დეკრიმინალიზაციის სისტემას უკავშირდება უდიდესი მოლოდინი შემცირდეს ნარკოტიკების პრობლემატური მოხმარება, განსაკუთრებით ჰეროინის, კოკაინის და ამფეტამინების ინტრავენური მოხმარება. ნარკოტიკების პრობლემატური მოხმარება საზოგადოებისათვის სერიოზულ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, რადგან დაკავშირებულია ჯანმრთელობისათვის საშიშ რისკებთან და უსაფრთხოებასთან, რაც ნარკოტიკების მომხმარებელს და საზოგადოებას უქმნის82.“ „1999 წელს, რამოდენიმე წლით ადრე დეკრიმინალიზაციამდე პორტუგალიას ვეროკავშირში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქონდა ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ შიდსის ვირუსის შემთხვევებისა და მეორე ყველაზე მაღალი აივ ვირუსის გავრცელებისა დაინფიცირებულ ნარკოტიკების მომხმარებლებს შორის. ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულ შიდსის ვირუსის შემთხვევები აგრეთვე იზრდებოდა, როდესაც კლება იყო მეზობელ საზღვრისპირა ქვეყნებში: საფრანგეთი, ესპანეთი და იტალია. კვლევები აჩვენებს, რომ დეკრიმინალიზაციის შემდეგ ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებულმა

დაავადებებმა დაიკლო პორტუგალიაში. დაიკლო აგრეთვე B და C ჰეპატიტების შემთხვევების რაოდენობამ სამკურნალო ცენტრებში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ დეკრიმინალიზაციის შემდეგ უფრო მეტი ნარკოტიკების მომხმარებელი ცდილობდა მკურნალობისათვის მიემართა". „როგორც ჩანს დეკრიმინალიზაციამ პორტუგალიის სისხლის სამართლის სისტემას გარკვეული დატვირთვა მოაცილა. პორტუგალიაში 2000 წელს დაახლოებით 14,000 ადამიანი იყო დაკავებული ნარკოდანაშაულთან დაკავშირებით. დეკრიმინალიზაციის შემდეგ ამ რიცხვმა საშუალოდ 5,000 - 5,500-მდე დაიკლო წელიწადში."[44]

შვეიცარია

„1990-იან წლებში შვეიცარიას ჰეროინზე დამოკიდებულების ისეთი გავრცელების მასშტაბი ქონდა, რომელიც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ევროპაში. შვეიცარიის ჰეროინის პრობლემა სტაბილურად უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში იკლებდა. შეფასება არის უხეში, მაგრამ გვიჩვენებს კლებას: (1994 წელი) დაახლოებით 29,000-იდან – 23,000-მდე (2002 წელი).". „ოთხმაგი ნარკოპოლიტიკა" (სამართალდაცვა, პრევენცია, მკურნალობა და ზიანის შემცირება) ძალიან წარმატებული გამოდგა და შეაჩერა ახალი ნარკოტიკების მომხმარებლების ზრდა ახალგაზრდა თაობაში. ამ სისტემამ საშუალება მისცა ძალიან ბევრ ნარკოტიკებზე დამოკიდებულს გაქცეოდა არაადამიანურ მორევს ნარკოტიკებზე დამოკიდებულებისა და დაეცვა საკუთარი ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობა. მკურნალობის სხვადასხვა მეთოდები ათასობით პირს იზიდავს, რომლებიც ამ მძიმე ნარკო დამოკიდებულების მოშორების გზას დადგომიან. ნარკოტიკებზე დამოკიდებულებს შანსი აქვთ ხელახლა მოიპოვონ თავიანთი თავისუფლება და რეინტეგრაცია საზოგადოებაში, და ნარკოტიკების მოპოვებასთან დაკავშირებული დანაშაულთა რიცხვიც მნიშვნელოვნად იკლებს."[45]

გერმანია

„გერმანიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო გერმანიის ნარკოპოლიტიკის და პროგრამების განვითარების, კოორდინაციის და განხორციელების მხრივ კვლავლიდერი სააგენტოა. გერმანიის ეროვნული ნარკოკომისარი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში კოორდინაციას უწევს ეროვნულ ნარკოპოლიტიკას. ნარკოტიკების მოხმარება ითვლება, როგორც

---

[44] ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო
ანალიზი, ლ, ჯორბენაძე 2012
[45] ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო
ანალიზი, ლ, ჯორბენაძე 2012

ჯანმრთელობის და სოციალური საკითხი. პოლიტიკა მიმართულია განათლების სისტემის მეშვეობით პრევენციისაკენ. ფედერალური ჯანმრთელობის სამინისტრო აფინანსებს კვლევებს და პრევენციულ პროგრამებს, როგორც სხვა ფედერალური ლანდები (შტატები).“87 „გერმანიაში ნარკოტიკების შესახებ კანონის მიხედვით, რომელიც 1998 წლის 26 იანვარს შეიცვალა (Federal Law Gazette Part I p. 160), პროკურორს უფლება აქვს არ დააკისროს სისხლის სამართლებრივი სანქცია (თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით) თუ დანაშაულებრივი ქმედება არის ნაკლებად მძიმე - ე.ი. თუ სისხლის სამართლებრივი დევნა არ იქნება საჯარო ინტერესი და თუ დამნაშავემ განახორციელა კულტივაცია, დამზადება, იმპორტი, ექსპორტი, ტრანზიტით გადაზიდვა ან შეძენა ნარკოტიკული ნივთიერებების საკუთარი მოხმარებისათვის მხოლოდ, სხვა სიტყვებით, რომ განვმარტოთ შეიძინა და ინახავს უმნიშვნელო რაოდენობას. ამასთანავე მნიშვნელოვანია გავიხსენოთ გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება88, როდესაც სასამართლომ გადაწყვეტილებაში (რომელიც ეხებოდა გადამეტებული სანქციების აკრძალვას გერმანიის კონსტიტუციაში) აღნიშნა, რომ კანაბისის შენახვა არ უნდა იწვევდეს სისხლის სამართლებრივ დევნას თუ შემდეგი გარემოებები გვაქვს: ა) პერსონალური მოხმარება, ბ) მცირე ოდენობა, გ) იშვიათი მოხმარება, დ) არ არის სხვებისთვის ზიანი მიყენებული.“[46]

ერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 1994 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით, ნარკოტიკული საშუალებების (მათ შორის კანაბისის არასწორი ბრუნვის გამო პიროვნების დასჯა, მათ შორის თავისუფლების აღკვეთით, არ ეწინააღმდეგება პროპორციულობის კონსტიტუციურ პრინციპს, გამომდინარე იქიდან, რომ მან შეიძლება გამოიწვიოს გაცილებით უფრო სერიოზული უარყოფითი შედეგები, ვიდრე ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული საფრთხეებია, იმდენად რამდენადაც უკავშირდება ნარკოტი-კებით არალეგალურ ვაჭრობას, ორგანიზებულ დანაშაულს და სხვა. ამასთან საფრთხის შემცვე-ლია ნარკოტიკული საშუალებების გასხვისება არა მხოლოდ ანაზღაურების სანაცვლოდ, არამედ უსასყიდლოდ საჩუქრის სახით. ამგვარმა ქცევამ შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს საზოგადოების განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე, რომლებიც ფსიქიკური არასტაბილურობით ხასიათდებიან, რის გამოც შესაძლებელია დამოკიდებული გახდნენ ნარკოტიკულ საშუალებაზე. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში ყურადღება გამხვილებულია კანაბისის

[46] ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო
ანალიზი, ლ, ჯორბენაძე 2012

ჯგუფის ნარკოტიკული საშუალებების შენახვაზეც, გასაღების მიზნის გარეშე. სასამართლო აღნიშნავს, რომ ასეთ ნარკოტიკულ საშუალებათა არალეგალური შენახვა და ფლობა იმავდროულად საფრთხეს უქმნის საზოგადოებას, გამომდინარე იქიდან, რომ იგი შესაძლებელს ხდის ნარკოტიკულ საშუალებათა მესამე პირთათვის გადაცემას ყოველგვარი კონტროლის გარეშე. ამგვარი საფრთხის არსებობის შემთხვევებშიც, როდესაც დასტურდება რომ პირს გასაღების მიზანი არ ამოძრავებს ნარკოტიკული საშუალების პირადი მოხმარების მიზნით შენახვის აქტი ქმნის მოთხოვნილებას ნარკოტიკის მიმართ, რომელიც თავის მხრივ, არალეგალური ნარკოტიკული საშუალებების ბაზრის არსებობას განაპირობებს. შესაბამისად ამგვარი ქმედების დასჯადობა ზოგად პრევენციულ ღონისძიებას წარმოადგენს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართ-ლომ განმარტა, რომ არსებობდა ნათელი და მყარი არგუმენტები სისხლის სამართლებრივი პასუხის მგებლობისთვის, რის გამოც სადაო ნორმები სასამართლოს თვალსაზრისით, კონსტიტუციასთან შესაბამისად მიიჩნია. შესაბამისად, არსებული მეცნიერული ცოდნიდან გამომდინარე, არ არსებობს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდა, თანაბრად ეფექტური სხვა საშუალება, რომელიც არსებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევას შეძლებდა. არსებულ ვითარებაში ზოგჯერ აკრძალვა არის პოტენციურ მომხმარებლებზე პრევენციული ზემოქმედების ერთადერთი ეფექტური გზა .[47]

ჩეხეთი

ჩეხეთის რესპუპლიკაში 1998 წლის 31 დეკემბრამდე, მხოლოდ ნარკოტიკების მფლობელობა გასაღების მიზნით იყო დანაშაული ხოლო პირადი სარგებლობისთვის დარჩა. ლეგალური.

1999 წლის 1 იანვარს, ძალაში შევიდა სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილება, რომელიც აუცილებელი იყო ჩეხეთის ნარკოპოლიტიკის ცვლილებისთვის, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვას ახდენს „მცირე ოდენობით დიდი ოდენობით“ ასევე პირადი სასამართლო პრაქტიკა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ "დიდი ოდენობა მცირე ოდენობაზე ხუთიდან ათჯერ უფრო დიდი" (დამოკიდებულია ნარკოტიკზე),

---

47

საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი, ჯ,ჯანაშია

ვიდრე საშუალო ერთჯერადი მოხმარების დოზა.[48] 2009 წლის 14 დეკემბერს ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო რეგლამენტი 46467/2009 Coll., რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 1 იანვარს და დააკონკრეტა, თუ რას ნიშნავს "[49] "მცირე ოდენობა". რეგლამენტის თანახმად, ადამიანს შეეძლო 15 გრამამდე მარიხუანა ან 1,5 გრამი ჰეროინი ჰქონოდა, რაც არ გმაოიწვევდა პირის სისხლისსამართლებრივ დევნას. ნარკოტიკული ნივთიერებების ეს ოდენობები უფრო მაღალი იყო, ვიდრე ევროპის ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ამ მოანცემებით ჩეხეთის რესპუბლიკა ევროკავშირის მოწინავე ყველაზე ლიბერალურ ქვეყანად იქცია, როდესაც საქმე ნარკომანიის ლიბერალიზაციას ეხება, გარდა პორტუგალიისა. ჩეხეთის რესპუბლიკას ასევე ბოლო წლების წლების კანაფის მოხმარების ყველაზე მაღალი პრევალენტობა აქვს ახალგაზრდებში. 2013 წელს, „ლიბერეს" საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმ პირის საქმეზე, რომელსაც ბრალი ედებოდა 3.25 გრამი მეტამფეტამინის (1.9 გრამი სუფთა მეტამფეტამინის) ფლობისთვსი , რაც დარეგულირების დონის შეზღუდვაზე მეტია. (ჩეხეთის რესპუბლიკაში ორ გრამამდე მეტამფეტამინის ფლობა არ იწვევს სისხლისსამართლებრივ დევნას) 7467/2009 რეგლამენტის შესაბამისად. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული რეგულირების შესახებ გადაწყვეტილების საფუძველი არაკონსტიტუციური იქნება და ჩეხეთის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების ქარტიის 39-ე მუხლის დარღვევას უთითებდა. სადაც ნათქვამია, რომ "მხოლოდ კანონს შეუძლია დააწესოს, რომელი ქმედება წარმოადგენს დანაშაულად და რომელი ადმინისტრაციულ დაჯარიმებას, "და საკონსტიტუციო სასამართლოს შესთავაზა რეგლამენტის გაუქმება. საკონსტიტუციო სასამართლომ საოლქო სასამართლოების არგუმენტის შესაბამისად გააუქმა 2013 წლის 23 აგვისტოდან ძალაში შესული დებულება, სადაც აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მნიშვნელობით „მცირე ოდენობაზე მცირე ოდენობა" შეიძლება დანიშნული იყოს მხოლოდ პარლამენტის აქტის საშუალებით, რომელსაც კანონ შემოქმედების ძალაუფლება აქვს და არ წარმოადგეს მთავრობის რეგულირების საგანს.

---

[48] Parliament of the Czech Republic (1998), Explanatory Report to Act No. 112/1998 Coll., which amends the Act No. 140/1961 Coll., the Criminal Code, and the Act No. 200/1990 Coll., on misdemeanors (in Czech), Prague "Podle čl. 36 Jednotné úmluvy o omamných látkách ze dne 31. března 1961 (č. 47/1965 Sb.) se signatáři zavazují k trestnímu postihu tam uvedených forem nakládání s drogami včetně jejich držby. Návrh upouští od dosavadní beztrestnosti držby omamných a psychotropních látek a jedů pro svoji potřebu. Dosavadní beztrestnost totiž eliminuje v řadě případů možnost postihu dealerů a distributorů drog."

[49] Parliament of the Czech Republic (2009), Act No. 40/2009 Coll. (in Czech), Prague, Sections 283 – 287

კანაფის სამედიცინო დანიშნულებით გამოყენება ლეგალურია და რეგულირდება 2013 წლის 1 აპრილიდან.[50]

1.6 ნარკოდანაშაულის პრევენციისათვის გასატარებელი ღონისძიებები

საქართველოს ნარკოპოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ნარკოტიკების მომხმარებლების ჯანმრთელობის დაცვაზე და არა სადამსჯელო სისხლის სამართლებრივ ღონისძიებებზე. ამგვარად უნდა განხორციელდეს:

1. პრევენციული პროგრამების დანერგვა (ამ დარგის სათანადო გამოცდილების მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების, ფილოლოგების, ფსიქოლოგების, ექიმების, იურისტების მონაწილეობით), განსაკუთრებით სკოლის ასაკის ბავშვებისთვის;

2. ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირებისათვის უფრო მეტად გაიზარდოს მკურნალობის (მათ შორის ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამების) ხელმისაწვდომობა თანადაფინანსების სისტემით;

3. ნარკოტიკებზე დამოკიდებულები პირებისთვის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის - ამ დარგის სპეციალისტებისათვის დაწესდეს კვალიფიკაციის ასამაღლებელი სპეციალური კურსების გავლა, მათ შორის სხვა წარმატებული მაგალითების მქონე ქვეყნების გამოცდილების გაცნობა-გაზიარება;

4. ნარკოტიკების მომხმარებლებისა და დამოკიდებული პირებისათვის გაიზარდოს ხელმისაწვდომობა სარეაბილიტაციო ცენტრებზე;

---

[50] Czech Republic Legalizes Medical Marijuana Use". Huffingtonpost.com. 15 February 2013. Retrieved 23 June 2013.

5. თავდაპირველად პილოტური პროგრამის სახით ჩამოყალიბდეს „უსაფრთხო საინექციო ოთახები“ რომელიც განთავსდება რომელიმე ქალაქში. უსაფრთხო საინექციო ოთახების მონაწილე პირისათვის, პროგრამაში ჩართვის სანაცვლოდ არ მოხდეს მოქმედი კანონმდებლობით

პასუხისმგებლობის დაწესება (რომელიც ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებულ ქმედებას მხოლოდ პირადი მოხმარების მიზნით ახორციელებს)

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონის მიხედვით შეზღუდული უფლებების აღდგენის საკითხის გადაწყვეტისას, გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ იხელმძღვანელოს წინასწარ ნორმატიულად ნათლად განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპებით, იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოირიცხოს დისკრიმინაცია გადაწყვეტილების მიღებისას (ანალოგიურ საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება) ამ მხრივ გაიზარდოს ამ დარგში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების და დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართულობის საკითხი მოქმედი ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე- 11 მუხლის ისეთი რედაქცია ჩამოყალიბდეს, რომლის მიხედვითაც ზიანის შემცირების პროგრამის და ამ სფეროში მოქმედი ადვოკატებისთვის გარანტიებს შექმნის და მათ საქმიანობისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები არ დაეკისრებათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის მიხედვით:

1. დაკონკრეტდეს ან შესაბამისი პრაქტიკული გაიდლაინებით (სახელმძღვანელო პრინციპებით) განისაზღვროს რა შემთხვევებში ექნება შესაძლებლობა და ვალდებულება პოლიციელს ნარკოტიკული თრობის ფაქტის დასადგენად „ეჭვმიტანილი“ შესამოწმებლად წარადგინოს -

მაგალითად: საფრთხეს უქმნის გარშემომყოფთ; უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს; ნარკოტიკების მოხმარება ხორციელდება ისეთ ადგილებში, სადაც ადვილად შეიძლება გარშემომყოფებზე ზეგავლენა მოახდინოს; ჩადენილია საჯარო მოხელის მიერ თავისი მოვალეობების შესრულების დროს;

2. კანონმდებლობით მოსამართლეს ქონდეს შესაძლებლობა დამრღვევი პიროვნების (მატერიალური, ჯანმრთელობის, ოჯახური და საქმეში არსებული

სხვა შემამსუბუქებელი გარემოებების) გათვალისწინებით ჯარიმის ოდენობა თავად განსაზღვროს ზედა ზღვარის ფარგლებში;

3. მოსამართლეს ქონდეს შესაძლებლობა არ გამოიყენოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები და წაახალისოს მკურნალობის მცდელობა, თუ პიროვნება გამოთქვავს სურვილს და აიღებს ვალდებულებას მიმართოს შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას მკურნალობის და სარეაბილიტაციო კურსის გავლის მოთხოვნით (ასეთი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იყოს სპეციალისტების მონაწილეობით და მათი დასკვნის საფუძველზე). წინააღმდეგ შემთხვევაში გამოიყენოს არამარტო ჯარიმა არამედ სხვადასხვა ადმინისტრაციული სანქციებიც მისი უფლებების შეზღუდვის თვალსაზრისით დეკრიმინალიზაციის განხორციელებამდე პროკურორებმა ფართოდ გამოიყენონ სისხლის სამართლის საქმის დევნის არდაწყების ან შემდგომ შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება 273-ე და 260-ე მუხლების პირველ და მეორე ნაწილებთან მიმართებაში (ამ უკანასკნელ შემთხვევაში კომპეტენტური ორგანოების მიერ თუ დადგინდება ნარკომანიით დაავადებული პირი და პირადი მოხმარების მიზნით შენახვა, შეძენა, გადაზიდვა). ამ მხრივ შესაძლებელია სისხლის სამართლის პოლიტიკის ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპების ნორმატიული დოკუმენტის მიხედვით დაკონკრეტდეს სპეციალური გარემოებები__ კანონმდებელობით და დამატებით პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით განისაზღვროს ძირითადი საფუძვლები ნარკოტიკების მომხმარებელსა და ნარკოტიკების გამსაღებელს შორის განსხვავებისათვის (იგულისხმება ყველა ის ქმედება, რასაც ნარკოტიკების მომხმარებელი ახორციელებს ნარკოტიკების პირადი მოხმარებისათვის) სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის ახლებური რედაქციით კანონმდებლობით და(ან) პრაქტიკული სახელმძღვანელო პრინციპებით დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განისაზღვროს ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების მსუბუქ ნარკოტიკად მიჩნევის საკითხი (დასაწყისისთვის კანონმდებლობით დაწესებული იყოს შესაბამისი პროპორციული სასჯელი და საბოლოოდ მოხდეს მისი დეკრიმინალიზაცია) დამოკიდებულების ჩამოყალიბების მაღალი პოტენციალის, მათი გავრცელების ზემოქმედების ხანგრძლივობის, სოციალური მნიშვნელობისა და ქვეყნის მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისათვის რეალური საშიშროების მიხედვით.[51] ნარკოტიკული საშუალებების აკრძალვის მომხრეების თანახმად, ბოლო 100 წლის

[51] ნარკოპოლიტიკის საკანონმდებლო
ანალიზი, ლ, ჯორბენაძე

განმავლობაში, მას შემდეგ რაც ნარკოტიკული საშუალებების შესახებ კანონები დაინერგა, ნარკოტიკების უკანონო გამოყენების შეზღუდვასთან დაკავშირებული ჩანაწერები მის ეფექტიანობაზე მიუთითებს.

თავი II. მოზარდთა ნარკომანია

2.1.მოზარდთა ნარკომანიის ფსიქო-სოციალური ფაქტორები

ზოგადად, ყველა სახის დამოკიდებულება არის რეალობისგან გაქცევაზე და სიამოვნების მიღწევის საშუალებებზე ფიქრის მდგომარეობა, რასაც ადამიანის დროისა და ენერგიის უდიდესი ნაწილი მიაქვს. რეალობიდან გასვლა ძლიერ ემოციურ განცდებთან არის დაკავშირებული. ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები სუბიექტურად აღიქმება როგორც სურვილი და თუ დიდი ხნის განმავლობაში არ მოხდა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, მისი ორგანიზმი როგორც წესი, დაძაბულობასა და დისკომფორტს განიცდის. დაძაბულობის მოხსნა კი აღიქმება, როგორც შვება და სიამოვნება. დაკმაყოფილების მეორე ტიპი, რომელიც ასევე დაძაბულობისაგან გათავისუფლების შემდეგ ჩნდება, დაკავშირებულია უკვე არა ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებთან, არამედ აუცილებლობასთან, მოიხსნას შფოთვა და სულიერი დისკომფორტი, როგორც ინდივიდისათვის, ისე საზოგადოებისათვის სასარგებლო ქცევის ფორმებით სიამოვნების განცდა დაკავშირებულია კვების, კომფორტის, სილამაზის, სიყვარულის, უსაფრთხოების, ცოდნის, შემოქმედების, გართობის, შრომის, დასვენების,

თავისუფლების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან. ნარკოტიკის მოხმარების დროს კი სიამოვნების განცდა ხელოვნურად, რეალური საფუძვლის გარეშე ჩნდება. ამ შემთხვევაში სასიამოვნო განცდები ნერვული სისტემის ხელოვნური, ქიმიური სტიმულაციის გზით მიიღწევა. ადამიანებს, რომლებსაც უჭირთ გარემოსთან ან სირთულეებთან შეგუება, ეუფლებათ შიში არსებული სინამდვილის წინაშე. სწორედ ეს შიში ბადებს სხვა რეალობაში გაქცევის სურვილს. სინამდვილეში, ადამიანი დამოკიდებული ხდება არა აბზე, ფხვნილზე ან სითხეზე, არამედ ამ ნივთიერებების ორგანიზმზე ზემოქმედების ეფექტზე, ანუ ნივთიერებით მიღწეულ ფსიქიკურ მდგომარეობაზე, შიშისა და დაურწმუნებლობისაგან დროებითი გათავისუფლების გრძნობაზე.

შესაბამისად, ნარკოტიკზე დამოკიდებულება არის ადამიანის მცდელობა, საკუთარ თავს ნებისმიერი განსაცდელი და სატკივარი ააცილოს. ასეთი მცდელობა კი როგორც წესი, მისი ფსიქიკის, ჯანმრთელობის მოშლით და ხშირ შემთხვევებში სიკვდილით მთავრდება. ადამიანი თვითონ ირჩევს საკუთარი ქცევის სტრატეგიასა და ტაქტიკას. ღირებულებებისა და ზნეობრივი ნორმების არჩევასა და მათი რეალიზებისკენ მისწრაფებაში ის თავისუფალია, მაგრამ თავისუფლება მორალი და ცხოვრების წესი პიროვნების ერთ მნიშვნელოვან თვისებას - კონსტრუქციულობას აყალიბებს. ნარკომანი კი კარგავს კონსტრუქციულობასა და სიმტკიცეს, მისთვის სიცოცხლე უმიზნო ხდება, ქრება მომავლის პერსპექტივა, ინტერესების სფერო ვიწროვდება. ამგვარად, ნარკომანია გარესამყაროსთან ურთიერთობის ერთგვარი ფორმაა, როდესაც ნარკოტიკთან შედარებით სხვა ყველაფრის მნიშვნელობა უსასრულოდ მცირეა.[52] საზოგადოებაში კარგად ინტეგრირებული პიროვნება წარმატებით ართმევს თავს გარეშე და შინაგან სტრესს და ამ პროცესში იყენებს სოციალურად მისაღებ გზებს. ცუდად ორგანიზებული პიროვნება კი ნებისმიერ სტრესს ადვილად გამოჰყავს წონასწორობიდან, იგი საკუთარი ძალებით ძნელად, ან საერთოდ ვერ ახერხებს ამ წონასწორობის აღდგენას და შესაბამისად, მისთვის რთულ სიტუაციებში სჭირდება მდგომარეობის ხელოვნური გზით შემსუბუქება. რეალობისაგან გაქცევის მიზნით, ის ცდილობს, ხელოვნური გზით შეცვალოს თავისი ფსიქიკური მდგომარეობა, რაც მის უსაფრთხოების და შინაგანი წონასწორობის აღდგენის ილუზიას უქმნის. ეს კი უკვე დესტრუქციული ქცევაა, რადგან ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლა ხდება ქიმიური ნივთიერების მიღებით ან გარკვეულ საქმიანობაზე ყურადღების მუდმივი გადატანით, რასაც თან ახლავს

---

[52] საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია,კონცეფციური დოკუმენტის პროექტი, თბ.2006, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“გვ. 19
http://bemonidrug.org.ge/wp-content/uploads/2014/07/% 98.pdf

ინტენსიური ემოციური რეაქცია. ამ ხერხით ფსიქოლოგიური კომფორტის აღდგენა პრობლემის გადაჭრის ილუზიას ქმნის და სასიამოვნო ემოციებს ბადებს. რეალობასთან ბრძოლის ასეთი მეთოდი დროთა განმავლობაში ფიქსირდება ადამიანის ქცევაში და არსებულ სინამდვილესთან ურთიერთქმედების სტრატეგიად ყალიბდება.[53]

ამგვარად, ნარკომანი ფაქტიურად დამოკიდებულია არა პრეპარატზე, არამედ ემოციაზე. წამალდამოკიდებულ პიროვნებას ნარკოტიკი ეხმარება სტრესთან გამკლავებაში, სთავაზობს მას ალტერნატიულ რეალობას და ასეთ დროს სიტუაცია შეიძლება უკონტროლო გახდეს, დასაწყისში სიმშვიდისა და დაკმაყოფილების მომტანი შეგნებული ქმედება დროთა განმავლობაში უკვე დაუძლეველ მოთხოვნილებად იქცევა და ნარკოტიკის მოხმარება გრძელდება, მიუხედავად მასთან დაკავშირებული ფიზიკური, სოციალური, ემოციური და სამართლებრივი პრობლემებისა.[54] ნარკოტიკების მოხმარება ერთდროულად რამდენიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს - იწვევს განცხრომის განცდას, ათავისუფლებს ადამიანს მუდმივი შფოთვისაგან, აკმაყოფილებს მისი დესტრუქციის მოთხოვნილებებს. დასაწყისში ადამიანი დროებით წყვეტს კავშირს მის ამქვეყნიურ პრობლემებთან, ხოლო დაავადების შემთხვევაში ეს პროცესი მეტ-ნაკლები ინტენსივობით ხანგრძლივად მიმდინარეობს და მუდმივი ინტოქსიკაციის გამო ნაადრევი სიკვდილით მთავრდება. პიროვნების ხასიათი განსაზღვრავს ინდივიდის ქცევას და ამავე დროს წარმოადგენს ადამიანის საზოგადოებასთან შეგუების საფუძველს. მოზარდის ხასიათი ფორმირდება მშობლების ზეგავლენით. მშობლების მიერ არჩეულ აღზრდის მეთოდებს კი, როგორც წესი, საზოგადოების სოციალური სტრუქტურა და კულტურა განაპირობებს. ოჯახთან ადაპტაციის პროცესში ბავშვს უყალიბდება ხასიათი, რომელიც მომავალში მისი საზოგადოებასთან ადაპტაციისა და სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაწყვეტის საფუძველი გახდება და რომლის ძირითადი ხაზები მას იმავე სოციალური ფენის, კლასის ან კულტურის წარმომადგენლებთან აახლოვებს და მისთვის სასურველია ის ქმედებები, რომლებსაც მისგან მოითხოვენ. [55] რაც უფრო მეტი პრობლემაა საზოგადოებაში, მით უფრო ნოყიერი ნიადაგი ექმნება ნარკომანიის გავრცელებას. ნებისმიერი საზოგადოება ცდილობს, ისეთნაირად მოახდინოს თავისი წევრების ხასიათის სტრუქტურის ფორმირება, რომ

---

[53] იქვე, გვ.21

[54]იქვე, გვ.23

[55] საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია,კონცეფციური დოკუმენტის პროექტი, თბ.2006, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“გვ. 24
http://bemonidrug.org.ge/wp-content/uploads/2014/07/% 98.pdf

საკუთარი სოციალური ფუნქციების განსახორციელებლად მოუნდეთ იმის გაკეთება, რასაც უნდა აკეთებდნენ.

ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, პირველ რიგში, სოციალიზაციას გულისხმობს. სოციალური გამოცდილების შეძენით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით, საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის „შემოწმებით" და შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით ბავშვი ზრდასრულ პიროვნებად ყალიბდება. ბავშვობიდან მოზრდილობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები, – პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვ. მეორე მხრივ, აღსანიშნავია უამრავი დადებითი ფაქტორი – მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, საქმიანობის სფეროს შეცვლა და გაფართოება, საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის განვითარება და სხვ. ადამიანი დინამიურ წონასწორობაშია გარემომცველ სამყაროსთან, რაც მასში მუდმივი ადაპტაციის აუცილებლობას ქმნის. თუ ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, დროის მოცემულ კონკრეტულ მონაკვეთში ადამიანი ჯანმრთელად ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადაპტაციის სხვადასხვა ფორმები ფსიქიკური ხასიათის დაავადებებთან ერთად, სოციალურ გადახრებსაც იწვევს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დევიაციური ქცევა, მიმართული სიხარულის, სიამოვნების ნებისმიერი გზით მიღებაზე - ნარკოტიკებით, ალკოჰოლით და სხვ., სასურველის ნებისმიერი გზით მოპოვებაზე - წართმევა, მოპარვა და სხვ., ნებისმიერი გზით თვითდამკვიდრებაზე - სხვათა დევნა, დამცირება, ძალადობა და ა.შ. მოზარდის განვითარების სწორედ ეს პერიოდია მთელი მისი შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელი. მოზარდის ხასიათი გარკვეული მიკროსოციალური პირობების გავლენით ყალიბდება. თუ საით მიმართავს მოზარდი თავის პოტენციალს, დამოკიდებულია გარემოცვაზე, მისთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობაზე,

ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე, თუ რა უბიძგებს მოზარდს ძალადობის, დანაშაულის გზით წასვლისაკენ, არ არსებობს. მთავარ მიზეზთა შორისაა სოციალური ფაქტორები – ძალადობა ოჯახში, აღზრდის დეფიციტი, სოციალური დიფერენციაცია, სიღარიბე, უმუშევრობა, მასობრივი კულტურა (მასმედია) თავისი „მხატვრული" თუ რეალური ძალადობითა და სისასტიკით,

დაბალი განათლება, სასკოლო აღზრდის დეფექტები და სხვა. ამასთან, მნიშვნელობა აქვს გარდატეხის ასაკის ფსიქოსოციალურ სიძნელეებს (სქესობრივი მომწიფების პერიოდში მომატებული შფოთვა, გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა, ფსიქიკის გაუწონასწორებლობა და ა.შ.) ე.წ. „ძნელ მოზარდთა“ ქცევაში, ხშირად აღინიშნება თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა მასზე სუსტი თანატოლების ან თუნდაც მოზრდილების ხარჯზე, მათი დაშინების, ძალადობის, იარაღის გამოყენების გზით. ზოგიერთი მოზარდის შემთხვევაში გარემომცველთა დაშინება, შევიწროება და დატერორება ჩვეულებრივ კონკრეტული, ხშირად ეგოისტური მიზნების მიღწევასთან არის დაკავშირებული. ასეთ მოზარდებს გააჩნიათ სოციალური აღიარების, დომინირების, მატერიალური, სექსუალური, კომუნიკაციური და ა.შ. მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება მათთვის მისაწვდომი საშუალებებით არ შეუძლიათ ბავშვთან ურთიერთობაში მოზრდილისთვის მოსახერხებელია ამგვარი პოზიცია: “გითხარი – გააკეთე, არ გააკეთებ – აუცილებლად დაისჯები”. ხშირად მშობელს “დრო არ ჰყოფნის” იმისთვის, რომ შვილის განცდებით, მისი პირადი ცხოვრებით დაინტერესდეს. მასწავლებლები პასუხისმგებლობას იხსნიან: “სახლიდან ასეთი მოდის”. ასეთ მოზარდებს ზღვარს არავინ უწესებს. ხოლო როცა ბავშვი თავის ნებაზეა მიშვებული, ძალაუფლება “ფარული აღმზრდელების” – ტელევიზიის, აგრესიული კომპიუტერული თამაშების, ინტერნეტის ხელში გადადის.[56] აღზრდისადმი ასეთი მიდგომით ბავშვი თვლის, რომ სამყარო მის მიმართ მტრულადაა განწყობილი და მასში ვერ პოულობს ნდობას, სიყვარულს და ურთიერთგაგებას. ეს პროცესი თანდათანობით მიმდინარეობს. თავდაპირველად არაკეთილგანწყობას ბავშვი უახლოესი გარემოცვიდან გრძნობს. შემდეგ ხდება ამ განწყობის გადატანა ცხოვრების ყველა სფეროზე. ეს დაცვითი პროცესია, რომელიც უწყინარი კი აღარ არის, არამედ პათოლოგიური ხდება და იწყება საკუთარი თავის და მოზრდილებისადმი რწმენის დაკარგვის, სამომავლო პერსპექტივების ნგრევის პროცესი. ეს ყველაფერი მოზარდში ყოველდღიური ოჯახური და სასკოლო ცხოვრებიდან დამოუკიდებელ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ცხოვრებაში გაქცევის სურვილს იწვევს, შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ დევიაციური მოზარდისათვის დამოუკიდებელ, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან ცხოვრებად მიიჩნევა იმ საზოგადოების ნორმებისა და წესების უარყოფა, რომელმაც ის არ მიიღო და რომელსაც მისი არ ესმის.

[56] პრობაციის ეროვნული სააგენტოს კვლევის ანგარიშში - ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან(2014), გვ.67

http://pog.gov.ge/res/docs/narkotikulisashualebismokhmarebisgamocvevitendenciebi_kvleva.pdf

ძალადობის ელემენტების შემცველი კომპიუტერული თამაშები, ტელევიზია და ა.შ. აგრესიული ქცევის, აზრების და რისხვის პროვოცირებას ახდენს. მოზარდებს შეიძლება ვირტუალური ძალადობის რეალობაში გაგრძელების სურვილი გაუჩნდეთ. მოზარდის რომლის ფსიქიკა ჯერ მყიფეა და ის ვერ გრძნობს ზღვარს ვირტუალურ და რეალურ სამყაროებს შორის. შედეგად ის იწყებს ძალადობას რეალობაში. მოზარდთა დანაშაულის ზრდას ხელს უწყობს ასევე არასტაბილური ოჯახები, ბავშვების უმეთვალყურეოდ დატოვება. აგრესიით ხშირად გამოირჩევიან ბავშვები ასოციალური ოჯახებიდან. ამის მიზეზია ის, რომ ბავშვი მუდმივად ხედავს და განიცდის ძალადობას. მასში გროვდება რისხვა, აგრესია, რომელიც თანატოლებზე გადააქვს. ასეთი ბავშვისთვის ძალადობა ჩვეულებრივი მოვლენაა, რადგან იგი თვლის, რომ ძალადობით ყველა პრობლემის მოგვარება შეიძლება. ბავშვი იწყებს ფიქრს, რომ სამყაროში არავის არავინ აღელვებს. ბავშვი არ ფიქრობს ძალადობის შედეგებზე, რადგან მას ეს არ აღელვებს. მან იცის, რომ სხვებსაც არ აღელვებთ მისი ბედი. დამნაშავეთა შორის ისეთი ბავშვებიც არიან, რომლებიც ნორმალურ ოჯახებში იზრდებიან. აქ გავლენას ახდენს გარემო, რომელშიც ბავშვი იზრდება. ხშირად უსაქმოდ მყოფმა ბავშვებმა არ იციან, რით დასაქმდნენ. ყველაფერი იწყება უხეშობით, სხვისი საკუთრების დაზიანებით, ხოლო მთავრდება ქურდობებით, სხეულებრივი დაზიანებების მიყენებით და მკვლელობით, შექმნილ სიტუაციაში გამოსავალზე მსჯელობისას, საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ სადამსჯელო ღონისძიებების გამკაცრებით მოზარდთა შორის ძალადობა, დანაშაულთა რიცხვი შემცირდება. ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაწილის აზრით, სადამსჯელო ზომების გამკაცრებას, ასაკობრივი ზღვრის შემცირებას, რომლის მიღწევისას პირი დანაშაულის სუბიექტი ხდება, მხოლოდ შეზღუდული ეფექტი აქვთ.

2.2 მოზარდთა ნარკოდამოკიდებულების პრევენცია საქართველოში

ნარკომანიის პრევენცია მრავალმხრივი პრობლემაა და მისი განხილვისას აუცილებელია სხვადასხვა ასპექტებს შევეხოთ. გრძელვადიანი და რეალური შედეგის მისაღწევად აუცილებელია, როგორც ნარკოტიკული ნივთიერებების მოწოდების, ასევე მოთხოვნის შეზღუდვა. მოწოდების შეზღუდვაში შეიძლება იგულისხმებოდეს ნარკოტიკული საშუალებების ქვეყანაში შემოდინების შემცირება, ხოლო მოთხოვნის შემცირებაში - საგანმანათლებლო პროგრამები მოზარდებში. მოთხოვნის შემცირებაზე მიმართული სტრატეგიები უფრო მდგრად რეზულტატს იძლევა, ვიდრე მოწოდების შემცირებაზე ორიენტირებული ღონისძიებები. მოწოდების

შეზღუდვის შემთხვევაში, მოკლევადიან პერიოდში, ნარკოტიკების მოთხოვნის უცვლელობის პირობებში, შეძენილი ნარკოტიკული საშუალებების რაოდენობა არ იკლებს. ეს მომატებული ფასების ფონზე ზრდის მომხმარებელთა მიერ ნარკოტიკების შეძენაში გადახდის თანხას და შესაბამისად კრიმინალურ ქმედებათა სტატისტიკას.[57] ამავე დროს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ექსპერიმენტული მოხმარების კლების ხარჯზე მოწოდების შეზღუდვამ შეიძლება გამოიწვიოს მოთხოვნის შემცირება, თუმცა არსებობს მოწოდების ალტერნატიული გზების გამოძებნის დიდი ალბათობა. მოთხოვნის შემცირების პირობებში კი იკლებს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება და დაბლა ეცემა ფასები. ეს ამცირებს მომხმარებელთა მიერ ნარკოტიკების შეძენაში გადახდილ მთლიან თანხას და ნარკოტიკების შესაძენად საჭირო მოწოდებას და უზრუნველყოფს გრძელვადიან რეზულტატს.

ნარკოტიკულ ნივთიერებებზე მოთხოვნის შემცირებისაკენ მიმართულ პრევენციული სამუშაოების ჩატარება რეკომენდირებულია გვიანდელი ბავშვობისა და მოზარდობის ასაკიდან. მნიშვნელოვანია ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობისათვის ფსიქოაქტიურ საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებუოლ რისკებზე ობიექტური ინფორმაციის მიწოდება. მოზარდებთან მიმართებაში ამ მხრივ საგანმანათლებლო მუშაობას მავნე ჩვევების წინააღმდეგ ვაქცინაციას უწოდებენ. თუ ინფორმაცია ინტერაქტიულ ფორმატში იქნება მიწოდებული, ეს მათ ამ საკითხებზე დაფიქსეირებასა და სწორ გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარებათ. მოზარდობის ასაკის თავისებურებებიდან გამომდინარე, ნარკომანიის პრევენციაზე მუშაობის უპირველესი ადრესატი მოზარდი თაობაა, სტატისტიკების მიხედვით მომხმარებელთა და ნარკომანთა ორი მესამედი ნარკოტიკული ნივთიერებების გასიჯვას სწორედ ამ ასაკში იწყებს. ნარკოტიკების ბოროტად მოხმარება განიხილება როგორც დაავადება, რომელიც ზეგავლენას ახდენს ოჯახის ყველა წევრზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახის როლს, ქიმიურად დამოკიდებული, მისი ერთ-ერთი წევრის პირველად პროფილაქტიკაში, ოჯახი ახდენს საკმაოდ დიდ ზეგავლენას ნარკოტიკების მომხმარებელ ოჯახის წევრზე. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, ისევე, როგორც სხვა ქრონიკული დაავადებები, პროგრესირებადია და შეუძლებელია მისგან სრულიად განკურნება. ადგილი აქვს პერიოდულ რეციდივებს და რემისიებს და

[57] ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში

https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/

შესაძლებელია საბოლოოდ პიროვნება მიიყვანოს ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ ინვალიდობამდე.

პრობლემა დგება მაშინ, როდესაც ოჯახი იგებს ინფორმაციას ოჯახის ერთ-ერთი წევრის წამალდამოკიდებულების შესახებ, როდესაც ოჯახი გააცნობიერებს, რომ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება შესაძლებელია გახდეს პრობლემა, იგი ირჩევს სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს შეინარჩუნოს ოჯახის მთლიანობა. ნარკომანების ოჯახები წარმოადგენს დისფუნქციურ ოჯახებს. ნარკოტიკზე დამოკიდებული პირების ოჯახის წევრები დაახლოებით ერთნაირად რეაგირებენ ქიმიური დამოკიდებულების ფაქტზე. ეს რეაქციები ისეთივე დაუძლეველი და უმართავი შეიძლება გახდეს, როგორიც ნარკომანის ქცევაა. ზოგჯერ ნარკომანთა ოჯახის წევრები და ახლობლები ისეთივე სისწრაფით ანადგურებენ საკუთარ თავს, როგორც თვით ნარკომანები. ასეთ ადამიანებს თანადამოკიდებულებს უწოდებენ. სპეციალისტების აზრით, ქიმიური დამოკიდებულების მქონე თითოეული პიროვნება ძლიერ უარყოფით ზეგავლენას ახდენს, სულ ცოტა, ოთხ ადამიანზე. უფრო მეტიც, ითვლება რომ, ნარკომანთა ოჯახის წევრების უმრავლესობისათვის ავადმყოფთან ერთად ცხოვრების 2 წელი, საკმარისია, თანადამოკიდებულების სიმპტომების ჩამოსაყალიბებლად. [58] თანადამოკიდებულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც დაფიქსირებული რეაქცია სტრესზე. დროთა განმავლობაში ეს რეაქცია უფრო ცხოვრების წესად იქცევა, ვიდრე გადარჩენის საშუალებად. ხშირად, როცა სტრესის წყარო წყვეტს მოქმედებას (ნარკომანი აღარ მოიხმარს ნარკოტიკს), თანადამოკიდებული ადამიანი ისევე განაგრძობს მოქმედებას, როგორც მანამადე _ თითქოს არაფერი არ შეცვლილა: ისევ არ ენდობა, ადანაშაულებს, აკონტროლებს და ა.შ. ასეთ შემთხვევაში თანადამოკიდებული ოჯახის წევრი ნარკომანს რეციდივის რეალურ საფრთხეს უქმნის.[59] პირველი რეაქცია ოჯახისა იმაზე, რომ მისი ოჯახის წევრი არის ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებული, არის უარყოფა. უარყოფა დაცვითი რეაქციაა და შეიძლება მოტივირებული იყოს სურვილით, რომ შეინარჩუნოს მოგონებები კარგ წარსულზე. თავის მოტყუება და იმედი, რომ ყველაფერი თავისით მოგვარდება, მხოლოდ აგვიანებს სათანადო ზომების მიღებას და ოჯახის წევრებს თანადამოკიდებულებაში ითრევს. პრობლემის აღიარება გულისხმობს იმის აღიარებასაც, რომ

[58] ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში

https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/

[59] ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში

https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/

ნარკომანია დაავადებაა და არა ,,ცუდი საქციელი". ამიტომ, საჭიროა ამ დაავადების მკურნალობა და არა ,,ცუდი ბიჭის" გამოსწორება. დაავადების მკურნალობა კი შეუძლებელია ჩხუბით, დადანაშაულებით ან ხელის დაფარებით.

ასეთი დამოკიდებულება არც მაშინ არის შედეგიანი, როცა ჯერ არ არის დაავადება ჩამოყალიბებული და ნარკოტიკის მოხმარება ეპიზოდურად ხდება. პრობლემის მოგვარება შესაძლებელია, თუ ოჯახის წევრები:

დროულად აღიარებენ პრობლემას;

არ ეცდებიან პრობლემის გაუბრალოებას;

არ მიეცემიან სასოწარკვეთილებას და არ დაკარგავენ პრობლემის მოგვარების იმედს;

არ დაკარგავენ დროს ,,დამნაშავის" ძებნაში;

არ აიღებენ პასუხისმგებლობას პრობლემის მქონე ადამიანის ქცევაზე;

არ აიღებენ საკუთარ თავზე ყველა პრობლემის მოგვარებას. ეს დათვური სამსახურის ტოლფასია.[60] ყველა ახალგაზრდა ექვემდებარება როგორც რისკ-ფაქტორების, ასევე დაცვითი ფაქტორების ზემოქმედებას. რისკ-ფაქტორების არსებობა განაპირობებს ნარკოტიკების მოხმარების რისკს, ხოლო დაცვითი ფაქტორები იცავს მოხმარების დაწყებისაგან.

ადრეულ ასაკში ნარკოტოკების მოხმარება წარმოადგენს რისკ-ფაქტორს მომავალში დამოკიდებულების განვითარებისთვის. რაც უფრო მაღალია ადრეულ ასაკში ნარკოტიკებით დაზიანების ხარისხი, მით უფრო მაღალია შემდგომში ანტისოციალური ქცევის ჩამოყალიბების რისკი. ცალკეული ფაქტორების ან ფაქტორთა ჯგუფის ხვედრითი წილი, შესაძლებელია იცვლებოდეს დროში ბავშვის განვითარებასთან ერთად ან გარემოს ცვლილებასთან დაკავშირებით. ნარკოტიკებით, ადამიანის ორგანიზმისათვის, მიყენებული ზიანი კრიმინოლოგებს აინტერესებს არა ფიზიოლოგიური კუთხით, არამედ, როგორც პიროვნების დეფორმაციის წინაპირობა და მისი სოციალური ქცევის დეგრადირება. ამიტომ, ადამიანის ორგანიზმსა და ნარკოტიკების რთული ურთიერთქმედებისაგან უნდა გამოიყოს ნარკოტიკული ნივთიერებების ზემოქმედების მექანიზმის ის მხარეები, რომლებიც, ამ მხრივ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ზოგიერთი ნიშანი და სიმპტომი, რომლებმაც შეიძლება მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური

[60] იქვე

ნივთიერებების მოხმარებაზე მიგვანიშნონ. როდესაც ვუხსნით მოზარდებს, რომ ნარკომანია თავისუფლების დაკარგვაა და არა პირიქით, თავისუფლების გამოხატულება, მნიშვნელოვანია რომ ჩვენი ანტიპროპაგანდით არ გამოვიწვიოთ ზიზღი ან აგრესია ნარკომანიით დაავადებული ადამიანების მიმართ და ნარკოტიკების მოხმარებაზე ყურადღების გამახვილებით, ანტინარკოტიკული პროპაგანდა უნებლიედ არ იქცეს ნარკოტიკების მოხმარების პროპაგანდად – რაც სამწუხაროდ არაერთხელ მომხდარა პრევენციული მუშაობის არასწორი გააზრება-დაგეგმვის შემთვევაში. დავიცვათ ზომა და ანტინარკოტიკული პროპაგანდა მოზარდების მხრიდან უფროსი თაობის გაცვეთილი და მომაბეზრებელი ჭკუისდამრიგებლობად არ იქნეს აღქმული.[61]

წამალდამოკიდებულება ანუ ნარკომანია გულისხმობს იმას, რომ ადამიანი ამა თუ იმ ფსიქოაქტიური საშუალების ექსპერიმენტული, რეკრეაციული, ავად- თუ პრობლემური მოხმარების შედეგად გადავიდა რეგულარულ მოხმარებაზე, აგრძელებს მას მოუხედავად ამ ქცევის გამო წარმოქმნილი პრობლემებისა, და ვერ აკონტროლებს ამ ქცევას, რადგან უკვე განვითარებული აქვს დამოკიდებულების სინდრომი.[62] დამოკიდებულების სინდრომი, თავის მხრივს გულისხმობს ორი ტიპის, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დამოკიდებულებას. ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გულისხმობს ნარკოტიკული საშუალების მიმართ აკვიატებულ ლტოლვას, მოხმარება-არმოხმარების თაობაზე არჩევანის გაკეთების უნარის დაკარგვას, ადამიანის ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას ნარკოტიკებზე. რაც მოხმარების შეწყვეტის შემთხვევაში გამოიარება მძაფრი ფსიქოლოგიური დისკომფორტის სახით: დეპრესია, შფოთვა, სხვადასხვა სახის შიში, პანიკური რეაქციები და ა.შ.

ფიზიკური დამოკიდებულება გულისხმობს ადამიანის ყველა სასიცოცხლო სისტემის (გულ-სისხლძარღვთა, საჭმლის მომნელებელი, ნერვული და ა.შ.) ჩათრევას დაავადებაში და ვლინდება ე.შ. „აღკვეთის სინდრომის“ (იგივე „ლომკა“) სახით, პრევენციული სამუშაოები უნდა მიმდინარეობდეს სისტემურად, ადამიანის სოციალური ცხოვრების ყველა დონის გათვალისწინებით. მოზარდებში წამალდამოკიდებულების პრევენციის შემთხვევაში ფიზიკურ გარემოს წარმოადგენს სკოლა. ეს გარემო შეიცავს გარკვეულ რისკებს და დამცავ ფაქტორებს, რომელთა შემჩნევა და დროული რეაგირება სკოლის პრევენციული მუშაობის მთავარ პრინციპს წარმოადგენს.

---

[61] ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში

https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/

[62] იქვე

ქცევის დონეზე პრევენციული მუშაობს ამოცანაა ბავშვებისა და მოზარდების ჩართვა ისეთ აქტივობებში, რომელიც მათში ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარების რისკს შეამცირებს. ამ ამოცანის შესრულება შეიძლება მოზარდების ჩართვით სპორტულ თამაშებში, თვითგამოხატვისა თუ შემეცნებით-გასართობ წრეებში.

პრობლემური ქცევის პრევენციის დროს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სკოლის პედაგოგთა მხრიდან მეორეულ პრევენციას, რომელიც გულისხმობს მოსწავლეებში პრობლემური ქცევის ადრეულ ამოცნობას და შესაბამის რეაგირებას. ისეთ შემთხვევებში კი, სადაც პედაგოგის დახმარება არ არის საკმარისი და საჭიროა უფრო ვიწრო სპეციალიზაციის მქონე პირების ჩარევა – აუცილებლობას წარმოადგენს ბავშვისა თუ მოზარდის მართებული გადამისამართება. უნარ-ჩვევების დონეზე პრევენციული მუშაობის ამოცანაა ბავშვებსა და მოზარდებში ისეთი უნარ-ჩვევების განვითარება, რომელი მათ ფსიქოაქტიური საშუალებების მოხმარებისაგან დაიცავს და დამცავი ფაქტორების როლს შეასრულებს. ოჯახის დონეზე პრევენციული მუშაობის სამიზნეს ოჯახები და მშობლები წარმოადგენენ. აქ შესაძლებელია ცხოვრების ჯანსაღი სტილის დაცვაზე მიმართული ღონისძიებების ორგანიზება, სადაც მშობლებიც ისევე აქტიურად იქნებიან ჩართულები, როგორც ბავშვები. ოჯახის დონეზე პრევენციული სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილია ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოზარების რისკების საკითხში მშობლების თვითგაცნობიერების დონის ამაღლება.

საზოგადოების დონეზე მუშაობის თვალსაზრისით, სკოლის მთავარი ამოცანაა სხვადასხვა სოციალურ ქსელში ჩაბმა, სასარგებლო კონტაქტების მოპოვება, შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ყველა იმ აქტივობების ჩატარება რაც სოციალური კაპიტალის დაგროვებას შეუწყობს ხელს. ნარკომანია გლობალური პრობლემაა და ყველა სახელმწიფოს ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ნარკოტიკული საშუალებების/ფსიქოტროპული ნივთიერებების მომხმარებელთა რაოდენობა, განურჩევლად მათი რასობრივი, რელიგიური და ეთნიკური კუთვნილებისა, ყოველწლიურად იზრდება, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. საქართველოში ანტინარკოტიკული სტრატეგია მიმართულია პრევენციული სამუშაოებისკენაც, როდესაც ადრე, ძირითადად, სასჯელაღსრულებითი ორგანოების საშუალებით ხდებოდა ნარკომანიასთან ბრძოლა. 2012 წლის სექტემბერში დაიწყო EU-Dap (European Drug Addiction Prevention trial) – ის მიერ დაფინანსებული ანტინარკოტიკული პროგრამა „Unplugged", რომელიც ითვალისწინებდა სკოლებში

საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას, გაკვეთილებისა და ტესტირებების ორგანიზებას.[63]

ამგვარად, დანაშაულის პრევენციაში საზოგადოებას, ოჯახს, მედიას და არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი როლი ენიჭება. სისტემამ, როგორიცაა მართლმსაჯულება, განათლება, ჯანდაცვა და კეთილდღეობა პრობლემის დროული იდენტიფიცირება, დროული ჩარევა და ყველა პასუხისმგებელ უწყებასთან კოორდინირებულად მუშაობა უნდა შეძლოს. არსებობს სამი დონის პრევენცია. პირველი დონის პრევენცია ყველა ბავშვისკენაა მიმართული და ზოგადი ხასიათის, საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული აქტივობებით შემოიფარგლება. სისტემის მიზანია, დროულად დაინახოს ძალადობის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვები და შესაბამის სამსახურებში დროულად გადაამისამართოს.[64] მეორე დონის პრევენციას თავისი კონკრეტული ფოკუსჯგუფი ჰყავს. ესენი რისკისა და მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვები არიან, რომლებიც უკვე სხვა სპეციალობის ადამიანის დახმარებას საჭიროებენ, მაშ შორისაა ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, სპეციალური პედაგოგი. მაგრამ, ამ დარგის სპეციალისტების აზრით, ამჟამად მოუწესრიგებელია გადამისამართების მექანიზმი, მანდატურის სამსახურთან არსებული ფსიქოლოგების დახმარების სერვისი მთელ საქართველოს ვერ ფარავს და ასევე, უწყებებს არა აქვთ რეფერირებისა და ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება.[65] მესამე დონე განმეორებითი დანაშაულის პრევენციაა. მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც განრიდებისა და მედიაციის პროგრამას გულისხმობს, მესამე დონის პრევენციად განიხილება. ნებისმიერი ინსტიტუცია, უწყება, რომელსაც ბავშვთან შეხება აქვს, მის ინდივიდუალურ საჭიროებაზე ორიენტირებული უნდა იყოს.[66]

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს ქვემოთ მყოფი ბავშვები პრევენციის სფეროს ნაწილია. აქ წამყვანი როლი განათლებისა და სოციალური დაცვის სისტემებს უნდა ჰქონდეს. საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ექსპერტთა ჯგუფი ფუნქციონირებს, რომელიც

---

[63] ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია, http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf

[64] იქვე

[65] ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში

https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/

[66] იქვე

სკოლის წარმომადგენლის, სოციალური მუშაკის, მანდატურის, პროკურორის, უბნის ინსპექტორის, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის საფუძველზე 14-წლამდე ბავშვების ანტისოციალური ქცევებს განიხილავს. შემდეგ ბავშვებს სხვადასხვა პროგრამაში ან სკოლა-პანსიონში ამისამართებს.

გაეროს ბავშვთა ფონდის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროგრამის ხელმძღვანელი, თეონა კუჭავა არსებულ მექანიზმს აკრიტიკებს და რამდენიმე პრობლემურ მიმართულებას ასახელებს: საგანმანათლებლო, სოციალურ და მართლმსაჯულების სექტორებს შორის კავშირი სუსტი და თითქმის არაეფექტურია; გადამისამართების მექანიზმში ჩართული პროფესიონალების ფუნქციები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის; ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას არსებული მექანიზმის შესახებ და შესაბამისად, იშვიათად მიმართავენ მას; მხარდაჭერის საჭიროების მქონე ბავშვთა იდენტიფიცირების კრიტერიუმები ბუნდოვანია და შესაბამისად, პრობლემურია დოკუმენტირების საკითხი; პრობლემურია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის მონაწილეობა და გადაწყვეტილების გასაჩივრება; არ არსებობს საზოგადოებრივი პროგრამები.

არაეფექტური პრევენციული მექანიზმების არსებობის პარალელურად, უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემაც იკვეთება.[67] ფსიქოაქტიური ნივთიერებებით ზიანის მიყენების პრევენცია შესაძლებელია თუ იარსებებს სახელმწიფო სტრატეგია, რომელიც დაფუძნებული იქნება საერთაშორისო პრაქტიკაზე და სამეცნიერო მტკიცებულებებზე. ჩატარებული აქტივობებს კი ექნება უწყვეტი, სისტემატური და მულტიფაქტორული ხასიათი - ყველა განხომილების გათვალისწინებით. ამდენად, სამომავლოდ აუცილებლობას წარმოადგენს სკოლის პროგრამაში ანტინარკოტიკული ღონისძიებების უწყვეტი საგანმანათლებლო სესიების შექმნა, რომლის სწავლება სასურველია დაწყებითი კლასებიდან დაიწყოს.

ასევე აუცილებლობას წარმოადგენს სკოლაში მომუშავე კონტიგენტის უწყვეტი დატრენინგების სისტემის შემუშავება, სადაც ყოველი პედაგოგი მიიღებს იმ უნარჩვევებს, რომელიც აუცილებელია სკოლის ასაკის ბავშვებთან მუშაობის დროს და სკოლის შიდა კულტურის ჯანსაღი ცხოვრების წესის ცოცხალ მაგალითად ჩამოყალიბებისათვის. საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს მშობლების, როგორც ბავშვის უშუალო მისაბაძი მაგალითის დატრენინგებას, რამეთუ ოჯახის

[67] ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში

https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/

ზეგავლენა ბავშვზე ძალიან დიდია. მარტო სკოლის გარემოს სიჯანსაღე ვერ განაპირობებს სწორად მოაზროვნე თაობის ჩამოყალიბებას. გამოყენებული.

2.3 ნარკომოხმარების პრევენციის მექანიზმები

ექსპერტები და სამეცნიერო მკვლევარები გამოყოფენ ნარკოდანაშაულის და ნარკომანიის პრევენციის სამ ძირითად მოდულს:

ა) ნარკოტიკების მომარების პრევენცია

ბ)ნარკოდანაშაულის ჩადადენის რისკის შემცირება

გ)ნარკოდანაშაულის განმეორებითი ჩადენის რისკის შემცირება

სკოლებში ნარკოპრევენციასთან დაკავშირებით ევროკავშირის ინიციატივით შემუშავებული სტრატეგიული პროგრამის ძირითადი მიმართულება ეყრდნობა მოსწავლეებში შიდაპიროვნული თვისებების განვითარებას, ბალანსირებული ინფორმაციის მიწოდებას ნარკოტიკებზე და მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. სკოლებში განისაზღვრა სწავლების ის მეთოდოლოგია, რომლითაც პრევენცია გაცილებით ეფექტურად მოქმედებს, როგორიციაა: ჯგუფური და გრძელვადიანი სწავლება, ჯანსაღ ცხოვრებაზე გაცილებით მეტი აქცენტის გაკეთება, ვიდრე მომაბეზრებელი, მენტორული ტონი და ხაზგასმულად გაზვიადებული ინფორმაცია ნარკოტიკებზე.[68] ნარკოპრევენციული პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად აუცილებელია აქტიური მონიტორინგისა და სტატისტიკის წარმოება, რათა გამოვლინდეს ის ნაკლოვანებები, რომელიც ხელს უშლის აღნიშნული პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

ნარკომანიის პრევენციის სტრატეგიები მრავალ ასპექტს მოიცავს, პრევენციის გრძელვადიანი და რეალური შედეგის მისაღწევად აუცილებელია, როგორც ნარკოტიკული ნივთიერებების შეზღუდვა ისე მასზე მოთხოვნის შემცირება. მოწოდების შეზღუდვაში შეიძლება იგულისხმებოდეს ნარკოტიკული საშუალებების ქვეყანაში შემოდინების შემცირება, ხოლო მოთხოვნის შემცირებაში საგანმანათლებლო პროგრამები.

ამ მხრივ საინტერესოა ევროპული გამოცდილება, რომელიც

[68] ნარკოტიკების პრევენცია ევროპულ სკოლებში, ესსე, თარგმანი, 2014, 15 ივლისი, 17:19, უცხოური პრესა, http://intermedia.ge/:show:channel

ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ–ერთ მთავარ მექანიზმად განათლების დონის ამაღლებას მიიჩნევს. როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ნარკომანიის პრევენციაზე მუშაობის უპირველესი ადრესატი მოზარდი თაობაა (სკოლაში სწავლის პერიოდი). სტატისტიკის მიხედვით, მომხმარებელთა და ნარკომანთა ორი მესამედი ნარკოტიკული ნივთიერებების გასინჯვას სწორედ ამ ასაკში იწყებს. ვინაიდან, ინფორმირებული ადამიანის ნარკოდამოკიდებულების შანსი მნიშვნელოვნად დაბალია, ევროკავშირმა მიზნად დაისახა ნარკო-პრევენციული განათლების პოლიტიკის დანერგვა მოსწავლეებში.

ევროსაბჭომ წევრ ქვეყნებთან ერთად შეიმუშავა ერთიანი სტრატეგია, რათა სკოლაში ჯანმრთელობისთვის ხელისშემწყობი და ნარკომანიის აღმომფხვრელი პროგრამები დაენერგა. ამ და სხვა დამხმარე პროგრამების განვითარებისათვის მიზანშეწონილად მიიჩნიეს (საჭიროების შემთხვევაში) გამოეყენებინათ სამთავრობო რესურსი და სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურები.

პირველი ნაბიჯი ნარკოპრევენციის პოლიტიკის შესამუშავებლად არის ის რომ ყველა ქვეყანაში ჩამოყალიბდეს პრევენციის ეროვნული პროგრამები სკოლებში, განისაზღვროს მიზნები და სავარაუდო საბიუჯეტო ხარჯები. სტრატეგიის მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიცემა ახალგაზრდებისა და მათი მშობლებისათვის,

წარმატებული პრევენციის პოლიტიკისათვის აუცილებელია სახელმწიფოს როლი პროგრამის მონიტორინგში: ხარისხის კონტროლსა და დასკვნით შეფასებაში. ექსპერტების შეფასებით, მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას აქვს სრულყოფილი მონიტორინგის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სკოლებში პრევენციის პოლიტიკისა და მსგავსი შინაარსის სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდებას.

ევროკავშირის რვა ქვეყანამ (ბელგია, ესპანეთი, საფრანგეთი, ირლანდია, პორტუგალია, ფინეთი, შვედეთი და დიდი ბრიტანეთი) გამოაქვეყნა ნარკომანიის ოფიციალური სტრატეგია, რომელიც პირდაპირაა მიმართული სკოლებში პრევენციაზე, მაშინ როცა გერმანიასა და საბერძნეთში ასეთი დოკუმენტაცია განვითარების საწყის ეტაპზეა. ზოგიერთი მათგანი, სტატეგიას პრაქტიკაში ასახავს (ესპანეთი, ირლანდია, დიდი ბრიტანეთი) ნარკომანიის პრევენციის დიდი გამოცდილება მიუთითებს, რომ სასკოლო პრევენციის პროგრამები ეფექტურია ნარკოტიკისადმი ინტერესის შემცირებაში, მაგრამ ყოველივე ეს დიდწილად დამოკიდებულია არჩეულ ღონისძიებებზე, მათ მიზნებსა და მიდგომებზე. გამოკვლევამ დაადგინა რომ ინტერაქტიური სწავლება, როგორიცაა

ჯგუფური განხილვები - უფრო საინტერესო, ინფორმაცული და დიდი ჩართულობით ხასიათდება, ვიდრე მენტორული ტონი და იზოლირებული სწავლება.

მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა გლობალურია, ერთი საერთო პრევენციული პროგრამა არ არსებობს. წარმატებული პრევენციული პროგრამისათვის საჭიროა ყველა პრობლემის ინდივიდუალური შესწავლა, სკოლაში მოღვაწე საზოგადოების (მენტალობის), ტერიტორიული მდებარეობისა და აკადემიური წრის ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების განსაზღვრა, სწორედ აქედან გამომდინარე განსხვავდება პრევენციის თეორიის ცოდნა და პრაქტიკა ქვეყნებს შორის. წარმატება შესაძლოა მიღწეული იყოს ამ პროგრამების რეგულარული შეფასებებით, ჯანსაღი მონიტორინგით, რაც დღეის მდგომარეობით იშვიათად ხდება ევროკავშირში. წევრი სახელმწიფოების უმეტესობა აქცენტს აკეთებს საშუალო განათლების სკოლებზე, რადგან აქ უფრო მეტად იჩენს თავს აღნიშნული პრობლემა. პრევენციის პროგრამასთან დაკავშირებით. ესპანეთს აქვს გრძელვადიანი, გამოცდილი და ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ბაზა, როგორიცაა დატრეინინგებულ მასწავლებელთა რაოდენობა, სკოლათა რიცხვი, სადაც ანტინარკოტიკული პროგრამა მიმდინარეობს და იმ მოსწავლეთა მონაცემი, რომელთაც გაიარეს აღნიშნული პროგრამა.

სავარაუდოა, რომ ევროკავშირის ბევრ ქვეყანაში, სკოლებისთვის აწყობილი პრევენციის პროგრამები ნაკლებადაა თანხვედრაში ეროვნულ სტრატეგიებთან. აქედან გამომდინარე, ნაკომანიის პრევენციის ევროპის მონიტორინგის ცენტრი (EMCDDA) აბალანსებს ძირითად საერთო პარამეტრებს, რაც ხელს უწყობს წევრ სახელმწიფოებს ინფორმაციის მიღებაში და ეხმარება უკეთ დაინახონ განხორციელებული პროგრამების შედეგები. პრევენციის ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია პროგრამებისათვის სტანდარტების შექმნით, პროფესიონალებით, სერვისით, კოორდინირებითა და კონტროლით, ასევე ჯანმრთელობის გაუჯობესებისათვის სხვა სახის აქტოვობების ხელისშეწყობით.

დიდი მნიშვნელობა აქვს პრევენციის პროგრამების მიწოდების ორგანიზაციას. აუცილებელია, რომ პროგრამები სკოლებში იყოს ხანგრძლივი, მრავალწევრიანი და ხასიათდებოდეს მაღალი ჩართულობით. ამგვარად, ნარკოტიკების პრევენციის პროგრამის ყველაზე პერსპექტიული რეზულტატი, ინტენსივობის, სტრუქტურისა და ხარისხის თვალსაზრისით, გვხვდება ისეთ ქვეყნებში, რომელთა ეროვნული პროგრამა მიმზანმიმართულია სკოლებში პრევენციის პროგრამის გატარებისკენ, სადაც

არის მჭიდრო კორელაცია ლოჯისტიკის და დამფინანსებელ ორგანიზაციებს შორის.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატებული ნარკო–პრევენციული პროგრამა მთავარ აქცენტს უნდა აკეთებდეს ახალგაზრდების შიდაპიროვნილი
უნარების ჩამოყალიბებაზე, რომ მათ შეეძლოთ კრიტიკული ხედვა და იყვნენ ინფორმირებულნი ნარკოტიკების შესახებ. მოკლევადიანი, იზოლირებული და მორალიზებული, დამრიგებლური პოლიტიკა კონტრპროდუქტიულ შედეგს იძლევა. უდიდესი პოტენციალი ნარკოტიკების პრევენციისთვის ევროკავშირის სკოლებში მოიაზრება ინტენსიურ ტრენინგებში მასწავლებლებისათის. საპრევენციო მოდელის წარმატებისათვის საჭიროა ხშირად ჩატარებული პრევენციული სამუშაოები, იმისათვის, რათა გაუმჯობესდეს ხარისხი ნარკოპრევენციის პროგრამის დანერგვისას, საჭიროა კოორდინირებული მუშობა ქვეყნებს ან იმ ორგანიზაციებს შორის, რომელიც უშუალოდ ჩართულია ნარკოტიკების საპრევენციო საკითხებში. სწორედ ამიტომ, ნაკომანიის პრევენციის ევროპის მონიტორინგის ცენტრი აჯამებს ყოველწლიურ ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყნებში და დებს ანგარიშს მიმდინარე წლის ნაკლოვანებებსა და პოზიტიურ მხარეებზე. ნარკომოხმარებისა და ნარკოდანაშაულის პრევენციის საერთაშორისო ასპარეზზე საინტერესო და მნიშვნელოვანი შეფასებებია გამოთქმილი, სახელმწიფოს წარმომადგენელების მხირადან რომლებმაც ნარკოდანაშაულისა და ნარკომოხმარების რაოდენობრივი ზრდის და სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკის გარდამავალი პერიოდი განვლეს,

2007 წლის მარტში, ანტონიო მარია კოსტამ, გაეროს ნარკომანიისა და დანაშაულის ოფისის ყოფილმა აღმასრულებელმა დირექტორმა, ყურადღება გაამახვილა შვედეთის ნარკოპოლიტიკაზე, იგი ამტკიცებდა, რომ შვედეთში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების მაჩვენებელი ევროკავშირში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების საშუალო მაჩვენებლის მესამედია, ხოლო ნარკომანიის კონტროლზე გაწეული ხარჯი ევროპაში გაწეულ იგივე ხარჯს სამჯერ აღემატება. ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში, შვედეთს ჰქონდა ნარკოტიკების კონტროლის თანმიმდევრული და ადეკვატური პოლიტიკა, იმისდა მიუხედავად, თუ რომელი პარტია იყო ხელისუფლებაში. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პრევენციაზე, ნარკომანიის კანონები თანდათანობით გამკაცრდა და მკურნალობისა და რეაბილიტაციის ფართო შესაძლებლობები ხელმისაწვდომია მომხმარებლისთვის. პოლიციამ ნარკოტიკების დანაშაული სერიოზულად აღიქვა. მთავრობებმა და საზოგადოებებმა უნდა შეინარჩუნონ ნერვები და თავიდან აიცილონ

ტოლერანტობის მცდარი წარმოდგენები. მათ მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ ნარკოტიკები უკანონო მოხმარება საშიშია - სწორედ ამიტომ თანხმდება მთელი სამყარო მის აკრძალვაზე.

ევროპაში, ნიდერლანდების შემდეგ შვედეთი არის რიგით მეორე ქვეყანა, რომელიც მშპ-ის მაღალ პროცენტულ წილს ხარჯავს ნარკოდანაშაულის კონტროლზე. UNODC ამტკიცებს, რომ 1990-იანებში, როდესაც შვედეთმა შეამცირა ხარჯები განათლებასა და რეაბილიტაციაზე ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი მაჩვებელისა და მშპ-ის კლების ფონზე, ნარკოტიკების უკანონო მოხმარება გაიზარდა, თუმცა სტუდეტების გამოკითხვა ცხადყოფს რომ, 2002 წელს ხარჯების ზრდის პარალელურად ნარკოტიკების უკანონო მოხმარება მკვეთრად დაეცა. 1998 წელს ,SIFO -ოს მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, რომელშიც 1000 შვედი მონაწილეობდა, გამოკითხულთა 96% მთავრობისაგან მოითხოვდა აქტიურ ჩარევას ნარკოტილების გამოყენების აღსაკვეთად, ხოლო 95% სურდა, რომ ნარკოტიკების მოხმარება კვლავაც უკანონოდ ჩათვლილიყო.

ა.მ. კოსტამ ბოლოს გააკრიტიკა ის ქვეყნები, რომლებლაც შაერბილეს ნარკო კონტროლი და დასძინა, რომ მრავალწლიანი გამოცდილების წყალობით ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადეკვატური და გრძელვადიანი სტრატეგიის საშუალებით ნარკოტიკებით მომარეგება, მოთხოვნა და ტრეფიკინგი შეიძლება შემცირდეს. და თუ ეს ასე არ ხდება, ამის მიზეზი არის ის რომ ზოგიერთი ქვეყანა ნარკოდანაშაულს არ აღიქვამს საკმარისად სერიოზულად და არაადეკვატურ პოლიტიკას ატარებს. ზოგიერთ ქვეყანას ნარკოტიკებთან დაკავშირებული ზუსტად ისეთი პრობლემების აქვს, როგორსაც იმსახურებს. [69] ამ ნათქვამით ა.მ კოსტამ მკაფიოდ მიუთითა რომ ნარკო დანაშაულის მიმართ არაერთ სახელმწიფოს არსებულ საკანონმდებლო სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა, რათა მოხდეს ნარაკოდანშაულთან ეფექტური ბრძოლა.

შეერთებულ შტატებში აკრძალვის ერთ-ერთი თვალსაჩინო კრიტიკოსი იყო ავგუსტ ვოლმერი, კალიფორნიის უნივერსიტეტის კრიმინოლოგიის სკოლის დამფუძნებელი და პოლიციის უფროსების საერთაშორისო ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი. წიგნში „პოლიცია და თანამედროვე საზოგადოება“ გამოთქვა მოსაზრება, რომ: „მკაცრი კანონები, პოლიციის სანახაობრივი ქმედებები, მკაცრი სისხლისსამართლებრივი დევნა და ნარკოტიკების მომხმარებლებისა და დილერების დაპატიმრება არა მხოლოდ უსარგებლო და უზომოდ ძვირია, როგორც ამ ბოროტების გამოსწორების საშუალებები, არამედ

[69] Antonio Maria Costa, executive director of UNODC (March 2007). "Cannabis... call it anything but "soft"", The Independent (UK)

ნარკომანიის მსხვერპლთა მიმართ მათ გაუმართლებლად და დაუჯერებელი სასტიკით იყენებდნენ. რეპრესიების შედეგად პროცესების გადაადგილება მოხდა მიწისქვეშ და ნარკოტიკული კონტრაბანდისტები და მომარაგების აგენტები წარმოიშვა, რომლებმაც ამ დამღუპველი საქმიანობით სიმდიდრე მოიხვეჭეს და რომლებიც, ეშმაკური მეთოდებით, ხელს უწყობდნენ ნარკოტრაფიკს. დ აბოლოს, რაც არანაკლებ ცუდია, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ნარკო-მომხმარებლები იძულებული არიან მიმართონ დანაშაულს, რათა თანხა იშოვნონ წამლისთვის, რომლის გარეშეც ცხოვრება აღარ შეულიათ. ნებისმიერი გეგმის განხორციელებისას პირველ რიგში უნდა დაწესდეს ფედერალური კონტროლი და მოხდეს მართლმსაჯულებისაგან განთავისუფლება ჩვევა შემქმნელი წამლების ფასად. მოგების მოტივის გაქრობის შემთხვევაში, არანაირი ძალისხმევის გაწევა არ იქნება საჭირო ნარკომოვაჭრეებისა და ნარკოტიკების კერძო გამავრცელებლის წასახალისებლად, რომ გამოიყენონ ნარკოტიკი. ნარკოტიკებზე ახალი დამოკიდებულების აღმოჩენა კი სწრაფად მოხდება და ადრეული მკურნალობის წყალობით შესაძლებელი იქნება ზოგიერთი მსხვერპლის ხსნა უიმედოდ უკურნებელი მდგომარეობისაგან. ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, ისევე როგორც პროსტიტუცია და ალკოჰოლიზმი არ არის პოლიციის პრობლემა და არც არასდროს ყოფილა შესაბამისად პოლიციელებმა ვერასოდეს მოაგვარეს. ეს არის მთლიანად სამედიცინო პრობლემა, ხოლო თუ გამოსავალი არსებობს, მას აღმოაჩენენ არა პოლიციელები, არამედ მეცნიერები და სათანადო განათლების მქონე სამედიცინო ექსპერტები, რომელთა ერთადერთი მიზანი იქნება ამ დამანგრეველი მადის შემცირება და შესაძლო აღმოფხვრა. უნდა მოხდეს განუკურნებელი დაავადებით დაავადებული პაციენტების ინტელექტის მკურნალობა ამბულატორიულ კლინიკებში, ხოლო იმ პაციენტების ჰოსპიტალიზაცია, რომლელთა მდგომარეობა არცთუ ისე შორსაა წასული და რეაგირებენ თერაპიული მკურნალობაზე და იმ პროფილაქტიკური პრინციპების გამოყენებას, რომელთაც მედიცინა მიმართავს პაციენტთა სამკურნალოდ“. [70]

მოხსენება, რომელიც დაფინანსებულია ნიუ – იორკის იურისტთა ასოციაციის მიერ, ერთ – ერთი უმსხვილესი ადგილობრივი ადვოკატთა ასოციაცია, შეერთებულ შტატებში,__კამათობს აშშ – ს ნარკოპოლიტიკის თემაზე: მიუხედავად უზარმაზარი საჯარო რესურსებისა, რომლებიც კონტროლირებადი ნივთიერებების მომხმარებლებისა და დისტრიბუტორების მიმართ სისხლისსამართლებრივი დებულებების შესრულებაზე იხარჯება, თანამედროვე ნარკოპოლიტიკა მაინც ვერ ხორციელდება საკუთარი

[70] *The Police and Modern Society*, August Vollmer, Berkeley, University of California Press, 1936

შეხედულებებისამებრ. არაერთი თვალსაზრისით. იგი მოიცავს: კონტროლირებადი ნივთიერებების მოხმარების მინიმალურ შემცირებას; ძალადობრივი დანაშაულის შემცირება; ნარკოტიკების იმპორტის შემცირების, განაწილებისა და ქუჩის დონის გაყიდვების მკვეთრად შემცირების შეუსრულებლობა; პოტენციური მომხმარებლებისთვის წამლების ფართო ხელმისაწვდომობის შემცირება; ცალკეული პირებისათვის გადაწყვეტილების შეცვლის შეუძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ინდივიდუალური მეწარმეებისა და მიწისქვეშა ორგანიზაციებისათვის ხელმისაწვდომი უზარმაზარი მოგებისა და ფინანსური შესაძლებლობებზე გავლენის მოხდენის შეუძლებლობა უკანონო ვაჭრობაში ჩართვის გზით. ნარკოტიკზე დამოკიდებულებისა და მათი ოჯახებისათვის მნიშვნელოვანი მკურნალობისა და სხვა სახის დახმარების გაწევის შეუსრულებლობა; ნარკოტიკებით ვაჭრობის მსურველების სხვა ალტერნატიული შესაძლებლობებით უზრუნველყოფა, მათი ფინანსური წინსვლის მისაღწევად. [71]

თავი III. მეთოდოლოგია, კვლევის აღწერა

ჩამოყალიბებულმა ჰიპოთეზამ და კვლევის ამოცანებმა განსაზღვრა ჩვენ მიერ კვლევის შემდეგი მეთოდების გამოყენება: შერჩეულ საკვლევ პრობლემაზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტების და წყაროების ანალიზი, სტატისტიკური ცხრილების ანალიზი, დოკუმენტაციის შესწავლა, შედარებითი ანალიზი, მოპოვებულ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ინტერნეტრესურსების მოძიება - დახარისხება, შედეგების შეჯამება, მათზე მსჯელობა. კვლევის პროცესში გავეცანით სამეცნიერო ლიტერატურას, მასზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ჰიპოთეზა და დებულებები, რომელთა დამტკიცებასაც ჩვენი კვლევა ისახავდა მიზნა კვლევის თეორიული

[71] via New York County Lawyers' Association (Oct 2006). Report and Recommendations of the Drug Policy Task Force (Note 2) Archived June 22, 2008, at the Wayback Machine. NYCLA & Drug Reform Coordination Network. – see National Household Survey on Drug Abuse (1993), U.S

საფუძველია: მეცნიერული ნაშრომები კრიმინოლოგიასა და სისხლის სამართალში, მედიცინასა და ფსიქიატრიაში, სოციოლოგიასა და და მეცნიერების სხვა დარგებში. კვლევის ნორმატიულ ბაზას შეადგენს ნარკომანიის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტები (კონვენციები), საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, საქართველოს კანონი „ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებათა“ შესახებ, სხვადასხვა ქვეყნის ანტინარკოტიკული კანონმდებლობები. კვლევის ემპირიულ ბაზას შეადგენს ნაშრომები, სადაც განხილულია ნარკომანიის გამომწვევი მიზეზები და პირობები, ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მისი გავრცელების თავიდან აცილება, საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა ნარკოტიკული საშუალებების გამსაღებელთა და ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობთა ხელყოფისაგან, რაც მთავარია, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისა და გავრცელების პრევენციული ღონისძიებები. ფაქტობრივი მასალის ანალიზის პროცესში, კვლევის ზოგადმეცნიერულ მეთოდებთან ერთად გამოყენებულია: სისტემური ანალიზის, ანალოგიების, პროგნოზირების, სტატისტიკური მონაცემების მონიტორინგის და სხვა მეთოდები.

თავი IV. კვლევის შედეგები და დასკვნები

ნარკომანიისადმი მიძღვნილი უახლესი ლიტერატურა ნარკომანიის განვითარებისა და მისი პრევენციის სრულყოფის გზების შესახებ და ნარკომანიასთან ბრძოლის საკითხებზე ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო წინადადებებს გვთავაზობს. ასეთ მონაცემებს აქვეყნებს დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი “ალტერნატივა ჯორჯია”, რომელმაც მოსახლეობაში კვლევა დონორი ორგანიზაციების, საერთაშორისო განვითარების სააგენტოს – USAID-ის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს – CzDA-ს ფინანსური დახმარებით ჩაატარა. მათი ინფორმაციით, კვლევის მიზანია, დადგინდეს მოსახლეობაში

ნარკოტიკების მოხმარების მასშტაბები და ტენდენციები. საქართველოს მოსახლეობაში სხვადასხვა არარეგალური ნივთიერების მოხმარების მასშტაბებით საიმედო მონაცემები არ მოიპოვება. არსებობს რამდენიმე კვლევა, რომლებიც სწავლობდნენ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების გავრცელებას და თავისებურებებს განსაზღვრულ სუბპოპულაციებში: ნარკოტიკების მოხმარების პრაქტიკა პრობლემურ მომხმარებელთა შორის, სკოლის მოსწავლეებსა და უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის, კვლევის შედეგების თანახმად, კანაფი ცხოვრებაში ერთხელ მაინც გასინჯული ჰქონდა 18 – 24 წლამდე ასაკის რესპოდენტთა 10.4%-ს, ბოლო ერთი წლის განმავლობაში – 4.0%-ს, ხოლო ბოლო ერთი თვის განმავლობაში – 1.0%-ს. რესპოდენტების მხოლოდ 0.6%-მა განაცხადა, რომ ინექციური ნარკოტიკი ცხოვრებაში ერთხელ მაინც მოუხმარია. "მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მაჩვენებელი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მასშტაბზე, ამ კვლევის მონაცემების გენერალიზება ზოგად მოსახლეობაზე შეუძლებელია", – აცხადებენ ორგანიზაციაში.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს მსჯელობა ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ. თითოეულ თეორიას სავარაუდოდ, აქვს არსებობის უფლება და რადგან ნარკომანიის პრობლემები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ პრობლემის საბოლოო მოგვარებასთან თუ არა, მის ნაწილობრივ რემისიასთან მაინც, შევეცადეთ განგვეხილა სახელმწიფო უწყებების, ამ დარგის სპეციალისტების, მეცნიერებისა და საზოგადოების აზრი მოქმედ კანონმდებლობაში კარდინალური ცვლილებების შეტანის შესახებ, შეგვეჯერებინა თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ამის შემდეგ გაგვეცა მეტნაკლებად სწორი პასუხი კვლევის ჰიპოთეზაზე. მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ნაწილი თვლის, რომ კარდინალერი ცვლილებები მოქმედ კანონმდებლობაში შესაძლოა, ნაჩქარევი აღმოჩნდეს, რადგან გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები სწრაფად შევლის არსებულ რეალობას. მეორე, უფრო მცირე ჯგუფი ამ სფეროში ლიბერალური საკანონმდებლო ცვლილებების გატარების მომხრეა და შემოაქვს ინიციატივა, რომ ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის გაუქმდეს როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ხოლო ამავე ჯგუფის ერთი ნაწილი უფრო შორს მიდის და მოითხოვს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის - „ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა, მოყვანა ან კულტივირება" გაუქმებას, შემდგომში ლიცენზიების გაცემას და საქართველოში მარიხუანას

დათესვა- კულტივაციას ბიზნესისა და სამედიცინო მოხმარების თვალსაზრისით.

დღეს, საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მსჯელობისას და მოქმედ კანონმდებლობაში კარდინალური ცვლილებების შეტანის შესახებ, სახელმწიფო უწყებების, ამ დარგის სპეციალისტების, მეცნიერებისა და საზოგადოების აზრის და თითოეული მათგანის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეეჯერებით შეგვიძლია მეტნაკლებად სწორი პასუხი გავცეთ კვლევის ჰიპოთეზას. თითოეულ თეორიას სავარაუდოდ, აქვს არსებობის უფლება. არასრულწლოვანთა ნარკომანიის პრობლემები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ამ პრობლემის საბოლოო მოგვარებასთან თუ არა, მის ნაწილობრივ რემისიასთან, ამდენად, ზოგადად, საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში სერიოზული საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა, არსებულ პრობლემებზე მსჯელობა და პრობლემის მოგვარების გზების დასახვა, გარკვეულწილად მოიცავს არასრულწლობნებში ამ კუთხით არსებულ პრობლემებს, მათი თანმდევი შედეგების გათვალისწინებით. სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი და რეალური ვითარების შესწავლა, გვიჩვენებს, რომ საქართველოში ნარკოტიკული დანაშაულის სფეროში საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ მსჯელობისას ფაქტიურად გამოკვეთილია ორი ჯგუფი. ამ ჯგუფებს საერთო მხოლოდ ის აქვთ, რომ ორივე მეტნაკლებად აღიარებს ადამიანის უფლებებზე, ასევე სამეცნიერო მტკიცებულებებზე დაფუძნებული, დაბალანსებული ნარკოსტრატეგიის აუცილებლობას და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში ცვლილებების შეტანას.

აქედან გამომდინარე მათ არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალებების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვის ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის სასჯელთა სისტემის ზედმეტი ლიბერალიზაცია. თუმცა ნარკოტიკების პირადი მოხმარების მიზნით სანქციის ნაწილში, ისინი თვლიან, რომ შეიძლება ფიქრი ამ ქმედების ტრადიციული სისხლის სამართლის ჩარჩოებიდან გაყვანის შესახებ, სანქციის იდეის გამორიცხვის გარეშე: ქმედება აღარ იქნება დანაშაულებრივი, მაგრამ დაისჯება ადმინისტრაციულად ან სხვა წესით. რაც შეეხება არასრულწლოვნების პრობლემებს ამ სფეროში, ამ ჯგუფის აზრით: მოზარდი თაობის დიდი, კანონმორჩილი ნაწილი და მათ შორის, არასრულწლოვნებიც, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, თავს იკავებენ

ნარკოტიკების მოხმარებისგან, მაგრამ ნარკოტიკების ლეგალიზაცია ან კანონის ნორმების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია ბევრ ახალგაზრდას მათი მოხმარებისკენ უბიძგებს, რასაც ისინი სხვა დროს არ გააკეთებდნენ. ლეგალიზაციის შემთხვევაში აღარ იქნება არავითარი ბარიერები და პიროვნების ფორმირებისას დაშვებული შეცდომების გამო, ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების - არასრულწლოვნების რიცხვი მკვეთრად გაიზრდება. თუ სახელმწიფო სწორად წარმართავს ანტინარკოტიკულ კამპანიას სკოლებსა და უნივერსიტეტებში ტრენინგების სახით და მაქსიმალურად გაამკაცრებს პოლიტიკას არარეგისტრირებული მომხმარებლებისა და ნარკოდილერების მიმართ, ავტომატურად მოახდენს ნარკოტიკული მედიკამენტების მოხმარების დეკრიმინალიზაციას, ზოგჯერ პრევენციასაც კი; შემოსავალს გადაუკეტავს შავი სამყაროს წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ მფარველობენ ამ ბიზნესს. შემოსული თანხის ნაწილი საკმარისი იქნება მეტადონის პროგრამის დახვეწისა და გაიაფებისთვის.

მათი აზრით: სისხლის სამართლის სანქციების გამოყენება არის ყველაზე სერიოზული ქმედება, რასაც კი სახელმწიფოს შეუძლია მიმართოს თავისი მოქალაქეების წინააღმდეგ; შესაბამისად, ასეთი სასჯელის გაუქმება ნარკოტიკების მომხმარებელი ადამიანების მიმართ ნიშნავს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას უფრო ჰუმანური მიდგომისკენ, აგრეთვე არის ფულის დაზოგვის და პოლიციის რესურსების გამოთავისუფლების ეფექტიანი საშუალება. ნარკოტიკის მოხმარების პრევენცია ან შემცირება, თუ მოხმარება ზიანის მომტანია, პოლიტიკის მართებული მიზანი გახლავთ. საერთო ზიანის შემცირებაზე სერიოზული მუშაობა თუ გვსურს, ნარკოპოლიტიკა უნდა შეფასდეს სარგებლის უფრო ფართო სპექტრის გამოყენებით: გავლენა კრიმინალზე, ჯანდაცვა, საერთაშორისო განვითარება, უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, გარემოს დაცვა და ეკონომიკა – ეს ყოველივე უპირველესი და ცენტრალური ფაქტორები უნდა იყოს ახალი მიდგომების კვლევის და მიმდინარე მიდგომების შეფასების საქმეში. ეს უფრო ჰოლისტიკური სტრატეგია, სისხლისსამართლებრივი რეაგირების ძირეულ უარყოფასთან ერთად, გახლავთ საშუალება, რაც უზრუნველყოფს, რომ ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო სისტემა მიაღწევს მის თავდაპირველ მიზანს, რასაც კაცობრიობის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის დაცვა ჰქვია. საქართველოში მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის ან მოხმარების პირველადი ფაქტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ითვლება. ერთი წლის განმავლობაში იგივე ქმედების განმეორებით ჩადენა კი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს,

რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მცირე ოდენობებს ნარკოტიკული საშუალებების თითქმის სამი მეოთხედისთვის. მათ შორისაა საქართველოში გავრცელებული ისეთი ნივთიერებები, როგორებიცაა ამფეტამინი, მეთამფეტამინი და დეზომორფინი. ამ ნივთიერებების უმცირესი ნაწილაკები, მათ შორის შპრიცში აღმოჩენილი ნარჩენიც კი, ავტომატურად ითვლება დიდ ოდენობად და სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით მინიმუმ ხუთწლიან პატიმრობას ითვალისწინებს. ამ ნივთიერებების 1 გრამზე მეტი ოდენობით შენახვა კი „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია“, რასაც შედეგად, შესაძლოა, სამუდამო პატიმრობაც მოყვეს. ამ საკითხზე ლიბერა;ოზაციის მხრივ სააპელაციო სასამართლოს მიერ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იქნა მიღებული რომელმაც ასევე ახალი ტრენდიც შემოიხო ნარკოდანაშაულის და სისხლისსამართლებრივ სფეროში, 2020 წლის 04 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში იმსჯელა და დაადგინა რომ „სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ისეთი ქმედებისთვის, როგორიცაა მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შეძენა-შენახვა, მსგავსად მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის დეზომორფინის შეძენისა და შენახვისა, ემსახურება მხოლოდ ზოგადი პრევენციის მიზანს, რაც ვერ იქნება თვითკმარი საფუძველი სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოსაყენებლად. ამდენად საკონსტიტუციო სასამარტლომა არაკოსნსტიტუციურად ცნო სსკ-სი 260 მუხლის მე-3 ნაწილის სანქცია თავისუფელბის აღკვეთა 5-8 წლამდე რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალების მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობით უკანონო შეძენისა და შენახვისთვის, გამოუსადეგარ ოდენობაში იგულისხმება სწორედ ის ოდენობა (შპრიცის, ქაღალდის, რომელშიც რაღაც დროს გახვეული იყო ნარკოტიკული საშუალება) რომლის ზედაპირზეც შემორჩენილია ნარკოტიკული საშუალების მიკროსკოპულად მცირე ოდენობის კვალი, აღნიშნული კვალი კი გარკვეული ნარკოტიკულ ნივთიერებასთან მიმართებით საქართველოს კანონს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ არსებულ დანართში არ არის განსაზღვრული მცირე ოდენობა, რა დროსაც მოხმარების შემდეგ მოსახმარ ინსტრუმენტზე არსებული ნარკოტიკული ნაწილაკებიც კი დიდ ოდენობად ითვლება და სისხლისსამართლებრივ დევნას იწვევს პირის მიმართ“, როგორც აღვნიშნე ასეთი მიდგომა შეცვლილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ. თემის მსჯელობის ამ ნაწილისთვის აღნიშნული გადაწყვეტილება ადამინის უფლებების რეალური და ქმედითი ნაბიჯია, რაც

საქარღველოს ნარკოპოლიტიკისა და საკანონმდებლო დახვეწის არგუმენტირებული და სწორი მიგნებაა.

საქართველოში ნარკომანიასთან ბრძოლის პოლიტიკის და პრაქტიკის ზოგიერთი ყველაზე მკაცრი კომპონენტი 2006 წელს იქნა მიღებული, როდესაც მაშინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა“ გამოაცხადა ყველა დანაშაულის, მათ შორის ნარკოდანაშაულის მიმართ. ნარკომომხმარებლების მიმართ ასეთი მკაცრი მიდგომის გამოყენებამ შესაძლოა შეამცირა ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების, მაგალითად, ჰეროინის ხელმისაწვდომობა, მაგრამ იგივე ეფექტი ვერ იქონია ზოგადად ნარკომომხმარებელთა რიცხვზე. პირიქით, ზოგიერთი მონაცემის თანახმად, პრობლემური, ანუ მაღალი რისკის შემცველი ნარკომოხმარების ფაქტებმა იმატა, და ასეთი ადამიანების რაოდენობა 2009 წლიდან 2017 წლამდე 40,000-დან 52,500-მდე გაიზარდა. გაზრდა შესაძლოა გავიგოთ არა მხოლოდ ნარკომომხმარებლებისა და ნარკოდანაშაულის ჩამდენ პირთა რაოდენობა არამედ, რეალურად შესაძლოა მოხდა მკაცრი ნარკოპოლიტიკის შედეგად აღნიშნული ნარკოდანაშაულთა არსებული მრავალი ფაქტის გამოვლენა, რომელიც მანამდეც არსებობდა. თუმცა რა თქმა უნდა არ უნდა გამოვრიცხოთ ის ფაქტი რომ რეპრესიულმა ნარკოპოლიტიკამ თავისთავად უბიძგა ნარკორეალიზატორთა და ნარკოდანაშაულის ჩამდენ ოირებს შეექმნათ და გარდაესახათ მათი მართული კანონ საწინააღმდეგო ქმედებები სხვა მეთოდებით და სხვა ფორმატში რათა თავი აერიდებინათ კანონისთვის, ამით კი დანაშაულებრივი ქმედებათა რაოდენობრივი ზრდა გამოიწვია. 2012 წლის ოქტომბერში, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოს ახალმა მთავრობამ აღიარა, რომ საჭირო იყო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პოლიტიკის, მათ შორის ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაცია. საკანონმდებლო ცვლილებებით შემცირდა სისხლის სამართლებრივი სანქციები ნარკოტიკული საშულებების შეძენა-შენახვაზე. მთავრობამ მიიღო ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელშიც ხაზი გაესვა საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ნარკოტიკების მოხმარების პრევენციის, ზიანის შემცირების პროგრამების და ნარკომომხმარებლების მიმართ სტიგმისა და დისკრიმინაციის დაძლევის მნიშვნელობას. თუმცა, ამ სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ნაბიჯებიდან ბევრი არ გადადგმულა. 2015 წლის შემდეგ ნარკოპოლიტიკის ლიბერალიზაციის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. მათი უმეტესობა საკონსტიტუციო სასამართლოში შეტანილმა სარჩელებმა განაპირობა. საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილების შესაბამისად, რომელმაც მარიხუანის შენახვისთვის საპატიმრო სასჯელის

გამოყენება არაკონსტიტუციურად ცნო, პარლამენტმა საკანონმდებლო ცვლილება განახორციელა 2017 წლის ივლისში და გააუქმა სასჯელის ეს ზომა 70 გრამამდე გამომშრალი მარიხუანას შეძენა-შენახვისთვის. თუმცა, ამ ნივთიერების შენახვისთვის მსჯავრდებულ ყველა პირს მაინც დარჩება ნასამართლეობა და ჩამოერთმევა ავტომობილის მართვის და მთელი რიგი პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებები. 2015 წლის გადაწყვეტილებამ ბიძგი მისცა სხვა საკონსტიტუციო სარჩელებს არსებული დასჯაზე ორიენტირებული ნარკოპოლიტიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, რეკრეაციული ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებით. 2017 წლის ნოემბრის გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განტვირთვის ფორმის შერჩევა, მათ შორის მარიხუანის მოხმარების გზით, ადამიანის უფლებაა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ქმედება, თუ ის რისკს ან საფრთხეს არ უქმნის სხვა ადამიანს, სისხლის სამართლებრივ დანაშაულად არ უნდა ჩაითვალოს. ამ გადაწყვეტილების გარგძელებად შეიძლება ჩაითვალოს 2018 წლის ივლისის ბოლოს მიღებული, ახალი გადაწყვეტილება, რომელმაც გააუქმა ყველა სახის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მარიხუანას მოხმარებისთვის. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს არ უმსჯელია მარიხუანას შეძენა-შენახვაზე, რაც კვლავ სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირდება.[72] 2017 წლის ივნისში პარლამენტის რამდენიმე წევრმა ფართო კანონპროექტი დააინიცირა პარლამენტში, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, ნარკოტიკული საშუალებების პირადი მოხმარების, აგრეთვე მათი მცირე ოდენობით შეძენა-შენახვის დეკრიმინალიზაციას ითვალისწინებს. კანონპროექტი „საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნულმა პლატფორმამ“ შეიმუშავა, რომელიც არასამთავრობო ჯგუფების, ექსპერტებისა და აქტივისტების ფართო კოალიციას წარმოადგენს. კანონპროექტი ემყარება ჯანდაცვაზე ორიენტირებულ მიდგომას, რომლითაც მკაფიოდ არის გაცხადებული, რომ პრობლემურ ნარკომომხმარებლებს დახმარება სჭირდებათ და არა ციხეში გამოკეტვა და სტიგმატიზება. (აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით დამატებით პრივილეგიების შემოღება და ბარიერების მოხსნა განხილულია თემის ძირითად ნაწილში). ნარკოპოლიტიკის ძირეული შეცვლა, არსებული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია თუ ახალი რეგულაციების დაწესება, ეს ყოველივე მიუთითებ იმაზე რომ საზოგადოებრივი ცხოვრებეის ცვლილება და და საზოგადეობის განივითარებასთან ერთად უნდა შეიცვალოს საკანონმდებლო სივრცეც, დემოკრატიაც სწორედ ხალხის მმართველობას

[72] https://www.hrw.org/ka/report/2018/08/13/321308

ნიშნავს და ყველა დემოკრატიულ სახელმწიფომ უნდა უზრუნველჰყოს რომ საკანონმდებლო ჩარჩო მოერგოს განვითარებულ საზოგადეობირვ აზრს, ამ მხრივ საქართველოს მხრიდან ბოლო პერიოდში (საკითხები რაზეც ნამსჯელია თემის განხილვისას) ნათალდ ჩანს რომ ადამიანის უფელებათა დაცვის რეალური და ქმედითი ნაბიჯებია გადადგმული, ამ მხრივ საქართველოს საკანონმდებლო სივრცემ რთული გზა განვლო, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო. ნარკოპოლიტიკის ცვლილების კუთხით საქართველოში ჩანს ტენდეცია საკანონმდებლო ბაზსი ცვლილებისა, სამართლებრივად კი მივალთ დასკვნადმე რომ თუ ქმედებას სისხლის სამართლებრივად არ დავსჯით, ნარკოდანაშაულიც არ მოხდება, მაგრამ ამ შემთხევაში არ გვექნება ინფორმაცია ნარკომომხმარებელთა, და სახელმწიფოში ნარკოტიკული ნივთიერების ბრუნვის ზოგადი სტატისტიკის შესახებ, ამ შემთხვევში კი ნარკომომხმარებელთა რაოდენობა გაიზრდება, რის გაკონტროლებას და რეაბილიტაციას სახელმწიფო რესურის ვერ შეძლებს, წარმოიქმნება ახალი სოციალური და საზოგადეობრივი პრობლემები. ვფიქრობ საკანონდმებლო ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ ადამიანის უფელბათა დაცვით, რაც თავის თავში არ უნდა გულისხმობდეს, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ბრუნვისთვის ხელშეწყობას, ნარკოტიკული ნივთიერების მოხამრებაც და გავრცელებაც სისხლისსამართლებრივ ჩარჩოებში უნდა დარჩეს თუმცა აქტიურად შესაცვლელია, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მოცულობისა და სანქციის პროპორციულობა და ურთიერთმიმართება, გასაზრდელია ნარკოდანაშაულის პრევენცია, პრევენციის ძირითად წერტილად უნდა მივიჩნიოდ მომავალი თაობა, რაშიც დიდი როლი უნდა შეასრულოს განათელბის სისტემამ.

„საქართველოს ნარკოპოლიტიკის ეროვნულმა პლატფორმის“ მიერ შემუშავებული კანონპროექტი პარლამენტის საქმისწარმოებაშია მიღებული ინიცირებისთვის თუმცა ამ დრომდე კანონპროექტთან დაკავშირებით გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ზაზა ბეროზაშვილი. ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სამართლებრივი საფუძვლები, თბილისი 2006 წ.
2. ჯემალ ჯანაშია, საქართველოში ნარკომანიის გავრცელების და ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიის შედარებითი ანალიზი. თბილისი 2020 წ
3. ლევან ჯორბენაძე , ნარკოტიკების საკანონმდებლო ანალიზი თბილისი 2012
4. ამირან მოსულიშვილი ნარკომანიის კრიმინოლოგიური დახასიათება და მასთან ბრძოლის ასპექტები თბილისი 2009 წ
5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუი: ნარკოდანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკის ანალიზიhttps://idfi.ge/ge/analysis_drug_related_criminal_statistics_practice_and_declared_goals_do_not_match
6. მორის შალიკაშვილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს„მარიხუანას“ გადაწყვეტილებების კრიმინოლოგიური ანალიზი თბილისი 2019
7. ბესელია ა., გეგენავა ვ., კირთაძე ი., მღებრიშვილი თ., ოთიაშვილი დ., რაზმაძე მ., სტურუა ლ., ქუთელია ლ., ჯავახიშვილი ჯ., ნარკოვითარება საქართველოში 2018, თბილისი 2019.
8. ანა ნასრაშვილი „ადამინის უფლებების სწაველბისა და მონიტორინგის ცენტრი“ ნარკოპოლიტიკა საქართველოში შეჩერებული რეფორმა და ახალი ტენდენციები თბილისი 2019
9. ბაქრაძე ლელა, ნარკომანიის პრევენცია მოზარდებშპ და ადიქტიური ქცევის ფორმირების რისკ-ფაქტორები, 2017 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“,#2

10. ჯავახიშვილი ჯანა., ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია. გამომცემლობა ნეკერი. თბილისი. 2011
11. ჯანაშია ჯემალ, „საქართველოში ნარკომანიასთან და ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის სისხლის სამართლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზი“, 2017 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „იურისტი“,
12. თამარ გეგელია, გურამ იმნაძე, გიორგი დავითური, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი თბილისი 2014
13. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf
14. მ.ლეკვიაშვილი, მ.თოდუა გ,მამულაშვილი სისხლის სამართლის კერძო ნაწილი თბილისი 2011“მერიდიანი“

https://tsufacultyoflaw.files.wordpress.com/2016/08/239906265-e1GV9Jm2u7rmsCe65wKzPTw5jtS38n2tVEGie183a1-e183a1e18390e1839be18390e183a0e18397e1839ae18398e183a1-e18399e18394e183a0e183ab.pdf
15. საქართველოს შსს სსიპ პოლიციის აკადემია, სახელმძღვანელო „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“ თბილისი 2019
16. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება: საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 24,10,2015 https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1043
17. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქეები - ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. 30,07,2018წ https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1949
18. საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტი საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება, „ კანაფის შეძენა, მოხმარება ან შენახვა გასაღების მიზნის გარეშე, ანდა ნარკოტიკული საშუალების მოხმარება ექიმის დანიშნულების გარეშე ევროპის ქვეყნებში“ მ.ბიბილაშვილი 06,04,15 **http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/32414/kanafis_moxmareba_inter.**
19. საქართველოს ანტინარკოტიკული სტრატეგია,კონცეფციური დოკუმენტის პროექტი, თბ.2006, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“http://bemonidrug.org.ge/wp-content/uploads/2014/07/% 98.pdf

20. პრობაციის ეროვნული სააგენტოს კვლევის ანგარიშში - ნარკოტიკული საშუალების მოხმარების გამომწვევი ტენდენციების კვლევა პრობაციონერებთან(2014), გვ.67**http://pog.gov.ge/res/docs/narkotikulisashualebismokhmarebisgamocvevitendenciebi_kvleva.pdf**
21. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგია, http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%290.pdf
22. ნინო კანდელაკი „ნარკოდამოკიდებულების პრევენცია მოზარდებში“https://studentresearch.iliauni.edu.ge/narkodamokidebulebis-preventsia-mozardebshi/
23. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=458
24. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=224
25. Human Rights Watch “სამაგალითო დასჯა საქართველოს რეპესიული ნარკოპოლიტიკის მძიმე ადამიანური შედეგები“ თბილისი 2018https://www.hrw.org/ka/news/2018/08/13/321286
26. საქართველოს კანონი ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/22132
27. *The Police and Modern Society*, August Vollmer, Berkeley, University of California Press,
28. Antonio Maria Costa, executive director of UNODC (March 2007). "Cannabis... call it anything but "soft"", The Independent (UK)
29. Czech Republic Legalizes Medical Marijuana Use". Huffingtonpost.com. 15 February 2013. Retrieved 23 June 2013
30. New York County Lawyers' Association (Oct 2006). Report and Recommendations of the Drug Policy Task Force (Note 2) Archived June 22, 2008, at the Wayback Machine. NYCLA & Drug Reform Coordination Network. – see National Household Survey on Drug Abuse (1993), U.S
31. Parliament of the Czech Republic (2009), Act No. 40/2009 Coll. (in Czech), Prague, Sections 283 – 287